აპოლონ მახარაძე

ალექსანდრე ყაზბეგი

ბიოგრაფიული ნარკვევი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა
თბილისი, 1941

ალექსანდრე ყაზბეგი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

„ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი-კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში ირწეოდა და ასეთს აკვანში გამოზრდილს ადამიანს-კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ — ასე წერდა გაზეთი „ივერია“ 1893 წელს. ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე ყაზბეგი ქართული ლიტერატურის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელია. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე უდიდეს გავლენას ახდენდა მკითხველთა ფართო მასებზე.

წინამდებარე, შრომა მიზნად ისახავს გადმოსცეს ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები. რომ ამ გზით დიდი მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის შედარებით მთლიანი სურათი წარმოგვიდგინოს. შრომაში გამოყენებულია საარქივო მასალები და დოკუმენტები, პერიოდულ გამოცემებში შემონახული ცნობები და მწერლის თანამედროვეთა მოგონებები. ზოგჯერ ეს მასალები ფართო ამონაწერების სახითაც არის წარმოდგენილი. მაგრამ ფაქტების ასეთი გამოყენება დოკუმენტალური ნარკვევისათვის მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

ამავე ნარკვევში წარმოდგენილია თაეი „ალექსანდრე ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება“. აღნიშნული საკითხი შეიძლებოდა ცალკე ჩამოყალიბებულიყო, როგორც დამოუკიდებელი შრომა. მაგრამ ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიაში ამ მომენტის მოკლედ აღნიშვნა აუცილებელია იმით, რომ იგი პირველყოვლისა მწერლის პირად ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ალექსანდრე ყაზბეგი ხალხურ შემოქმედებას სწავლობდა, მის ნიმუშებს აგროვებდა, თავის ლბის წიგნაკებში იწერდა, ანალიზებს თვითონაც აკეთებდა. ხოლო შემდეგ ყოველივე ამას საჭიროების დროს ეხმარებოდა.

დიდი ადამიანის ცხოვრების მატიანეს წერა მეტად ფაქიზი, საპატიო და თანაც საპასუხისმგებლო საქმეა. წინამდებარე გამოკვლევის ავტორი დასახული ამოცანის სირთულეს მთელი სიმძიმით გრძნობდა, და თუ ეს წიგნი მკითხველის წინაშე ალექსანდრე ყაზბეგის ნათელ სახეს ნაწილობრივ მაინც გააცოცხლებს, მაშინ ავტორის მიზანიც მიღწეულად ჩაითვლება.

ა ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე

25 დეკემბერი
1940 წ.

———

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახი, ბავშვობა და ყრმობა

I

ყაზბეგიანთ გვარის წინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან. თვითონ ალექსანდრე ყაზბეგის პაპა, გაბრიელი, პირველად ჩოფიკაშვილად იწოდებოდა და ალექსანდრეს მამა-ბიძებიც ჩოფიკაშვილებს შორის ცხოვრობდნენ.

გაბრიელ ყაზბეგი სტეფანწმინდის მოურავი იყო. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში რუსეთის შემოსვლისა და რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრების საქმეში გარკვეული დამსახურების გამო გაბრიელმა გენერალ მაიორობა მიიღო და მასვე ებოძა აზნაურობა. ყაზბეგიანთ ოჯახის ერთერთი ახლოს მცნობის გადმოცემით, გაბრიელის თხოვნით ყაზბეგის გვარის ყველა წარმომადგენელს სამხედრო ხარისხები დაურიგეს. გაბრიელის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე სოფელ სტეფანწმინდისათვის ყაზბეგის შერქმევა.

გაბრიელ ყაზბეგი ხევის გამგებლად დაინიშნა და დიდი გავლენითაც სარგებლობდა როგორც რუსეთის მმართველობის წინაშე, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. იგი მეტად შეძლებულად ცხოვრობდა. სხვა შემოსავალთა შორის გაბრიელს ეკუთვნოდა ის ბაჟები, რომლებსაც დარიალის ხეობაზე გადამსვლელებს ახდევინებდნენ. ამის შესახებ ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახის ერთერთი ახლო ნათესავი, სოფიო თარხნიშვილი, წერს: „იმ დროს ყოველი გამომვლელი საქართველოსაკენ ბაჟსა ხდილობდა, აგრეთვე საქართველოდან წამსვლელიც. დარიალში იმ ბაჟს ახდევინებდნენ და ამ ფულებს აბარებდნენ გაბრიელ ყაზბეგს. დარიალის იქით, ოსის მიჯნაზე, ამ ბაჟს ოსის ბატონიშვილები ჰკრეფდნენ: ესენოვები, გუნდუხოვები, დუდაროვები"[1].

---

[1] ჟურნალი „მნათობი", 1927 წ., № 8—9.

გაბრიელ ყაზბეგს სულ ხუთი შვილი ჰყოლია — მიხეილი, ნიკოლოზი, სოფიო, ეკატერინე და ნინო. ალექსანდრე ყაზბეგის მამა, მიხეილი, გაბრიელ ყაზბეგის უფროსი ვაჟიშვილი ყოფილა.

გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ მამის თანამდებობა, როგორც უფროსმა შვილმა, მიხეილ ყაზბეგმა დაიკავა. მან შემდგომ გენერალობაც მიიღო.

მიხეილ ყაზბეგი მეტად მკაცრი მმართველი იყო. არსებული გადმოცემების მიხედვით, ის სასტიკად ავიწროებდა თავისუფლების მოყვარულ მთიელ ხალხს. ეს მკაცრი მმართველი მით უფრო აუტანელი უნდა ყოფილიყო იმ ხალხისათვის, რომელიც თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ისტორიულად ჩვეული არ იყო ბატონყმობის მძიმე უღელს.

მიხეილ ყაზბეგის პირადი ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა იგივე სოფიო თარხნიშვილი. ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ იგი გადმოგვცემს მიხეილის ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც უშუალოდ ალექსანდრესთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ მეტად საყურადღებო მომენტებზე კი მიუთითებს.

მიხეილ ყაზბეგს პირველ ცოლად ჰყოლია საგინაშვილის ქალი, რომელიც ცნობილი მწერლების ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ახლო ნათესავი იყო. სოფიო თარხნიშვილის გადმოცემით, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გრ. ორბელიანს მიხეილ ყაზბეგის ოჯახში მისვლა-მოსვლაც ჰქონიათ.

აი რას წერს სოფიო თარხნიშვილი:

„მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლამაზი, თვალტანადი ყმაწვილი კაცი იყო. პირველად შეირთო საგინაშვილის ქალი, რომელიც ძალიან ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისათვის ნასწავლიც. მისი დეიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან ცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსებიც ყაზბეგში დასწერა. აგრეთვე მისი ნათესავი იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ყაზბეგში და ბევრი ლექსებიც დასწერა იქ"[1].

მოყვანილი ამონაწერი მეტად საყურადღებო მომენტზე მიუთითებს: ნიკ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი მიხეილ ყაზბეგის ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან. მათი მიმოსვლა ყაზბეგიანთ ოჯახში უნდა შეწყვეტილიყო მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მიხეილის პირველი ცოლი გარდაიცვალა.

მიხეილ ყაზბეგის მეორე ცოლის, ე. ი. ალექსანდრე ყაზბეგის დედის შესახებ, სოფიო თარხნიშვილი წერს: „როცა საგინაანთ ქალი გარდაიცვალა უშვილოდ, ბიძა-ჩვენმა მიხეილმა შეირთო

[1] ჟურნალი „მნათობი", 1927 წ., № 8—9.

თარხნიშვილის ქალი, თუმანიანთ ქერივი, რომელსაც ჰყავდა სამი ქალი პირველი ქმრისაგან".

ალექსანდრე ყაზბეგის დედა, ელისაბედი, რომელიც შინაურობაში კეკედ იწოდებოდა, ესტატე თარხნიშვილის ქალი იყო. ელისაბედი თავისი დროისათვის კულტურული და მხატვრული ლიტერატურის მოყვარული ყოფილა. მას იმ ეპოქის კვალობაზე საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, თვით XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში მიუთითებდნენ იმის შესახებ, რომ ელისაბედს უძველესი ძვირფასი ხელნაწერებიც-კი ჰქონდა.

1880 წლის დამდეგს გაზეთ „დროების" ერთერთი კორესპონდენტი სტეფანწმინდიდან იწერებოდა: „განსვენებულის გენერალ-მაიორის მიხეილ ყაზბეგის ქვრივს კნეინა ელისაბედს აქვს ერთი შესანიშნავი სახარება ხელთნაწერი. რომელიც არის პერგამენტზე დაწერილი ჩ ღ ი დ (1714) წელს. სახარება არის ეერცხლით მოჭედილი და ოცდათვრამეტი ზურმუხტი და იაგუნდი არის პირველ გვერდზე, მხოლოდ აკლია სამი თვალი იაგუნდისა. მეორე გვერდზე არის დახატული ჯვარცმის სახე, გარშემო ღვთის მშობლის და მარიამ მაგდალინესი. ყუთი ვერცხლისა აქვს, მშვენიერ ყვავილების ჩუქურთმით დახატული. სახარების სიგანე არის ერთ ვერშოკნახევარი და სიგრძე ორი ვერშოკი. ნაწერი არის სამ დიუმ სიგანეზე. განიყოფება ორ სვეტად, სიგრძე ოთხი დიუმი არის და იპყრობს თვრამეტ სტრიქონს. მთელი ეს მიკროსკოპიული სახარება თავიდგან ბოლომდი ერთნაირი ნაწერია და გარშემო ვარაყის არშია აქვს. ამას გარდა ოთხივ მხარე არის მშვენიერის კრასკით დახატული"[1].

კორესპონდენტის ეს ცნობა ერთ წიგნს შეეხება. ვფიქრობთ, ასეთივე ხელნაწერები და ძვირფასი წიგნები, მით უმეტეს 60-70-იან წლებში. ელისაბედს სხვაც უნდა ჰქონოდა. ელისაბედი კულტურული, ქართული მწერლობის მოტრფიალე და ოჯახის მოსიყვარულე დედა ყოფილა. მაკრამ ამ თვისებებთან ერთად მასაც ახასიათებდა ის ქედმაღლობა და პატივმოყვარეობა, რომელიც დამახასიათებელი იყო მიხეილ ყაზბეგის ოჯახისათვის.

მშობლების ამ თვისებათა შესახებ თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ავტობიოგრაფიულ ცნობებში მოგვითხრობს: „მამაჩემს და დედაჩემს განსაკუთრებითი თავისებური ხასიათი ჰქონდათ. უყვარდათ დიდკაცობა და მდიდრულად ცხოვრობდნენ, მაკრამ ყველგან თავისებური პირადობა ეტყობოდათ. მაგალითად: სამი პოვარი გვყავდა. ორი მეჯინიბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია და ორი კიდეე პატარა ბიჭი ხელზედ მოსამსახურე და ხუთამდის

[1] გაზეთი „დროება", 1880 წ., № 14.

„მცველები“, სხვა საბელი ვერ მომიგონია ამ ხალხისათვის. რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეიარაღებული გაყოლა იყო მამაჩემისა, როდესაც მიდიოდა სადმე. შვიდი მოაბლე და ერთი ბაზიერი, თავის ურიცხვის ქორ-მეძებრებით. ჩვენი წასვლა სადმე ერთი ორომტრიალი იყო. რადგანაც ამოდენა სახლობის დასაძრავად მთელი თვეები მზადება გვინდებოდა“[1].

ასე წერდა ალ. ყაზბეგი თავისი მშობლების შესახებ. ასე მდიდრულად და ხელგაშლილი ცხოვრობდა მიხეილ ყაზბეგის ოჯახი. ყაზბეგის საბლკარი თავისი მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურეებით, ხევის პირობებში, ერთგვარ სასახლეს წარმოადგენდა.

ალ. ყაზბეგი თავისი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. მის დაბადებას არაჩვეულებრივი მოუთმენლობით ელოდა მიხეილ ყაზბეგის ყოვლისშემძლე ოჯახი.

ცნობილი მწერალი ქალი, ნინო ორბელიანი, თავის მოგონებაში ალ. ყაზბეგის შესახებ მოგვითხრობს იმ უსაზღვრო სიხარულზე, რომელიც იმ დღეს განიცადეს ალექსანდრეს მშობლებმა.

„მე ყმაწვილი ვიყავ,—წერს ნინო ორბელიანი,—როცა ეგ დაიბადა და დედაჩემი მოვიდა დიდი მხიარული. მაგისი დედის მეგობარი იყო და უყვარდა, მის ჭირსა და ლხინსაც გაიზიარებდა ხოლმე. როცა ეგ დაებადა კეკესო. ასე ეძახდნენ სანდროს დედას, დედამ გვიამბო, მიხეილ ყაზბეგი სწორედ ოცი წლის ვაჟკაცს დაემსგავსა სიხარულითო, ასეთი აღტაცებული არის, ეს სურვილი რომ აუსრულა ღმერთმაო. მეტი არაფერი სანატრელი ცხოვრებაში იმათ ბრა ჰქონდათ-რაო, და ესეც ღმერთმა მოუელინაო“.

ვაჟიშვილის შეძენით გაბარებულ მიხეილ ყაზბეგს ლექსიც კი დაუწერია:

„კაკანა დაურწიეთ,
სულიკოს ეძინება:
გვმართებს, რომ ღმერთს ვავედროთ
მისი აღორძინება;
კეკე, ძუძუ აწოვე,
მკერდს შუქი გეფინება,
რადგან ღმერთმა ინება
ამ ბიჭის მოვლინება“[2].

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, ფონდი, № 3981, „ავტობიოგრაფიული ცნობები ალ. ყაზბეგისა“.

[2] ჟურნალი „კვალი“, 1893 წ., № 52.

ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების თარიღის შესახებ ორი სხვადასხვა ხასიათის ცნობა არსებობს. მეტრიკის წიგნის მიხედვით ალ. ყაზბეგი დაბადებულა 1848 წლის 8 იანვარს. ხოლო ერთერთ დოკუმენტზე დაყრდნობით დავით კარიჭაშვილმა სცადა ეს თარიღი რამდენიმე თვით უკან გადაეწია (1847 წლის 14 ნოემბერი).

როდესაც ალექსანდრეს დაბადების თარიღს არკვევდა, დავით კარიჭაშვილი ეყრდნობოდა ალ. ყაზბეგის დედის ერთერთ კერძო ხასიათის წერილს. ელისაბედის ეს წერილი დაწერილია 1869 წლის 14 ნოემბერს. წერილში, რომელსაც ივი ალექსანდრეს რუსეთში უგზავნის, დედა შვილს ულოცავს დაბადების დღეს და სიხარულით აღნიშნავს, რომ ახლა მას ჰყავს ოცდასამი წლის ვაჟიშვილი. დედის ეს ცნობა რომ მთლიანად მიგვეღო, მაშინ ალ. ყაზბეგი უნდა დაბადებულიყო 1846 წლის 14 ნოემბერს. მაგრამ დედის ამ ცნობიდან დ. კარიჭაშვილს ყველაზე სარწმუნოდ მიაჩნია ალექსანდრეს დაბადების დღე—14 ნოემბერი. შემდეგ მკვლევარი ავითარებს თავის ძიებას.

დ. კარიჭაშვილი წერს: „რადგანაც შეუძლებელია, რომ ერთადერთის ვაჟიშვილის პატრონს დედას კარგად არ ხსომებოდეს თავის ვაჟის დაბადების დღე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ნამდვილად დაბადებულა 14 ნოემბერს 1847 წ. მეტრიკის წიგნში ყაზბეგის დაბადება ჩაუწერიათ 8 იანვარს 1848 წ.. უეჭველია, იმიტომ, რომ ამ წლის იანვრის 28-ს მოუნათლიათ. რადგანაც სასულიერო მთავრობას ნაბრძანები აქვს მღვდლებისათვის, რომ ბავშვები ბევრ ხანს არ დასტოვონ მოუნათლავი. ამიტომ მღვდლები ხშირად ბავშვების დაბადების დღედ სწერდნენ მონათვლის დღის მახლობელ რიცხვს. როგორც ვთქვით, ჩვენ ფრიად სარწმუნოდ მიგვაჩნია დედის მოწმობა ყაზბეგის დაბადების დღის შესახებ, ხოლო მისი დაბადების წლის შესახებ კი შეცდომას ვხედავთ დედის ანგარიშში. 14 ნოემბერს 1869 წ. დედას ყაზბეგი ოცდასამის წლისა ჰგონია. ამ ანგარიშით ყაზბეგი უნდა დაბადებული იყვეს 1846 წ. ასეთი შეცდომა დედისა არ არის გასაკვირველი. 14 ნოემბერს 1869 წ. ყაზბეგი ოცდამესამე წელში გადადგა და დედას შეცდომით დაუწერია ოცდასამის წლის შვილი მყავსო"[1].

დ. კარიჭაშვილის ეს მტკიცება უსაფუძვლო არ არის. პირიქით, მკვლევარი მეტად ღრმად სწვდება საკითხს, მაგრამ, მიუხედავად

---

[1] დავით კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია".

ამისა, ეს მტკიცება დაკანონებული თარიღის შეუცვლელად საკმარისი არ არის. ამისათვის მეტი საბუთიანობაა საჭირო.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების თარიღს ჯერჯერობით ყველაზე სარწმუნოდ მისი მეტრიკის წიგნი გვიჩვენებს. ამ ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით ალექსანდრე ყაზბეგი დაბადებულია 1848 წლის 8 იანვარს [1].

პატარა ალექსანდრეს ორი ძიძა და რამდენიმე გამზრდელი შეუჩინეს. იგი არაჩვეულებრივ ფუფუნებაში იზრდებოდა. გარდა მშობლებისა, ყაზბეგის მთელი ოჯახი თავისი მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურეებით თავს ევლებოდა ოჯახის ერთადერთ ვაჟიშვილს.

როგორც უკვე აღინიშნა. ალ. ყაზბეგი შემდგომ თვითონვე ჰაიცხავდა თავისი ოჯახის მთელ რიგ მხარეებს. ცნობილია, რომ მას განსაკუთრებით არ მოსწონდა აღზრდის ის პირობები, რომლებიც შეხვილ ყაზბეგის ოჯახში იყო გაბატონებული და რომლებშიაც იზრდებოდა თვითონ ალექსანდრე.

ალ. ყაზბეგის ცნობილი ბიოგრაფი დავით კარიჭაშვილი ამის შესახებ წერდა: „პირველი მისი (ალექსანდრე ყაზბეგის ა. მ.) პიესა ყოფილა „აღმზრდელები", რომელშიაც მოქმედ პირებში ყოფილან გამოხატულნი მისი მშობლები. ერთხელ თურმე ეს პიესა კიდეც წაუკითხა თავის მშობლებს და ნათესავებს. დასაწყისში თურმე ძალიან მხიარულად ისმენდნენ, მაგრამ როდესაც მშობლებმა იცნეს პიესაში თავიანთი თავი, ძალიან გაჯავრდნენ და შეაწყვეტინეს კითხვა. ამ პიესაში თურმე ყაზბეგს სამასხაროდ ჰქონდა აგდებული ის აღზრდა, რომელიც თითონ მიიღო თავის დედ-მამისაგან" [2].

ალექსანდრე ყაზბეგის მშობლების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე ელისაბედ ყაზბეგი. ელისაბედი თავის მოგონებაში მოგვითხრობს ალ. ყაზბეგის მშობლების ხასიათისა და პატარა ალექსანდრეს აღზრდის პირობებზე. იგი წერს: „ჩემი ბიძაძალიშვილის მისწრაფება სანდროს სწავლა-განათლებაზე სხვადასხვანაირი იყო. ბიძაჩემს გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილი და ამას მხოლოდ იმით ამტკიცებდა, რომ ანებივრებდა და მეტის-მეტად რყვნიდა. თავის ერთადერთ მემკვიდრეს თითქმის აღმერთებდა! რაღა თქმა უნდა, რომ თავის სიყვარულით სანდროსათვის ყოველი კეთილი სურდა და ამეტებდა, მაგრამ თითონ უსწავლელ კაცს გამორ-

---

[1] ძველი სტილით, ახალი სტილით — 20 იანვარს.

[2] დ. კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია".

კვეული წარმოდგენა არა ჰქონდა სწავლა-განათლებაზე, რომლის გამოც სანდროს სწავლის საქმეს ნორმალურად ვერ აყენებდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩემმა ალექსანდრემ ოლონდ იცოცხლოს და თუნდ სულაც ნურას ისწავლისო! რაც უნდა ისა ჰქნას, როგორც ესიამოვნება, ისე იცხოვროს“.

ძალუა კეკეს შეხედულება ამ საგანზე სულ სხვა იყო: იმას ძალიან უნდოდა, რომ ალექსანდრე ფრიად განათლებული კაცი გამოსულიყო, ყველაფერი კარგადა და ზედმიწევნითა სცოდნიყო, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთესი ისა ყოფილიყო. ასე ვრცელი იყო მისი მისწრაფება სანდროს სიკეთისათვის! იმასა შურდა ხოლმე, როდესაც გაიგონებდა: ამადაამ კაცის შვილი კარგადა სწავლობსო, ამადაამ კაცის შვილი სამსახურში დაწინაურდაო [1].

მოყვანილი ამონაწერები ნათლად მიუთითებს პატარა ალექსანდრეს აღზრდის პირობებზე. ეს პირობები, რასაკვირველია, სასურველი არ არის, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბავშვობიდანვე ზურგს აქცევდა ამ წრეს და მთელი თავისი არსებით გლეხური ცხოვრებისაკენ მიისწრაფის. მასზე მეტ გავლენას ახდენენ მწყემსი ბიჭები და ალმზრდელი გლეხის ქალები, ვიდრე საკუთარი მშობლიური წრე თავისი უსაზღვრო ფუფუნებით.

ალ. ყაზბეგის ბავშვობიდან საჭიროა ერთი მომენტიც აღინიშნოს. ცნობილია, რომ მისი ერთერთი ყველაზე გავრცელებული ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „მოჩხუბარიძე“ (აკაკი მოჩხუბარიძე). მწერალს განსაკუთრებით უყვარდა ეს ფსევდონიმი, ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ეს სახელი მას ბავშვობიდან შერქმეული. ალექსანდრეს დაუსრულებელი სიანცისა, შინაურებთან მუდმივი ჩხუბისა და დავიდარაბის გამო მოთმინებიდან გამოსულმა დედამ ერთხელ მისი გალანძვა მოინდომა. მაგრამ ყოველთვის ფუფუნებაში მყოფი და უსაზღვროდ გამეფიდურებული შვილი გასალახავად ვერც იმ დღეს გაიმეტა და გულისჯავრი ამით იყარა. რომ მას მოჩხუბარიძე უწოდა. ალექსანდრემ დედის მიერ შერქმეული ეს სახელი სიამოვნებით მიიღო და შემდეგში თავის ლიტერატურულ ფსევდონიმადაც აქცია. შემდგომ ცხოვრებაში ხშირად გულჩათხრობილი მწერალი ამ სიტყვის მოგონებით თავის მოუსვენარ და მუდამ მაძიებელ ყრმობას თუ ეალერსებოდა.

ალ. ყაზბეგის ბავშვობისა და ყრმობის ერთერთი მეგობარი, ელისაბედ ყაზბეგი, ალექსანდრესათვის „მოჩხუბარიძის“ შერქმევის

---

[1] ელისაბედ ყაზბეგი — „ნასალები“, ჟურნალი „ნნათობი“, 1924 წ., № 7—8.

ისტორიას ასე მოგვითხრობს: „ერთ ამისთანა ღრუბლიანს დღეს (შინაურებთან ჩხუბის. სიანცის ა. მ.). როდესაც სანდრო ამგვარად აკუნეობდა და იმის დედასთან ზედიზედ რამთენიმე საჩივარი შეიტანეს, მაშინ ძალუა წამოუხტა სანდროს ვითომც დასატუქსავად, ალლა ბივიდა და გაჯავრებით უთხრა:

— რა ღმერთი გავწყრომია, რომ ქვეყანას ეჩხუბები? რა დაგმართია. სწორედ მოჩხუბარიძე ხარ!

სანდროს ეს სახელი ძალიან მოეწონა და საჩქაროდ წამოიძახა:

— ჰო, მოჩხუბარიძე ვარ და აკაკიაცა მქვიან! ასე მესიამოვნება!

ამ დღიდან სანდროს მეტ სახელად დაერქვა მოჩხუბარიძე და ბოლოს იმის ფსევდონიმიც აკაკია მოჩხუბარიძე გახდა[1].

ასე დაერქვა ალ. ყაზბეგს მოჩხუბარიძე.

ალექსანდრე ყაზბეგი თავისი მრავალრიცხოვანი ალმზრდელებიდან განსაკუთრებული პატივისცემით იგონებს ნინოს. ხელნაწერებში დაცულია მწერლის მგრძნობიარე მიმართვა მოამაგე ალმზრდელისადმი.

ალ. ყაზბეგის ეს ხელნაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. წერილი მოგვიანო პერიოდისაა. იგი მიეკუთვნება ოთხმოციანი წლების დამდეგს. ავტორი იგონებს თავის ბავშვობას და გვეუბნება, რომ მასზე უდიდეს გავლენას ახდენდა ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული პატარა ამბები და ზღაპრები; თვითონ ალ. ყაზბეგის დამოწმებით, ეს ზღაპრები უფრო ღრმად შედიოდნენ მომავალი დიდი მწერლის გულსა და გონებაში, ვიდრე მუდმივი დარიგება ოჯახის რომელიმე წევრისა.

ცნობილი პოეტი და მოღვაწე აკაკი წერეთელი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა იმას, რომ მან თავისი ბავშვობის რამდენიმე წელი ძიძის ოჯახში გლეხის ბავშვებთან გაატარა. აკაკი ამის შესახებ წერს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“[2].

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაშიაც. რაც კი რიგიანი იყო მასში ბავშვობიდან ჩანერგილი, ალ. ყაზბეგი თავის გამზრდელ ნინოს უმად-

---

[1] ელისაბედ ყაზბეგი—„მასალები“, ჟურნალი „მნათობი“, 1925 წ., № 4, გვ. 186.

[2] აკაკი წერეთელი — „ჩემი თავგადასავალი“.

ლოდა. ეს ხელნაწერი უდაოდ ერთერთი საუკეთესო დოკუმენტია, რომელიც გარკვეულ ნათელს ჰფენს ალ. ყაზბეგის ბავშვობას, მის სულიერ მოთხოვნილებებს ამ პერიოდში. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ გამოქვეყნდებოდა, ალ. ყაზბეგი წერდა:

„ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ეშნება, რომ შენ დაგიჯდეს ან სახსოვრად, ან მოგიძღვნას. ამაზედ უძვირფასესი არა მქონდა რა და ამის გამოისობით (მოგიძღვნი) ამ რამთენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას ღებდი. აბა მოიგონე ის დროები, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე. როგორც მეფის შვილს; მანებივრებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდინ; მასწავლიდნენ შურს. ამპარტავნობას და სიძულვილს! სელის ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“. და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში. ვიდრე დარიგება სხვა' პირებისა. გახსოვს, რა თანაგრძნობით მიაშბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში? გახსოვს. შენმა სიტყვებმა რამთენჯერ დამალვრევინა მდუღარე ცრემლები. შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთად და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა, ამთენი ხნის განშავლობის შემდეგ. როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვება რამე რიგიანი, ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისათვისაც გმადლობთ წარმოუთქმელად“[1].

ასე აფასებდა ალ. ყაზბეგი თავის აღმზრდელს გლეხის ქალს, რომელიც იყო ერთერთი ისეთივე შინამოსამსახურე მიხეილ ყაზბეგის ოჯახისათვის, როგორც სხვა მრავალი.

ალ. ყაზბეგის ერთერთი მახლობელი პიროვნების, იაგორ ღუდუშაურის გადმოცემით. ალ. ყაზბეგმა შემდგომ თავისი გაზრდელი ნინო იმით დაასაჩუქრა, რომ მას უბოძა თავისი მამულიდან ერთი კარგი სამოსახლო მიწა და სხვ.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი. № 3982 — „ალ. ყაზბეგის სახსოვარი“.

ალექსანდრეს ადრევე მიუჩინეს შინაური მასწავლებლები. რომლებიც მას რუსულ და ფრანგულ ენებს ასწავლიდნენ. 11-12 წლის ალექსანდრეს უკვე სცოდნია ეს ენები ისე, რომ იგი ლაპარაკს ახერხებდა.

პატარა ალექსანდრე ვერ ეგუებოდა იმ გადაჭარბებულ ფუფუნებას, რომელსაც მის მიმართ იჩენდა მიხეილ ყაზბეგის ოჯახი მისი მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურეებით. ალექსანდრე ხშირად გარბოდა სასახლიდან და სოფლის ბიჭებთან ატარებდა დროს. განსაკუთრებით უყვარდა ცხვარში გასვლა მწყემსებთან. ალ. ყაზბეგს ამ თვისების შესახებ მოგვითხრობს აკაკი წერეთელი, რომელიც მისი მშობლების კარგად მცნობი იყო.

აკაკი წერს: „დაბალი ხალხი იმთავითვე, ბავშვობაშივე, უყვარდა. სული ბიჭებში მიუდიოდა და, ვგონებ, მიზეზიც ივივე იყო, რომ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ხნით ცხვრის სამწყესურში გადავიდა. ფულის ყადრი, პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა: გამოართმევდა ხოლმე მამას ვერცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბეში და გაუდგებოდა გზას; აედევნებოდნენ სოფლის ბიჭები, ისიც ილებდა ხოლმე ჯიბიდან ფულებს და გადაუყრიდა ბიჭებს; ისინი დაერეოდნენ ერთმანეთს, იყო ერთი წიწკნა-გლეჯა და ყურთაზიაობა და ეს ამბავი ძალიან უხაროდა პატარა სანდროს"[1].

1859 წლის დამდეგს ალექსანდრე ყაზბეგი შეჰყავთ თბილისის ცნობილ ჰაკეს პანსიონში, რომელშიაც ათიოდე წლის წინათ სწავლობდა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე.

იმავე 1859 წელს ალექსანდრეს ჯერ კიდევ ჰყოლია კერძო მასწავლებელი. მწერლის არქივში დაცულია ერთი დოკუმენტი — ხელწერილი რომელიც ანტონ ხომინსკისა, რომ მან მიხეილ ყაზბეგისაგან მიიღო 55 მანეთი ვერცხლით ალექსანდრესათვის კერძო გაკვეთილების მიცემის გასამრჯელოდ[2].

ალ. ყაზბეგის დოკუმენტებში დაცულია ერთერთი ოფიციალური მოწმობა 1859 წლის თარიღით, რომელიც მოგვითხრობს პატარა ალექსანდრეს სწავლისა და ინტერესის შესახებ. პირველ კლასში ალ. ყაზბეგს ასეთი წარმატება ჰქონია:[3].

---

[1] აკაკი წერეთელი — „ჩემი თაკვადისაული", ნაწილი მეორე.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

[3] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

საღვთო სჯული	3
რუსული	3
ქართული	4
ფრანგული	5
არითმეტიკა	4
ხატვა	3
ვარჯიშობა	3
ცეკვა	4
მუსიკა	5
ყოფაქცევა	5

ჰაკეს პანსიონიდან ალექსანდრე, დ. კარიჭაშვილის ცნობით, გადაუყვანიათ კანონიჩის პანსიონში, სადაც მას უსწავლია 1862 წლიდან 1863 წლამდე.

1863 წლიდან ალ. ყაზბეგი თბილისის გიმნაზიაში სწავლობს, იმ დროს იგი მესამე კლასში უნდა ყოფილიყო. 1864 წელს, ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ალექსანდრე უკვე გიმნაზიის მეოთხე კლასშია. მწერლის იმავე არქივში დაცულია ერთერთი ქვითარი — რომ მას გადაუხდია 1864 წლის მეორე ნახევრის სწავლის ფული სუთი მანეთის რაოდენობით.

1865 წლიდან ალ. ყაზბეგს მშობლები სასწავლებელში აღარ გზავნიან. ისინი ხვეიდან თბილისს წამოსვლას ვერ ახერხებენ და ალექსანდრეს კი თვალიდან არ იშორებენ.

ამავე 1865 წლის 3 მარტის თარიღით მიხეილ ყაზბეგს თბილისიდან ხვეში უგზავნიან ერთ უწყებას, რომელიც აგრეთვე საინტერესო მასალაა ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის. მიმოწერიდან ირკვევა, რომ მიხეილ ყაზბეგს ჯერ კიდევ სავსებით გადახდილი არა ჰქონდა ალექსანდრეს სწავლის ფული ჰაკეს პანსიონში. ჰაკე იძულებული გამხდარა თავისი ხვედრი ფული საჩივრის გზით აეღო. მას მოუმართავს პოლიციის (თუ სასამართლო) ორგანოებისათვის და ახლა თბილისის პირველი რაიონის ბოქაული თავის მეტად თავაზიან მიმართვაში, როგორც ეს შეეფერებოდა გენერალ-მაიორს, მიხეილ ყაზბეგს აფრთხილებდა, რომ თავისი დავალიანება (ოთხმოცდაოთხი მანეთი და 80 კაპ.) სამი დღის ვადაში უკლებლივ დაეფარა [1]. ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდა ეს მიმოწერა, მაგრამ, როგორც არ უნდა ბამთავრებულიყო, ეს ფაქტი თავისთავად საყურადღებო მოვლენაა.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი.

მიუხედავად თავისი დიდი მისწრაფებისა სწავლისადმი, ალ. ყაზბეგი იძულებული გამხდარა გიმნაზიისათვის თავი მიენებებინა. ჭარბალია, ერთი წლის შემდეგ მშობლებმა კვლავ სცადეს ალექსანდრეს დაბრუნება გიმნაზიაში, მაგრამ ესეც მოუხერხებელი აღმოჩნდა. ალ. ყაზბეგს ამის შემდეგ გიმნაზიაში აღარ უსწავლია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შემდგომ ალ. ყაზბეგი დიდად განიცდიდა საშუალო სკოლიდან უდროოდ გამოსვლის მწვავე შედეგებს: ის სასტიკად უსაყვედურებდა თავის მშობლებს იმაზე, რომ მათი საქციელის გამო იგი გიმნაზიიდან გამოვიდა. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ალ. ყაზბეგი ამის შესახებ წერს:

„ჩემი შიში, რომ არ დაგეგვიანებინეთ გიმნაზიაში, და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ ბინიდან ჩემოდან აკიდებული, ქვეითი გამოგექეცით, ცივს ყინვაში. თქვენ გამოგზავნეთ კაცები, დაპიჭირეთ, მიმათრევეთ და, მკაცრს მოქცევას შემდეგ, იანვრამდის დამაგდეთ. რა გამოვიდა იქიდან? გამომრიცხეს გიმნაზიიდან და როდესაც მინდოდა შესვლა, მაშინ ეგზამენია მომთხოვეს იმაში, რაც გაეგლოთ ჩემს ამხანაგებს ჩემს იქ უყოფნელობაში. ეგ აშკარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო გატარების შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იყო ეგზამენიის დაჭერა. ამ უბედურებას მიემატა მამაჩემის ავადმყოფობა, როდესაც წადილი იმ სურვილად გადაექცა, რომ გვერდიდან აღარ მოვშორებოდი. ასე რომ არამც თუ თქვენის მიზეზით გიმნაზიაში სწავლა დაეკარგე, ისიც კი აღარ იფიქრეთ, რომ სხვა რომელსამე გზაზე დაგეყენებინეთ [1].

III

1866 წლის ივლისში გარდაიცვალა ალექსანდრეს მამა მიხეილ ყაზბეგი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყაზბეგიანთ ოჯახს ჯერ კიდევ მიხეილის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში უკვე აღარ ჰქონდა ის დიდი შესაძლებლობა და იერი, რომლითაც იგი ცნობილი იყო ორმოცდაათ — სამოციან წლებში. განუწყეტელმა სტუმრიანობამ და უანგარიშოდ ფლანგვამ ყაზბეგის ოჯახი შესამჩნევად გააღარიბა. ყოველ შემთხვევაში მან დაკარგა თავისი ძალა და ავტორიტეტი. თვითონ ალ. ყაზბეგის გადმოცემით, მამის გარდაცვალების მომენტში მათ ოჯახს ერთი გროშიც-კი არ გააჩნდა, გარდა იმისა, რომ გარდაცვალების წინადღით თვით ალექსანდრემ მამას ათი თუმანი მიუტანა.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3983.

მიხეილ ყაზბეგის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ალ. ყაზბეგის თქმით, იმ დღეს მთელი ხევი იქ შეიყარა, მათი წესის თანახმად, ყველა ჭოსულისათვის საჭირო იყო შესაფერისი შეხვედრა-მასპინძლობა, რაც იმ დროს უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა. მიხეილის დასაფლავებაზე გაწეული დიდი ფულადი ხარჯები, რაც იმ მომენტში ვალად იქნა აღებული, დიდი ხნის განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვა მის ოჯახს. ამ ტვირთის სიმძიმე განსაკუთრებით საგრძნობი იყო თვით ალ. ყაზბეგისათვის.

მამის სიკვდილით გამოწვეული მძიმე შედეგები ალ. ყაზბეგს მეტად მწვავედ განუცდია. იგი თავის ერთერთ ავტობიოგრაფიულ წერილში მოგვითხრობს იმ უბედურების შესახებ, რომელიც მიხეილის გარდაცვალების გამო თავს დაატყდა მთელს ოჯახს და კერძოდ თვით ალექსანდრეს, რომელიც იმ დროს მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო.

ალ. ყაზბეგი ამის შესახებ წერს:

„უბედურება მოჰყვა უბედურებას და შუა ზაფხულში გადაიცვალა მამაჩემი! გადაიცვალა იმ დროს, როდესაც შინ ერთი გროში არა გვქონდა, გარდა იმ ათი თუმნისა, რომელიც მე ჩაუტანე იმ უბედურს სიკვდილის წინადღით და რომელიც იყო ნაყოფი პირველის ჩემი ოფლისა.

„მე არ ვაყვედრებ მიცვალებულს ამ ფულებს იმიტომ, რომ ის ჩვენ წინ დამნაშავე არაფერში არ არის; სანამ კარგად იყო, არავიზედ უარესად არ გვაცხოვრებდა. როდესაც მოკვდა, ეგ ფულები გადასატანად თავის სასაფლაოზედ ძლივს გვეყო და დამარხვა მოგვიხდა ვალზედ. ჩვენში დამარხვა ხომ სხვა ქვეყნების დამარხვას არ ემსგავსება? მთელი ხევი შეიყარა. აი რა დაიხარჯა პირველ დამარხვაზედ:

250 ფუთი ფქვილი	—	1 მან.	—	250 მან.
9 ხარი	—	25	—	225
50 ცხვარი	—	3 „	—	150
10 (ფუთი) ბრინჯი	—	2 – 50	—	2[illegible]
2 ბოჭკა არაყი (80 ვედრო)	—	3	—	240
120 ვედრო ღვინო	—	3	—	360
1 კუბო თავისი მორთულობით		250	—	250
მღდელზედ	—	150	—	150
სხვა წვრილი ხარჯები				300 „
				2.050 მან.

„ამ ხარჯის გარეთ მთელი წლის ხარჯები მთის ჩვეულებით. რომელიც უანგარიშო არის, და ჩერქეზების სიარული თავისი ნათესავისა და იმათში სახელოვანის კაცისა ზომ განუწყვეტელი იყო. ასე რომ ამ ხანებში კარგა ფული შემოგვეხარჯა“ [1].

ამ ხარჯების უდიდესი ნაწილი, როგორც აღინიშნა, ვალად იყო აღებული.

გარდა ამისა მწვავე იყო მამის გარდაცვალება ალ. ყაზბეგისათვის იმ მხრივ, რომ ამის შემდეგ მას კიდევ უფრო მეტად ესპობოდა სწავლა-განათლების მიღების საშუალება. მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახის მოვლა-პატრონობა ალექსანდრეს უნდა გაეწია. როგორც თვითონ ამბობს, თვრამეტი წლის ახალგაზრდას, შეუჩვეველს და ცხოვრებაში გამოუცდელს, ძმა მიხეილ ყაზბეგის სახლკარის წინამძღოლობა უნდა ეკისრა.

ახალგაზრდა ალ. ყაზბეგი სწავლისაკენ მიილტვის, განათლება სწყურია. მიუხედავად იმისა, რომ მას საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრებია, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება და ამ მიზნით მიწერმოწერას აწარმოებს მოსკოვში მყოფ თავის ერთერთ მეგობართან — ბახუტაშვილთან. იგი სთხოვს თავის მეგობარს რჩევა მისცეს, გზა ასწავლოს, დაეხმაროს სასწავლებელში შესვლაზე.

ალექსანდრე ყაზბეგს სწავლის საშუალებას არ აძლევს დედა. მას უნდა თავისი ერთადერთი შვილი ყოველთვის თვალწინ ჰყავდეს, ტკბებოდეს მისი ბედნიერებით. იგი ცდილობს როგორმე ცოლი შერთოს ალექსანდერს, ოჯახის ფერხულში ჩააბას და ამით გადაავიწყოს სამშობლოდან წასვლა.

საფიქრებელია, რომ ის აქტი, რომელიც მოხდა ალექსანდრე ყაზბეგისათვის ცოლის შერთვევინების მიზნით, მოწყობილი უნდა ყოფილიყო თვით ალ. ყაზბეგის დედის მიერ. როდესაც ალექსანდრე მოსკოვში თავის მეგობართან მიწერ-მოწერას აწარმოებდა, ალექსანდრეს დედას შეთანხმება ჰქონდა თავის ძმასთან, ალექსანდრეს ბიძასთან, რომ როგორმე მისი დაქორწინება მოეწყო. სხვანაირად შეუძლებელია ყველაფერი თავისთავად მოწყობილიყო ისე, როგორც ამას ალ. ყაზბეგი თავის ავტობიოგრაფიულ წერილში მოგვითხრობს. აქ ერთიმეორესთან გადაჯაჭვულია, ერთის მხრივ, წერილის მიღება და ალ. ყაზბეგის მზადება მოსკოვს გასამგზავრე-

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3983, „ალ. ყაზბეგის უბის წიგნი № 1“.

ბლად, ხოლო მეორე მხრივ — მისივე მიპატიჟება სტუმრად ქართლში ბიძის მიერ.

წარმოდგენის სისრულისათვის გავეცნოთ ამ ამონაწერს მთლიანად.

ალექსანდრე ყაზბეგი წერს:

„მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი ბ. (ალექსანდრე ბახუტაშვილი) [1], რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მე მივსწერე მას ჩემს გამოურკვეველს მდგომარეობაზედ და ვთხოვდი რჩევას. ჩემს წიგნში ჩაუმატე, რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველად სწავლა. ამაზედ იმან მიპასუხა პირდაპირ როგორც შეეფერებოდა სვინდისიან კაცს შემდეგით: „უკეთუ შენ გინდა წამოხვიდე. რომ იქეიფო, მდიდარი საცოლე მონახო, როგორც ზოგიერთი ყმაწვილი კაცები მოდიან, მაშინ მე გირჩევ რომ არ წამოხვიდე. გარდა უპატიოსნებისა მაგ გვარ მოქმედებაში უანგარიშობაც არის და ეს უანგარიშობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მდიდარი ქალი ჩვენ ქართულს ცხოვრებას და ჩვეულებას ვერ მოეწყობა და მაშასადამე შენი მომავალი მოწამლული იქნება. და თუ შენ გინდა ნამდვილად სწავლისათვის წამოხვიდე. იმედი გაქვს შენის ძალისა, რომ აღსრულებაში მოიყვან შენს სურვილს. მაშინ წამოდი. მხოლოდ გახსოვდეს, რომ სწავლის გაგრძელება კაცისათვის, ვინც ერთხელ შესწყვიტა, ისე ადვილი არ არის, როგორც შენ უყურებ“.

„ამ წიგნმა რამდენათაც გამახარა. როგორც მეგობრის გულწრფელმა წიგნებმა, ისე მაწყენინა კიდეც. მე ვერ შევრიგებივარ იმ აზრებს, რომ ჩემმა მეგობარმა ან ერთს მინუტს ცილი მწამა უპატიოსნო აზრებში. მე მივეც ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დაუმტკიცო, როგორც ბ. (ბახუტაშვილს) ისე მთელს ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა ნებიერად აღზრდამ იმდენად არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს.

„ეს მოხდა გაზაფხულზედ“. როდესაც დედაჩემის ძმის წიგნი მომივიდა, რომ იმასა ვწვევოდი ცოტა ხნით ქართლში. ჩემი იქ წასვლა დედაჩემის სურვილიც იყო. რადგანაც იმას უნდოდა, რომ უეჭველად ცოლი შემერთო. როგორც თქვენც მოგეხსენებათ. მამაჩემს დიდი სიმდიდრის ხმა ჰქონდა გავარდნილი და ამის გამოისო-

---

[1] დ. კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“, გვ. VI.

[2] ე. ი. 1867 წლის გაზაფხულზე. ა. მ.

ბით მდიდარ სანატრელ საცოლედ მიყურებდნენ ქართლში, სადაც მე მივედი ჩქარა ბიძიჩემის დაპატიჟების შემდეგ“.

როგორც მოყვანილი ამონაწერიდანაც ჩანს, ალექსანდრე ყაზბეგის გადაწყვეტილება რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად გამგზავრების შესახებ და მისი გაწვევა ქართლში ბიძასთან სტუმრად ერთსადაიმავე დროს მოხდა. ალექსანდრეს სტუმრად გაწვევის მიზანი ის იყო, რომ მისთვის ცოლი შეერთოთ. ამის შესახებ თვით ალ. ყაზბეგი იქვე მოგვითხრობს:

„ბიძაჩემის ცოლის დას ჰყვანდა ერთი ქალი, რომელიც უეჭველად უნდოდათ ჩემთვის შეერთოთ და ამ აზრის აღსრულებისათვის ყოველ წესიერ და უწესო მოქმედებას არა შურობდნენ. მატარებდნენ იმ ქალის საზოგადოებაში, სმაში ღვინოს მაძალებდნენ და იმ ქალს კი ამღერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ მის მზითევზედ, სილამაზეზედ, სითეთრეზედ; მიხატავდნენ სხვადასხვა ამაღელვებელს უპატიოსნო სურათებს და, ერთის სიტყვით, ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მომწონს ანუ მიყვარს. ისინი კარგად იცნობდნენ ჩემს ხასიათს და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენია ამგვარი, მაშინ უარის თქმას ველარ მოვახერხებდი და ჯვარს გადამწერდნენ. მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ გამამაგრა, როგორც სალი კლდე, და მოატყუა ჩემი მდევნელები თავიანთ ანგარიშში. მე დღე და ღამე საფიქრებლად სწავლა შემექმნა და მოსვენებას არ მაძლევდა სტუდენტების ცხოვრება, რომელსაც ისე ცოცხალის ფერებით მიხატავდა ზოლმე ერთი ჩემი ნასტუდენტარი ნათესავი.

„ამ დროებაში ჩემი მასპინძლები იქამდის მივიდნენ, რომ დაიწყეს პირდაპირ ჩემთან ლაპარაკი იმ ქალის შერთვაზედ და მითხრეს გადაწყვეტილი, რომ თავს აღარ დამანებებენ. ჩემი მდგომარეობა სასაცილოზედ უარესი იყო. მაგრამ მე ვიყავ კაცი ცხენსა და იარაღს შეჩვეული, ამასთან ბიჭი მყვანდა საკმაოდ გულადი და გამოცდილი, რომელსაც შევატყობინე ჩემი მდგომარეობა; საერთოდ რჩევით დავდევით, რომ ხვალ დილით დავკაზმოთ ცხენები, გამოუცხადოთ, რომ შინ მივდივართ, და თუ ვინმემ გაბედა ჩვენი დაყენება, ძალით გავიკვეთოთ გზა. როგორც ვთქვით, ისე კიდეც ავასრულეთ. ბევრი ეცადნენ, ბევრი მირჩიეს, მაგრამ რაკი ჩვენი გადაწყვეტილება და შეურყეველობა ნახეს, მაშინათვე თავი დაგვანებეს და სწორე გითხრათ კარგიცა ქნეს, ამიტომ რომ მაშინ თუ მართლა ძალა ეხმარებინა ვისმე, მე და ჩემი კაცი თავებს არ შევიშურებ-

დით. ან რა უნდა ყოფილიყო ჩემი დაქორწინება იმ დროს? ჯერ ერთი ეს რომ მე ვიყავ 18 წლისა, მაშასადამე, ყმაწვილი. ის ქალი კი 22-ს წლისა! მე, სხვადასხვა პირების ყურისგდების გამო, ვფიქრობდი განათლებას და სწავლას და ჩემი საცოლე-კი ყოველ ჯერ ჰფიქრობდა სიმდიდრეზედ, კარეტებზედ და ყველა იმგვარს ცხოვრებაზედ. რაც გამასხარეებული ჰქონდა ჩემს შეხედულებას საქმეზედ. ეს შეხედულება იყო ბავშვური გატაცება თუ დამყარებული აზრი, ეგ ორივე ერთია თითონ საქმისათვის, მაგრამ აქ ის არის შესანიშნავი, რომ მე და ჩემი საცოლე სრულებით სხვადასხვა აზრებისა ვიყავით და სხვადასხვა გზებს ვადექით იმ დროში, როდესაც შეერთებას გვიპირებდნენ“ [1].

მიუხედავად იმისა. რომ ეს სცენა ძალიან მოხერხებულად იყო გათამაშებული, ალ. ყაზბეგს ცოლი მაინც ვერ შეართვევინეს.

როგორც ამონაწერიდან ჩანს, ამ დროს ალ. ყაზბეგს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა სასწავლებელში წასვლა. თუ ერთხელ წამომცდენიყო, შემდეგში უკვე მის შეცვლას ვეღარ მოვახერხებდიო. — ამბობს ალ. ყაზბეგი თავისთავზე. მართლაც. მისი ცხოვრების ერთერთ დამახასიათებელ თვისებად მოჩანს პრინციპულობა და პირდაპირობა საქმეში. მან ერთხელ სიტყვა მისცა თავისთავს, რომ წასულიყო რუსეთში, ესწავლა ბეჯითად და ამით დაერწმუნებინა ყველა, რომ მას შეუძლია ისწავლოს, რომ აღზრდის იმ პირობებს, რომლებშიაც მან გაატარა თავისი ბავშვობა და რომლებიც მას გარკვევით არ მოსწონდა, მასში მაინც არ ჩაუკლავს სწავლისა და შრომის მოყვარულობა.

იმავე 1867 წლის ზაფხულზე. ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღებულ დედის თანხმობის შემდეგ, ალექსანდრე ყაზბეგი მოუთმენლად ემზადება რუსეთს გასამგზავრებლად. იმის გამო. რომ ტრანსპორტი გადატვირთული იყო, მას მოუხდა რამდენიმე დღე კიდევ დაეგვიანებინა. ალ. ყაზბეგი მოგვითხრობს, რომ მას ყოველი ასეთი დღე საუკუნედ ეჩვენებოდა.

როგორც თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი გადმოგვცემს, რუსეთს გამგზავრების მომენტისათვის მთელ მის თანხას 1000 მანეთი შეადგენდა, მაგრამ ეს თანხაც მთლიანად არ გაჰყოლია: ამ მომენტში თავი იჩინეს ვალებმა. რომლებიც ჯერ კიდევ მამამისის დასაფლავებიდან მოდიოდა. „რაკი მედუქნეებმა შეიტყეს რუსეთს მივდი-

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი. № 3983, „ალ. ყაზბეგის უბის წიგნი № 1.

ოდ. დღე და ღამე მოსვენებას აღარ მაძლევდნენ“ — გადმოგვცემს ალ. ყაზბეგი.

ეს ვალები ცოტა როდი აღმოჩნდა: მან სამგზავროდ გამზადებულ ახალგაზრდას შუაზე გაუყო მთელი ფული. ამრიგად, მას ოჯახიდან გაჰყოლია მხოლოდ ხუთასი მანეთი.

სწავლა-განათლებას მოწყურებული, სტუდენტობის მოტრფიალე და ცხოვრების ქარცეცხლში ჯერ კიდევ გამოუწრთობი, ოცი-დე წლის ალექსანდრე ყაზბეგი 1867 წლის ზაფხულზე საქართველოდან მოსკოვს მიემგზავრება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ალექსანდრე ყაზბეგი უმაღლეს სასწავლებელში

I

1867 წელს, მთელ რიგ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ, ალექსანდრე ყაზბეგი უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთს მიემგზავრება. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ალ. ყაზბეგი ამ მოგზაურობის შესახებაც მოგვითხრობს. მწერლის შემოქმედების ხასიათის მთლიანად გათვალისწინებისათვის ვსიშვნელოვანია ყოველი წვრილმანიც კი. ამდენად ინტერესს მოკლებული არ იქნება, რომ ეს მოგზაურობაც გავიცნოთ.

ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარ ნავარაუდევი ათასი მანეთიდან მხოლოდ ხუთასი გაჰყვა. ეს თანხა ვას უნდა ჰყოფნოდა როგორც გზაში, აგრეთვე რუსეთში ჩასვლის შემდეგ კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში. საგზაო თანხების ასეთი განსაზღვრულობა ახალგაზრდა მოგზაურს გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა. ფუფუნებაში აღზრდილი ალექსანდრე ახლა მის მიერ დახარჯულ თვითეულ მანეთს კონტროლს უწევს და უბის წიგნაკში იწერს, თითქოს თავისთავს ანგარიშს აბარებსო. ეს ანგარიშები საყურადღებოა იმითაც, რომ ამით შესაძლებელი ხდება, მისი მოგზაურობის რუკის დადგენაც.

ალექსანდრე ყაზბეგი მოგვითხრობს იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც მან გასწია როგორც გზაში, აგრეთვე მოსკოვში ჩასვლის პირველ ხანებში. ეი ეს ანგარიშიც, რომელიც დაცულია ალ. ყაზბეგის ხელნაწერებში.

დ ა მ ე ხ ა რ ჯ ა:

ვლადიკავკაზიდან როსტოვამდინ დილიჟანი	28 მან.
პურის ჭამა . .	7
როსტოვიდან ცარიცინამდინ გემით	7

[illegible] ქალაქამდის რკინიგზა	1
ქალაქიდან ნიჟნი ნოვგოროდამდინ გემით	14
ნიჟნი ნოვგოროდიდან მოსკოვამდინ	10
პურის ჭაშა და სხვადასხვა ქალაქების ნახვა	25
	სულ: 92 მან.
მოსკოვში სანამ დავბინავდებოდი	25 მან.
6 პერანგი	18
3 ზეწარი	6
1 საბანი	12
სხვა თეთრეული	12
3 პირსახოცი	3
12 ცხვირსახოცი	4
3 გალსტუკი	2
1 საათი	25
1 წყვილი შავი ტანისამოსი	45
1 წყვილი უბრალო ტანისამოსი	37
1 წყვილი წაღები	6
ერთი მაღალყელიანი წაღები	10
ერთი ქუდი	6
ერთი შუბა	45
წიგნები	25
სასწავლებელში	25
წვრილად დამეხარჯა	25
	სულ: 423 მან

ამრიგად, ალ. ყაზბეგს თავისი თანხის უდიდესი ნაწილი დაეხარჯა გზაში და მოსკოვს ჩასვლის პირველსავე დღეებში. მომდევნო პერიოდში მას ცხოვრება უხდებოდა ხელმოკლედ და მეტად გაჭირვებულ პირობებში. იგი თავის ავტობიოგრაფიულ წერილში გადმოგვცემს, რომ დანარჩენი 77 მანეთით ორი თვე გაატარა. თავისი მდგომარეობის შესახებ დედას წერილი მისწერა და დახმარება სთხოვა. მაგრამ დახმარების მაგივრად დედისაგან მიიღო მხოლოდ ნუგეში და მშობლიური ალერსით აღსავსე წერილი [1].

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი. № 3953, „ალ. ყაზბეგის უბის წიგნი № 1“.

იმავე 1867 წლის შემოდგომაზე ალ. ყაზბეგი მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში შედის. როგორც ირკვევა, დედის სურვილი ყოფილა ალექსანდრე სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. იგი უნდა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში, როგორც მეფის რუსეთის დიდი სახელმწიფო მოხელე. მაგრამ ალ. ყაზბეგი, წინააღმდეგ დედის სურვილისა, მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში[1] ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად.

მედიდური დედა თავის ერთადერთს შვილს პირადი ბედნიერებისაკენ უწოდა. მამა-პაპის კვალობაზე, სახელმწიფოებრივი კარიერისათვის მომზადებას ურჩევდა. მაგრამ შვილი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებისაკენ მიიწევდა, ხალხის საკეთილდღეო სამსახური ეწადა და შესაფერისი განათლების მისაღებად ილტწოდა.

ეს არ არის უბრალო მომენტი ალ. ყაზბეგის ცხოვრების იმ პერიოდში. მან დაარღვია დედის სურვილი და არ შეევიდა სამხედრო სასწავლებელში. როგორც ჩანს, ეს ცოტას არ ნიშნავდა და ამიტომაც თავისი გადაწყვეტილება მაშინვე უცნობებია დედისათვის. დედასაც ალ. ყაზბეგის ამ წერილზე დადებითად უპასუხნია. იგი თანხმა გამხდარა შვილის არჩევანზე. შენი ნება არისო, — სწერდა იგი და ალბათ, უფრო იმის გამო, რომ საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო, ალექსანდრეს არჩევანი საბოლოოდ ითვლებოდა.

ამ საკითხის ისტორიისათვის და საერთოდ ალექსანდრე ყაზბეგის ამ პერიოდის საერთო ხასიათის გათვალისწინებისათვის მეტად საყურადღებოა მისი ერთი წერილი დედისადმი, რომელიც დაწერილია სწორედ დედისაგან ზემო აღნიშნული თანხმობის მიღების შემდეგ.

აი რას წერს ალ. ყაზბეგი დედას:

„საყვარელო დედავ. შენი წიგნი მივიღე, რომელმაც დიდად მასიამოვნა. ყველაზე მეტად იმან მასიამოვნა, რომ შესაძლებელი გახდა ჩემი ბედნიერება: ესე იგი ნასწავლი კაცობა და არა თუ აფიცრობა, რომელიც ღირსი არ არის ხსენებისაც, არამც თუ მაგ საქმეში გარევისა. ნება მომეც ხელები დაგიკოცნო უკანასკნელი წიგნისათვის, სადაც მწერ, რომ „შენი ნება არისო". იქიდან მესმის ყოველი შენი ჩემთვის კეთილის სურვილი.

„მე თვითონ ვფიქრობდი შესვლას აქ ერთს სასწავლებელში, საიდამაც ამ წლით, სამი წლის უკან აფიცერი ვიქნებოდი და გამოვიდოდა, რომ აფიცრობის უკან ისევ ისე ხელფეხ შეკრული ვიქნე-

---

[1] ახლა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

ბოდი, როგორც აქამდისინ; მე და ჩემმა ამხანაგებმა ისე გადავწყვიტეთ საქმე: რაკი ხარჯი მომდის, კიდეც გამოვიტანო რამე, რო მოვიდე მიყურებდნენ როგორც ნასწავლს და საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცსა და არა თუ მხოლოდ აფიცერს. მე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ შენც და ყოველი ჩემი კეთილის მყოფიც პირველს მირჩევს. მართალია, ძნელს და ძნელს საქმეს ვებრძვი, მაგრამ მაქვს იმედი თავი გავიტანო და პავლესაგან ნასწავლი ქამანდი უგდო. რომელსაც წაუქცევლად არ გადამირჩება ძნელი საქმისა. და მაშინ მცირე დავითისავით. როგორც ის მივარდა გოლიათს და მოსჭრა თავი. ისე მე ამ ძნელს და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით“ [1].

ეს წერილი მეტად საყურადღებო დოკუმენტია მისი ბიოგრაფიისათვის, იგი შუქს ჰფენს ახალგაზრდა ალ. ყაზბეგის სულიერ მოძრაობას იმ დროს. მასში გარკვეით ისმის მომავალი საზოგადო მოღვაწის ხმა. ალ. ყაზბეგს სჯერა, რომ „აფიცრობა“ და სხვა მისი მსგავსი თანამდებობა სახსენებელიც არ არის იმ საქმესთან, რომელსაც იგი მიზნად ისახავს. იგი უნდა დაბრუნდეს სამშობლოში არა ოფიცერი, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო ნასწავლი კაცი.

ეს წერილი დაწერილია 1867 წლის 24 დეკემბერს, ამ დროს ალ. ყაზბეგი დაახლოვებით ოცი წლისა არის. მიუხედავად ამისა, მას კარგად ესმის მის მიერ დასახული ამოცანების სიმძიმე. მან იცის, რომ იგი ებრძვის „ძნელსა და ძნელ საქმეს“, მისთვის ცნობილია ბრძოლის სიძნელეები, მაგრამ იგი მაინც გარკვევით ირჩევს საზოგადო მოღვაწეობის ნარ-ეკლიან გზას. ალ. ყაზბეგი სწორედ ამ ეკლიან გზაზე სავალად ემზადება.

II

ალ. ყაზბეგი სწავლას იწყებს მთელი თავისი გატაცებითა და მონდომებით. იგი მართლაც თავაუღებლივ მუშაობს. მას სურს საქმით დაარწმუნოს ყველა, რომ იმ თავისუფალმა „აღზრდამ“, რომელშიაც მან გაატარა თავისი ბავშვობა და ყრმობა, მასში ვერ ჩაკლა შრომისმოყვარეობა. იგი თავის წერილში დედისადმი გადაუწერებელად მოგვითხრობს ამის შესახებ:

„მე ახეთს სწავლაში ვარ, — სწერს ალ. ყაზბეგი დედას, —

[1] საქართველოს სახ. მუზეუმი. წ.-კ. ფონდი. ხელნაწერი, № 3977.

რომ დღეში ორი საათი მოცლა არა მაქვს, არც კვირაობით და არც ისე დღეობით. მოსკოვს გარეთ შვიდი ვერსია აკადემია და იქ დავდივარ სასწავლებლად, დილის ექვსი საათიდან საღამოს ათს საათამდე, და ათს საათზედ ისევ მოსკოვში მოვდივარ. მე თვითონ არა მქონდა ჩემი თავის იმედი, რომ ამოდენა ჯდომას გაუძლებდი და ჩემი დაუდეგარი ფეხები სიარულს დაიშლიდნენ. მხოლოდ სამშაბათი საღამო მაქვს თავისუფალი და მაშინ დავდივარ ხოლმე აქ ერთს პომეშჩიკთან, გვარად ველმენინოვები, რომელთაც სამშაბათობით შეყრილობა აქვსთ ხოლმე და ტანცაობაც, რასაკვირველია, სადაც ქალები გადარია ჩემმა ლეკურმა".

საქართველოდან წასვლის დღიდანვე ალ. ყაზბეგს მართლაც განსაკუთრებული ბეჯითობით მოუკიდნია ხელი სწავლისათვის. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: კაცი, რომელიც სწავლას ფიქრობდა უმაღლეს სასწავლებელში, და ისიც იმ დროს, როდესაც საშუალო სკოლაც კი არ დაემთავრებინა, დიდი თავდადებით უნდა შესდგომოდა თავის საქმეს. ალ. ყაზბეგი ამის შესახებ თავის ავტობიოგრაფიულ წერილშიაც მოგვითხრობს: „უნდა გამოგიტყდეთ: აქედგან რომ წაველი, მე არამცთუ გიმნაზიის ატესტატი არა მქონდა, არამედ ძალიან ცოტად ვიყავ მომზადებული. მაგრამ ჩემი ამხანაგის მეცადინეობამ და ჩემმა თავაუღებელმა სწავლამაც იქამდისინ მომამზადა, რომ შემეძლო აშკარად გამეგრძელებინა სწავლა უნივერსიტეტში".

ასე უსაზღვრო იყო ახალგაზრდა ალ. ყაზბეგის მისწრაფება სწავლისაკენ. ასეთი ენთუზიაზმით შეუდგა იგი სწავლას მოსკოვში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე.

ალ. ყაზბეგი სწავლობდა სამეურნეო აკადემიაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სასწავლებელი ვერ უპასუხებდა ახალგაზრდა ყაზბეგის პირდაპირ მიზანს. იგი ოცნებობდა შესულიყო უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში, საიდანაც ალ. ყაზბეგი უნდა გამოსულიყო ექიმი — ქირურგი. სამეურნეო აკადემია იყო იმის საშუალება, რომ მოიპოვებდა რა სტუდენტის სახელს, უფლება ეძლეოდა ვადასულიყო სხვა უმაღლეს სასწავლებელში საშუალო სკოლის ატესტატის გარეშე.

ალ. ყაზბეგი მოსკოვის სამეურნეო აკადემიიდან ფიქრობდა გადასულიყო პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში. ამ მიზნით ალ. ყაზბეგი, თავის ამხანაგთან ერთად, 1868 წლის ზაფხულზე მოსკოვიდან პეტერბურგს მიემგზავრება. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ის მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ამ მოგზაურობასთან

დაკავშირებით მათ დააგირავეს ალ. ყაზბეგის ამხანაგის პალტო, რომელიც შეადგენდა მათს უკანასკნელ იმედს.

ალ. ყაზბეგმა და მისმა ამხანაგმა დიდის გაჭირვებით მოიარეს პეტერბურგი და, როგორც ჩანს, ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. ყაზბეგი პეტერბურგის უნივერსიტეტში არ გადასულა.

1868 წელს ალ. ყაზბეგის პეტერბურგს ჩასვლასთან დაკავშირებით ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს, რომელსაც უდაოდ აქვს მნიშვნელობა მწერლის ბიოგრაფიისათვის.

ალ. ყაზბეგი თავის წერილში გარკვევით ამეღავნებს იმ აღტაცებას, რომელიც გამოიწვია მასში პეტერბურგის ნახვამ. პეტერბურგს იგი იცნობდა მხოლოდ შორიდან, ნაცნობთა და მეგობართა გადმოცემით. მას არ შეეძლო არ განეცადა ამ ქალაქის პირადად დათვალიერება. მაგრამ ახალგაზრდა ალ. ყაზბეგის განსაკუთრებული ყურადღება მაინც პეტერგოფს მიუპყრია.

პეტერგოფში ალ. ყაზბეგი ამხანაგთან ერთად არ წასულა, იგი მარტო იყო. ყაზბეგი პეტერგოფს გაემგზავრა იმ მიზნით, რომ იქ უნდოდა ენახა თავისი ერთერთი ნათესავი, რომლისათვისაც დახმარება უნდა ეთხოვა, ხოლო თანამგზავრი, უსახსრობის გამო, დაბრუნებამდის პეტერბურგს დატოვა.

როგორც ჩანს, ალ. ყაზბეგს მოკლე დროის განმავლობაში პირდაპირ მუშტრის თვალით დაუვლია პეტერგოფის თვალწარმტაცი სანახაობა. მაგრამ, როგორც ყველა მნახველის, ალ. ყაზბეგის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია პეტერგოფის ცნობილ შადრევნებს. პეტერგოფის ბაღებში ახალგაზრდა მოგზაურს საქართველოს ბუნების ანალოგია დაუნახავს, ხოლო ზღაპრული შადრევნები პოეტური შთაგონების წყაროდ გადაქცეულან.

მის ხელნაწერებში დაცულია ის ჭეშმარიტად პოეტური აღწერა პეტერგოფისა, რომელიც მგზნებარე მნახველში გამოიწვია ამ ადგილის დათვალიერებამ. ყაზბეგი თავისებური კრძალულობით ეკიდება აღწერის ობიექტს — თითქოს ვერ ბედავს მეტის მოცემას და გვეუბნება: ავწერ მხოლოდ ერთს კუნჭულს ამ ბაღისასო. აი ეს სტრიქონებიც:

„პეტერგოფი. პეტერგოფი არის ერთი ისეთი ქალაქი, რომელშიც კაცი გაშტერებას მიეცემა კაცის ხელოვნებაზედ. მე აქ ავწერ მხოლოდ ერთს კუნჭულს იმ ბაღისას, რომელიც წინ უძევს საზაფხულო დარბაზს. ეს დარბაზი არის აშენებული პატარა გორაკზე, საიდგანაც სჩანს მთელი თეთრი ზღვის ნაწილი და შორს პეტერბურღი, თავისი წმინდა მაღალი შენობებით. ამ გორაკზე არის გაკეთებული

მარმარილოს კიბეები, რომელზედაც თანასწორად ჩამოდის ჩუხჩუ-ხით წყლები. აქა-იქა ამ კიბეებზედ ამოდის ბრონზის სტატუები, რომელთაც სხვადასხვა რიგი მდებარეობა აქვსთ და გაუშვერიათ თი-თები, ამ თითებიდან სცემს წარმოუთქმელს სიმაღლეზედ შადრე-ვნები. გორის ბოლო თავდება დაყრილის ხავს მოკიდებულის ქვე-ბით, რომელშიაც იკარგება წყალი და იმათ წინ მშვენიერი, წითე-ლი ქვიშით დაფენილი გზა მიდის. რამდენსამე საჟენს მოშორებით დარბაზის პირდაპირ არის მოთხრილი დიდი აუზი, რომლიდგანაც დიდი არხი პირდაპირ მიდის ზღვაში. ეს არხი და აუზი იქამდინ დიდები არიან, რომ შეუძლიანთ მსუბუქმა ნავებმა იმუშაონ. შუა-გულ აუზში არის ამოყვანილი ბურჯი, რომელზედაც სდგას ბრონ-ზის საშსონ ძლიერი. მას შესტოტებია ლომი. საშსონს პირში ჩაუ-ვლია ხელი და სურს გაგლიჯოს ლომი. ესენი ორივე წარმოუთქმე-ლის სიდიდისანი არიან და შეწუხებულს ლომს საშინლად დაუღია პირი, საიდგანაც ვებერთელა შადრევანი ამოდის, რომელიც ყველა-ზედ მაღლა სცემს და დაიფრქვევა ათას წინწკლად. მზის შუქი, რომელიც გადაიმტვრევა ამ ათას წვეთებში, თამაშობს და იღებება ათას ფერად, რომელნიც ისევ ერთმანეთსა სცვლიან და ასიამოვნე-ბენ თვალს. არხს აქეთ-იქით ამოდის თანასწორი შადრევნები პირ-დაპირ მიწიდან. ახლა ამას დაუმატეთ ხეები, რომლებიც თავის სი-მაღლით გაებაასება ჩვენს საქართველოს ხეებს და მოელი სურათი იმ ერთი კუნჭულისა თქვენ თვალწინ იქნება“ [1].

ასეთი იყო ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ახალგაზრ-და ალ. ყაზბეგზე პეტერგოფის დათვალიერებამ. ეს აღწერა, რომ-ელიც, თვით ყაზბეგის თქმით, მხოლოდ ერთ კუნჭულს ეხება დიდი ბაღისა, საკმაო წარმოდგენას იძლევა ცნობილი შადრევნების შესახებ.

ალ. ყაზბეგი პეტერგოფიდან იმავე დღესვე უნდა დაბრუნებუ-ლიყო, ხოლო პეტერბურგში მისი მოწყობა განზრახულ უმაღლეს სასწავლებელში მოუხერხებელი გამხდარა. რამდენიმე დღის შემ-დეგ ყაზბეგი ისევ მოსკოვში, პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, განაგრძნობს სწავლას.

ალექსანდრე ყაზბეგი მოსკოვში მეტად ხელმოკლედ ცხოვ-რობდა. მწერლის არქივში დაცული მთელი რიგი პირადი წერილე-ბი პირდაპირ მეტყველებენ იმ მძიმე და აუტანელი პირობების შე-სახებ, რომლებშიაც იგი სტუდენტობის დროს ცხოვრობდა. ერთ-

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი, № 3983.

ერთ წერილში თავის მდგომარეობის შესახებ ის სწერს დედას: „აგერ ექვსი თვე შესრულდა რაც ველი ფულს და ოთხი თუმნის მეტი არა მომსვლია-რა. მე განსაცვიფრებლად მიმაჩნია თქვენი მოქმედება, მისთვის, რომ თქვენ ძალიან კარგად იცით ჩემი აზრი და სურვილი: მე აქ მოვსულვარ სასწავლელად და არა თუ ფულების მოსაგებად. ერთი ეს ჰკითხეთ თქვენ თითონ თქვენს თავს: კაცს, რომელიც ისე უკან არის დარჩენილი, როგორც მე, შეუძლია კიდეც ისწავლოს და თავის თავიც გაიკვებოს? თქვენის გამოისობით კინალამ სასწავლებელში შესვლას მოვცდი და ილაჯი რომ გამიწყდა, გიორგისთან მოველ და ვთხოვე დეპეშა მოგწეროს“ [1].

ამ წერილებს დედა ყოველთვის პასუხობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მას საკმარისად არ უგზავნიდა ფულს. დახმარების მაგიერ შვილს ხშირად ბოდიშის წერილებს წერდა და თან „ნაკლებ ხარჯვას“ ურჩევდა. ერთერთი ასეთი წერილის საპასუხოდ ალ. ყაზბეგი დედას წერდა: „იძახით ხუთი თუმანი ბევრი არისო, აბა როგორ ბევრია? აი თვეში რა გვეხარჯება: ოცდახუთი მანეთი სადილი და ოთახი, ხუთი მანეთი ჩაი და შაქარი; სამი მანეთისა სანთლები, თვეში ორი მანეთი წაღებისათვის უნდა გადაიდოს. ერთი თუმანი წიგნები. დარჩა ხუთი მანეთი, ეგეც ან ბულკს იყიდი, ან რძეს. აბა რაღა რჩება ერთი მითხარ“ [2].

მაგრამ ალ. ყაზბეგის ეს გამოანგარიშება იყო მხოლოდ საჭიროების ჩამოთვლა, სინამდვილეში კი მას ამ ანგარიშის ნახევარიც არ შეეძლო დაეფარა: მას არ უგზავნიდნენ. მწერლის დღიური ჩანაწერები და მოგონებები პირდაპირ მეტყველებენ მისი ცხოვრების მეტად მძიმე პირობებზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მთელ მანძილზე.

ალექსანდრე ყაზბეგის სტუდენტობის პერიოდიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ერთი წერილი დედისადმი 1869 წლის სიწურულს. თავის ამ ვრცელ წერილში ალ. ყაზბეგი დედას სწერს, რომ გადაწყვიტა ცოლის შერთვა და ესაჭიროება კარგა დიდი თანხა (ათასი მანეთი). დედამ ალექსანდრეს მართლაც გაუგზავნა ფული და ნიშნობისათვის საჭირო სამკაულები, მაგრამ ალ. ყაზბეგს ცოლი არ შეურთავს.

ზოგიერთი მკვლევარი ალ. ყაზბეგის ამ წერილს სთვლის განზრახ ჩადენილ სიყალბედ, დედისაგან ფულების გამოტყუების მიზ-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3977.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3977.

ნით, რომ ამ მიზნით მან შეთხზა არარსებული რომანი და მოიწერა, როგორც მართალი ამბავი. მაგრამ ამგვარი ახსნა ასეთი ძლიერი განცდებით აღსავსე წერილისა სამართლიანი არ იქნება: ჯერ ერთი, საფიქრებელია, რომ ალ. ყაზბეგს მართლაც ჰქონდა წერილში დახატული რომანის მსგავსი რამ, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია გადაჭრით თქმა, თითქოს მან შეთხზა ეს რომანი. მაგრამ დავუშვათ, რომ ალ. ყაზბეგს არავითარი რომანი არა ჰქონია და მხოლოდ ფულისა და ნივთების გამოტყუების მიზნით მოიწერა ეს წერილი. ამ შემთხვევაშიაც კი ახალგაზრდა ალექსანდრეს სიყალბე მისივე მდგომარეობით არის ნაკარნახევი. სამშობლოდან გამგზავრების შემდეგ მას ოჯახიდან თითქმის არავითარი დახმარება არ მიუღია და ახალგაზრდა სტუდენტი წლების განმავლობაში ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. ალ. ყაზბეგი, რომელმაც თავისი ბავშვობა უსაზღვრო ფუფუნებაში გაატარა, ახლა ნახევრად მშიერი ცხოვრობდა. ნის საარსებო საშუალებას შეადგენდა სტუდენტი ამხანაგებისაგან მიღებული დღიური, დახმარებები. იგი დედას სწერდა წერილებს, ატყობინებდა თავის უსახსრობას, მაგრამ პასუხად მხოლოდ კეთილი სურვილები და ტკბილი სიტყვებით აღსავსე წერილები მიუდიოდა.

მართალია, მიხეილ ყაზბეგის ოჯახი ამ დროისათვის საკმაოდ გაღარიბებულია, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ალექსანდრესადმი დახმარების საქმეში მაინც იგრძნობა ოჯახის მხრით ერთგვარი გულგრილობა, ზედმეტად თავის დასაწყლება. საფიქრებელია, რომ დედის ასეთმა უყურადღებობამ ალ. ყაზბეგი მოთმინებიდან გამოიყვანა და ეს წერილი მოაწერინა.

ალ. ყაზბეგის ეს პირადი წერილი უდაოდ საყურადღებო ფურცელია მის ბიოგრაფიაში. იგივე წერილი მნიშვნელოვანი დოკუმენტია აგრეთვე დიდი მწერლის შემოქმედებითი განვითარების ისტორიაში. დავით კარიჭაშვილი წერდა: „ეს წერილი კი არა, პირველი მისი რომანია. მისი ფანტაზიის ნაყოფი". მართლაც, ამ პირად წერილში მოცემული ქალის (ნინოს) აღწერა მკითხველს ძალდაუტანებლივ აგონებს ალ. ყაზბეგის რომანებში მოცემულ ქალთა ტიპების აღწერას.

დასახელებული წერილი, როგორც უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი ალ. ყაზბეგის ცხოვრება-შემოქმედებაში, ზედმეტი არ იქნება მთლიანად გავიცნოთ.

„ათასჯერ ბოდიშს ვითხოვ, საყვარელო და დაუვიწყარო დედავ, რომ აქამომდის ჩუმად ვიყავი და ჩემი დაწვრილებითი ამბავი არ

შეგატყობინე. ვფიცავ ყველა ციურს და მიწიურს, რომ ჩემი გული და გონება მხოლოდ იმ აზრში არის, როგორ მოვაგვარო, მოვახერხო საქმე ისე, რომ, ამ თქვენს სიბერეში, მოგცეთ მშვიდობიანი ცხოვრება, პატივი და დიდება, როგორც შეეფერება თქვენს შთამამავლობას. ხელის ხელ-დაჭერით ამ აზრს მოსდევს აზრი ჩემი ოჯახის ამაღლებისა, რომელიც გსურთ თქვენცა. დამიჯერე, მუდამ დაუვიწყარო დედავ, რომ მზათა ვარ ყოველთვისინ ჩემი თავი მსხვერპლად მოგიტანოთ თქვენა და ზემოხსენებული აზრების აღსრულებას. აქამდისინ ჩემი საქმეები იმ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ჩემი სიტყვები არაფერი სანუგეშო იქნებოდნენ. ეხლა კი შემიძლიან წარმოვსთქვა თავ-ამაღლებულმა, რომ ჩემი აზრები თავდება და ძლივს ჩემს ბებერს დედას და ძველს ოჯახს ავაყვავებ იმ ბედნიერებით, რომლითაც ჰყვავოდა მამაჩემის და პაპიჩემის დროს. ეხლა საქმეები იმ მდგომარეობაში არიან, რომ ყოველს ჩემს კეთილის მყოფს შეეძლება ჰქონდეს იმედი ჩემზედ; ნამეტნავად შენ, ჩემო მარტო ერთო ნათესავო, შენა, ჩემის მამის საბსოვარო... წიგნი თავისით არის მცირე ხმაურობა, მცირე სიტყვები იმასთან, რაც ჩემს გულში ტრიალებს, გახსენი და ნახავ ამავე კარტინებს, მხოლოდ გაჩაღებულებს პატიოსანის ნათელით; წმინდისა, როგორც მთის დაუღლელი ბროლი და ციასკრის ალიონი, თეთრი და პატიოსანი, როგორც უპირველესი ყაბიყი ზამთრისა, — უმტვერო, სპეტაკი და პატიოსანი მუდამ ფარული უწმინდურობისაგან, მიხეილ მთავარ-ანგელოზის ძალით. მაინც მაგის ფრთას უფარავს ყოველთვისინ ჩვენი ოჯახი იმ უბედურების და დასანგრევის ქარებისაგან, რომელიც რამთენჯერმე დასტრიალებდა თავზედ ჩვენს ოჯახს.

„დიდება მაგის სახელს! დიდება მაგის ძალს!... მუდამ ყველა კეთილ სურვილში დამბმარებელს. საკვირველმა სიზმარმა გამომიყვანა იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ეძახიან დავარდნას, მხნეობის დაკარგვას. ვითომ ყაზბეგში ვიყავ ჩვენს ეკლესიაში, იქა ვლოცულობდი და ცრემლითა ვსთხოვდი, რომ რაღაც საქმე აესრულებინა ჩემთვის ღმერთსა. (ეს იყო ის დრო, როდესაც გავიცანი ღენერალი გრაფი ჩერნიშოვი-კრუგლიკოვი თავის შეუდარებელის ქალით მოსკოვის პატიოსანთა სობრანიეში). ვითომ მთავარ-ანგელოზმა გამოშალა თავისი ფთა და მითხრა: „დედიშენის ლოცვა მივიდა ღმერთამდის, რომელმაც შეიწყალა იმისი მდგომარეობა და თხოვნა. გასწი და ჩემი ფთა არ გაგიშვებს თავის მფარველობიდგან“. წამოვდექი რაღაც კეთილ გუნებაზედ და ვიზეტით წაველ — აქ ჭავჭავაძეები არიან ორნი, ძალიან მდიდრები, რუსის ქალები

ჰყავთ ცოლებათ — იმათთან, რომელთაც ძალიან უყვარვარ და ყველა საქმეში ხელს მიმართავენ. ჩერნიშოვი-კრუგლიკოვი იქ იყო. თურმე ერთი ჭავჭავაძეთაგანი ისეთი დაახლოებული მეგობარი ყოფილა, როგორც ძმა. რასაკვირველია ქალიც იქ იყო. რასაკვირველია მივესალმე. როგორც სახლის პატრონებს, რომლებიც ის იყო სოფლიდან მოვიდნენ და საშინლად გაეხარდათ ჩემი ნახვა, ისე ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს თავისის ქალით. სუფრ მესამე დღეა რაც ვიცნობდი უკანასკნელებს. სობრანიაში წარმადგინა მათთან ერთმა ჩემმა ნაცნობმა ყმაწვილმა კაცმა კნიაზ გალიცინმა. მე რასაკვირველია ვთხოვე ქალს კადრილი, რომელზედაც მივიღე სრული თანხმობა. მაგრამ იმისმა მშვენიერმა სახემ და ტანმა კინაღამ იქვე არ დამათრო. ქალმა შემამჩნია, მხიარულად იყო და მთხოვა, რომ ვიარო იმათას. კიდევ რამთენჯერმე ვიტაცევით ერთად და წაველით თავ-თავის სახლში. ამ შეხვედრის უკან ყოველთვისინ ვემზადებოდი, რომ ვიზიტი გამეკეთებინა, შაგრამ როგორღაც ბევრსა ვფიქრობდი და არ ვიცოდი როგორ მივსულიყავ. ჭავჭავაძეებთან რომ ვნახე, იმან გამომიყვანა ფიქრიდან და შევიწროვებიდან. აქ სუყველანი სადილათ დავრჩით და ჰირობა შევკარით, რომ საღამოზედ თეატრში ერთად წავსულიყავით. კაცები ვიყავით კრესლებში, ქალები კი ლოჟაში და მთელი თეატრი მხოლოდ იმის ყურებაში გავატარე. თავისუფალ დროში კი ლაპარაკი არ გაწყვეტილა ჩვენში. აქედან ჩავარდა საძირკველი ჩვენის დაახლოებისა. თეატრი როცა დაიშალა და სტუმრები წავიდნენ, მე ჭავჭავაძიანთა წავედი ვახშმათ. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი მდგომარეობა არავის არ შეემჩნიეა, მაგრამ ვახშმის წინათ ერთმა ჭავჭავაძის ცოლმა გამიყვანა ცალკე ოთახში და პირდაპირ მკითხა: „ძალიან გიყვარს გრაფის ქალი?“ მე საშინლად გავწითლდი. ბოლოს ლაპარაკი იმით გათავდა, რომ „ძალიან მდიდარი არის, მაგის მეტი არავინა ჰყავს მაგის მამას. ეხლა აქვს მზითვად დანიშნული ოცი ათასი თუმანი და მამის სიკვდილის უკან დიდი მამული და ფული დარჩება. ნახეთ, გაიცანით ერთმანეთი და თუ მოგეწონება, საქმე შეიძლება!“ ისეც მოხდა. მეორე დღეს გავუკეთე ვიზიტი, მერე კვირაობით დავიწყე სიარული, მერე უფრო ჩქარ-ჩქარა. ამაობაში საშინლად დავახლოვდით. ერთს დღეს ჭავჭავაძეებთან მოიყვანა ქალი მამამ და თვითონ ისევ წავიდა. იმ საღამოზედ მეც იქ მივედი. მე ვთხოვე ქალს დაეკრა ერთი სონატა ფორტოპიანზე, რომელიც მე მომწონდა ძალიან. ქალი გამოვიდა და დაუწყო ფორტოპიანის კლავიშებს გადარბენა. მე კედელზედ მიყუდებული გულმღელვარებით უყუ-

რეგდი ქალს. აქ უნდა ავიწეროთ იმისი სახე, რომელმაც ისე დამიმონავა და ნება აღარ მომცა თავისუფალი აზრისა. მშვენიერის მაღალის ტანისა, ამაყურად ამაღლებული მკერდი სუნთქამდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მცირე მღელვარებას. მშვენიერს თეთრ უმტვერო პირსახეზედ ეშლება ვარდისავით სიწითლე, ტუჩები ალის ფერი ჰარჯანსავით მომღელვარე, პატარეები და მედამ მოცინარი. ნიკაპი ოვალად მოყვანილი, ცხვირი სწორე და რიგიან პირის სახესთან. მშვენიერი დიდი ლურჯი თვალები, მოელვარე, თითქო ცეცხლი ეს ალის უნდა ამოხდესო, რომელსაც იფარამენ გრძელი მშვენიერი წამწამები. ზემოდან მშვენიერად წამოსდგომიან შვილდსავით მოხრილი წარბები, მაღალი შუბლი და ხუჭუჭი თმები ამსგავსებენ ანგელოზს დაუდარებელს გრაფინიას. მშვენიერი თითები, გრძელი და თეთრი როგორც ბროლი უფრო მშვენიერდებიან ალისფერის ფრჩხილებით. უკანასკნელი ამბავის დროს იყო თეთრს უმტვერო ტანის ამოსში მჭრქალის ლენტებით მორთული და თმა-გაშვებული ლოკნებით. არა, არ შემიძლიან აგიწეროთ იმისი მშვენიერება. ეს არი ციური უმანკოება! ამასთან სიკეთე იმისი, რომელსაც საზღვარი არა აქვს!... ეს იჯდა და უკრამდა ფორტოპიანს, როდესაც ერთბაშად, სრულებით დამავიწყდა ჩემი თავი და მივვარდი ხელზედ საკოცნელად სიტყვებით: „ნინო, მიყვარხარ, ნუ თუ არა გრძნობ ამ ამბავს?“ ცოტათი შეკრთა ამ სიტყვებზედ, გაწითლდა, მაგრამ ხელი არ წამართო. მე დაუწყე ლოშნა და კიდევა ვკითხე, ვუყვარვარ მეცა თუ არა. ამაზე მიპასუხა მღელვარებით: „ისე, როგორც ჩემს სიცოცხლეში არავინა მყვარებია“. ამის უკან წამოდგა და ჩემ გულზედ გადმოდო თავისი თავი. ერთმანეთის გვესმოდა ორთავ. მე მეჭირა ერთი ხელით იმისი ხელი და ვკოცნიდი, მეორე ხელი მქონდა შემოხვეული ტანზედ, აღგზნებულის თვალებით ვუყურებდი პირის სახეში. წარმოიდგინე ჩემი ბედნიერი მდგომარეობა იმ წამს. ქალი რომელსაც თითქმის ღმერთადა ვთვლიდი, ქალი, რომლისაც თითქო მეშინოდა, რომელთანაც ვერ ვბედამდი მეტი სიტყვის თქმას, ეხლა იყო მოკრული ჩემ გულთან, იმისი ხელი მეჭირა ხელში და ვკოცნიდი იმთვენს, რამთენიცა მსურდა! ქალმა, რომელსაც გრაფებიც დასდევდნენ, თავადებიც, ღენერლებიც და სხვებიც, ამოირჩია კაცი ბევრით სხვებზედ ღარიბი, ბევრით სხვებზედ ულამაზო, ბევრით სხვებზედ უარესი. ჩემს სიბარულს არ ჰქონდა საზღვარი. ამ მდგომარეობაში მოგვასწრო ჭავჭავაძის ცოლმა, რომელმაც ნამდვილის მეგობრულის მხიარულებით მოგვილოცა. მაშინვე ყველამ შეიტყეს, რომ მე და ნი-

ნოს ერთმანეთი გვიყვარს და გამოვუცხადეთ სიყვარული. ყველამ თვითეულად მოგვილოცეს. ორი საათის განმავლობაში, ვიდრე მამა მოუვიდოდა ნინოს. მარტოკები ვისხედით ოთახში, რომელშიაც სიჩუმეს დაშლიდა ხოლმე ალერსიანი სიტყვები და გატაცებული სიცოცხლით სავსე კოცნა. ორმა საათმა გაიარა ჩქარა ნამეტნავად. ამ დროს მოვიდა (ქალის მამა), რომელსაც ჭავჭავაძე ელაპარაკა. შეგვატყობინეს, რომ მამა თანახმა არის და თვითონ მოდის გასტინაში, რომელშიაც გამოვედით. შემოვარდა მამა და ცრემლიანის აღელვებულის თვალებით ჯერ ქალი გადაკოცნა, მერე მე. მერე ცოტახანს უკან მითხრა: „აი, შვილო. აღმიზრდია ჩემი ქალი, კეკლუცობაში და სიყვარულში. ჩემი სიცოცხლე გამიტარებია იმაში, რომ ამ ცოტა დღეების უკან რაც მე დამრჩა ცაცხოვრებლად, ჩემმ ნინომ იმავე მზიარულებაში გაატაროს. ღმერთს უნდოდა, რომ მე ჩემს სიბერეში შენ გამჩენოდი პატრონად და ნინოს საყვარლად". ამ დროს გამოართვა ხელი ქალს და მე, შეაერთა და სთქვა: „აი ჩემი ქალის ხელი. ოცი ათასი თუმანი აქვს მზვითვად და მაგის გარდა, როცა მოვკვდები, სულ თქვენი იქნება. ნინას მშვენიერობა და კეთილ-გულობა არის შენთვის უკეთესი სიმდიდრე. ღმერთმა ისე გაგაბედნიეროთ, როგორც ჩემი ბებერი დაფერფლილი გული სთხოვს". ეს სიტყვები გაწყვიტა შამფანსკის პრობკების ხმაურობამ და რამთენსამე მინუტს უკან ყველამ მოგვილოცეს ბედნიერება. ეხლა ამ მდგომარეობას ვარ. არავინ სხვებმა ჯერ არა იცის-რა. შობის მესამე დღე დიდი ბალი ექნება ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს, რომელშიაც გამომაცხადებენ აშკარა სასიძოდ.

„მაქვს იმედი რომ თქვენი დალოცვა არ მომაკლდება ამ სრულს და ნამდვილს ბედნიერებასთან. რომელზედაც თქვენის ნების დართვისაც უნდა ჩქარა შემატყობინოთ. კიდევ გაგიმეორებ და დაგარწმუნებ, რომ რამდენსაც ჩემს სიამოვნებაზედ ვფიქრობ, იმთვენს თქვენზედა და ჩემს ოჯახზედ. ეხლა უნდა გითხრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმ მიმართულებაში არის. ამ საქმის დაშლა და ჩემი უბედურობა ერთი იქნება... დარწმუნებული ვარ. რომ ძალიან ძნელი იქნება ჩემი გამოცხადება შენთან, რომ ამ საქმისათვის ერთი ასი თუმანი მომინდება. გეფიცები პატიოსანს სიტყვას, რომ უკეთუ შეიძლებოდეს როგორმე სხვა მხრიდან შოვნა, მე შენ არ შეგაწუხებდი. აქ ყველანი მიყურებენ მეც როგორც შეძლებულს კაცსა და უკეთუ სომხებისაგან ვისესხე, მაშინვე ხმა გავარდება და შენი მტერი. ჭავჭავაძეები მაძლევენ, მართალია, ფულს. მაგრამ იმათიცა მეცხვენიან. არც იმათ უნდა შეიტყონ ჩემი მდგომარეობა. იანვრის

გასულს ქორწილი იქნება და მაშინ ნახამთ რა პატივით გადაგიხდი მაგ ხელის გამართვას. ანგარიშში მიიღე, აგერ იანვრიდან არ მომსვლია აქ ფული. ისესხეთ, დააგირავეთ, თუ ძალიან გაჭირდა. გაყიდეთ რაც შეგეხდეს. უთუოდ ასი თუმანი გამომიგზავნეთ. ამასთან გამომიგზავნე ბეჭედი, პრინც ალბერტმა რომ გაჩუქა და შენი ბროშკა, თუ არ გენანება, რომ ნიშნად მივცე. ესენი ყველაფერი ჩემთვის ისე საჭირო ბრის, როგორც ავადმყოფისათვის წამალი. უკეთუ ესენი არ გამომიგზავნე, ჩემი საქმე საშინლად გაძნელდება, მაგრამ თუ სულ ჩაიფუშა, გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომ ჩემს თავს ავუტეხამ რასმე. ვიცი, საყვარელო დედავ, რომ როგორც ძნელი უნდა იყოს შენთვის ფულის და ბროშკის გამოგზავნა, ჩემს დღეპვას არ მოინდომებ. დაგიკოცნი იმ ტკბილ ძუძუებს, რომელიც ყოველთვისინ შახარებდნენ ხოლმე და გთხოვ უეჭველად გამომიგზავნო ნივთები და ფული. შენი სიკვდილამდის ი. ყაზბეგი" [1].

ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის ერთი წერილი სტუდენტობის პერიოდიდან.

III

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზროვნება დიდად არის დავალებული რუსული მწერლობის გაკლენით. რუსული საზოგადოებრივი აზროვნების გავლენა განსაკუთრებით დიდია XIX საუკუნის ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების იმ თაობაზე, რომელიც ჩვენში ცნობილია თერგდალეულთა სახელწოდებით.

სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები) იზრდებოდა რუსეთის რევოლუციური ინტელიგენციის იდეური გავლენის ქვეშ. სამოციანი წლების ქართველ სტუდენტობაზე უშუალო გავლენას ახდენდნენ ცნობილი რუსი მოაზროვნეები ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ნეკრასოვი და სხვები.

რუსეთის სამოციანელთა ფართო დემოკრატიული იდეებით გატაცებული ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე 1860 წელს, პეტერბურგში, სტუდენტობის დროს, წერს თავის ცნობილ ლექსს „ქართველ სტუდენტების სიმღერა". ილიას ამ ლექსში გარკვევით ჩანს ხალხის საკეთილდღეოდ სამოღვაწეო ასპარეზზე მომავალი ახალი ინტელი-

---

[1] დ. კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია".

გენციის გატაცება მშრომელთა სასარგებლო საქმიანობით, აშკარაა, რომ ისინი ქედს არ მოიხრიან ველური ძალის წინაშე და თავდადებით იბრძოლებენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

„დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა;
ძალას გულდაგულ დავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა“.

ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1860 წელს.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ალექსანდრე ყაზბეგთანაც. მოსკოვში, სტუდენტობის დროს, ალ. ყაზბეგი წერს სტუდენტობის სასიმღერო ლექსს, რომელშიც პირდაპირ ისმის ხალხისადმი თავდადებული მომავალი მწერლის ხმა. ალ. ყაზბეგს, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, სტუდენტობის დანიშნულებად მიაჩნია ხალხის სამსახური.

ალ. ყაზბეგის აზრით, კარგი სტუდენტი ის არის, ვინც ჩაგრულს გამოადგება, ვინც თავის მწუხარებაში სხვის წუხილსაც გაიგებს, ვინც მშრომელ გლეხში თავის ძმას დაინახავს და მას გულწრფელად ემსახურება. მისი ეს ლექსი მით განსხვავდება ილია ჭავჭავაძის ლექსისაგან, რომ უფრო ღრმად სწვდება ახალგაზრდა სტუდენტების შინაგან განცდებს, მათ ძმურ ცხოვრებას: ერთად სწავლას და სიხარულს, ერთად ტანჯვას და შიმშილს.

აი ეს სტრიქონებიც, რომლებიც ინახება ალ. ყაზბეგის ტების წიგნაკში:

„გავატაროთ ეს ღამე მხიარულადა,
სტუდენტები შეყრილან ერთად, ძმურადა!

ჩვენი ოქროს-დღეები ნახევარი წასულა,
ცოტალა დაგვრჩენია ერთად მხიარულება!
მერე ხომ ჩვენ ხალხშია გარევა მოგვიხდება,
ვინ იცის ვინ რა კაცათ მაშინ გადაქეთდება.

გავატაროთ ეს ღამე მხიარულადა,
სტუდენტები შევყრილვართ ერთად, ძმურადა!

ბევრი მწარე დღეები ერთად გამოვიარეთ,
მაგრამ-კი ერთმანეთსა ჩვენ არსად ულალატეთ,
ფული გვქონდა? — ჩვენ ერთად დროებას ვატარებდით,
არა გვქონდა? — ერთრიგად ყველანი ეშიმშილობდით.

გავატაროთ ეს ღამე მხიარულადა,
სტუდენტები შეეყრილვართ ერთად, ძმურადა!

ის სტუდენტი არ არის, ვინც მოძმეს უღალატებს,
თვითონ მაძღარი იყლის, სხვას-კი არ შეიბრალებს,
ვინც ფრაკით გაჭიმული, კალასკით ისეირნებს,
ლევრეით შეკაზმულსა ბიჭს კოზლაზე იტარებს.

გავატაროთ ეს ღამე... და სხვა.

ვინც რომ საბრალო გლეხში თავის ძმას დაინახავს,
ვინც რომ იმას კაცურად, გულწრფელად აუძრახავს,
ვინც რომ უპატიოსნოდ სხვას მტირალად არ დასვამს, —
აი ნამდვილი სტუდენტი, — ძმად მივიღებთ ჩვენ იმას.

გავატაროთ ეს ღამე... და სხვა.

ვინც რომ ჯაფისა ოფლში, ყინვა-სიცივობაში,
ღღეებსაც გაატარებს ხან-ხან შიმშილობაში,
გამოიცდება კარგად თავის ღარიბობაში,
მხოლოდ იგი მოიტანს სარგებლობასაც ხალხში.

გავატაროთ ეს ღამე.. და სხვა.

ვინც რომ ყინვიანს ღამეს სამშობლოს მოიგონებს,
თავის შეწუხებაში სხვის წუხილსაც გაიგებს,
ვინც რომ სიმართლისთვისა თავსაც არ შეიშურვებს, —
აი ნამდვილი სტუდენტი, ის რასმე გააკეთებს.

გავატაროთ ეს ღამე მხიარულადა,
სტუდენტები შეყრილან ერთად, ძმურადა“ [1].

მოყვანილ ლექსში გარკვევით ისმის ახალაზრდა მებრძოლის ხმა. მასში პირდაპირ იგრძნობა მწერალი, რომელიც დაჩაგრული მოძმის დასახსნელად ემზადება. სამოცდაათიანი წლების რუსეთის მოწინავე იდეებს ნაზიარები ახალგაზრდა ალ. ყაზბეგი დაუფარავად ამეღავნებს თავის გატაცებას ხალხის სასარგებლო სამსახურით. ეს ლექსი უდაოდ ერთერთი მეტად საგულისხმო ფურცელია მის ბიოგრაფიაში.

ალექსანდრე ყაზბეგს უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია. 1870 წლის შემოდგომაზე იგი მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3983.

თავი მესამე

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხთან

I

ალექსანდრე ყაზბეგი ადრევე გატაცებული იყო ხალხის ცხოვრებასთან დაახლოებით. მომავალ დიდ მწერალს ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ზედმიწევნით შესწავლის სურვილი ჯერ კიდევ სიჭაბუკის პერიოდში აღელვებდა. ეს ინტერესი შემდგომ კიდევ უფრო ღრმავდება და ფართოვდება.

მოსკოვიდან დაბრუნებულ ალ. ყაზბეგს რუსეთის ტახტის წინაშე მამა-პაპის დამსახურება დიდ წარმატებას უქადდა მეფის სახელმწიფოებრივ აპარატში, მაგრამ იგი გადაჭრით უარყოფს მამა-პაპის მიერ ნაცად გზას და უარს ამბობს თანამდებობრივ კარიერაზე. ის ეწევა ისეთ ცხოვრებას, როგორც მასა, რათა ორგანულად განიცადოს ხალხის ყოველდღიური ჭირვარამი.

თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში—„ნამწყემსარის მოგონებანი" ალ. ყაზბეგი მოგვითხრობს: „მე 18... წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომეევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს. მე თვითონ, როგორც მთის კაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე. მივუშატე ჩემს ფარას. ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე"[1].

ეს მოხდა 1871 წლის გაზაფხულზე.

ალექსანდრე ყაზბეგის მიერ მეცხვარეობის დაწყება მოულოდნელი იყო მისი ნაცნობებისათვის. ხევის დიდი მებატონის, მიხეილ ყაზბეგის, ერთადერთი ვაჟიშვილი, რუსეთში ნამყოფი, ახლა მეცხვარეობას იწყებდა. ეს ფაქტი განსაკუთრებით აუტანელი გამხდარა ალ. ყაზბეგის მახლობლებისათვის, მისი ნათესავებისათვის.

---

[1] ალ. ყაზბეგი — „ნამწყემსარის მოგონებანი".

ამის შესახებ თვითონ ალ. ყაზბეგი მოგვითხრობს:

„რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად ყველამ, მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიან კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო. მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მ-ნდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი. მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაპირვება, როველიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ. მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცანი ისინი. ვისიც გაცნობა და დაახლოება ასე გულით მსურდა"[1].

ხალხთან დაახლოების სურვილმა ალ. ყაზბეგს მწყემსის ჯოხი ააღებინა. ამით დიდმა ადამიანმა თავის მიზანს მიაღწია. მაგრამ გენერლის შვილს მწყემსად გასვლამ მისი ნათესავები ძალიან გააანაწყენა. ისინი მწარედ დასცინოდნენ ალ. ყაზბეგს ამ ნაბიჯის გამო. თავის ბიოგრაფიულ მასალებში ალ. ყაზბეგი ამის შესახებ წერს:

„ჩემმა მდგომარეობამ უკიდურესობამდის მიაღწია. არამც თუ ჩემს შრომას ყურადღება არავინ მიაქცია, არამედ თავად ჩემზედ დაიწყეს ლაპარაკი. ყოველ ოჯახში საანდაზოდ გახდა გენერლის შვილის შვიდი წლის განმავლობაში მწყემსად სიარული და ეს ხმები სხვადასხვა კომენტარიებით დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევდა. ურიცხვი ნათესაობა, თითქმის მთელი ქართლის არისტოკრატია თავიანთ შეურაცყოფად ხდიდნენ თავის ნათესავის საქციელს, რომელიც „კავალერგარდობის" მაგიერ მწყემსობას გამოსდგომოდა ცხოვრების საშუალებად სხვა არა ეპოვნა-რა.

„რა ღმერთი გაუწყრა მაგ შეჩვენებულს! თუ თითონ ვერ მოახერხა სხვა რიგად ეშოვნა ლუკმა პური, ჩვენ მაინც შეგვატყობინებდა!.. სხვა რომ არა ყოფილიყო-რა პრისტავობას მაინც ვუშოვიდით!" ეს სიტყვები მესმოდა და შეურაცხყოფას მაყენებდა"[2].

ასე შეხვდნენ ნათესავები ალ. ყაზბეგის მიერ მეცხვარეობის დაწყებას.

ალექსანდრე ყაზბეგს მრავალი დაცინვა და დამცირება გადაუტანია მის მიერ არჩეული გზის გამო. მაგრამ თავისი მიზნებისათვის მაინც არ უღალატნია და ბოლომდის გაუტანია. ეს მომენტი არ შეიძლება უბრალოდ აიხსნას, მით უმეტეს ისეთი დიდი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ალ. ყაზბეგი იყო. არჩეული გზიდან უკან-

---

[1] ალ. ყაზბეგი — „ნამწყემსარის მოგონებანი".

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ, ფონდი, № 3989.

დაუბეველობა, პრინციპულობა ალ. ყაზბეგის მთელი ცხოვრების ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად მოსჩანს. თავისი ამ პირდაპირობისა და მტკიცე პრინციპულობის შესახებ იგი თვითონ წერს: „მე არა მაქვს ხასიათად, რომ საქმე ერთხელ თავს ვერ მოვიდეს და მაშინვე დავსუსტდე. სულიერად დავეცე და მაშინვე ბრძოლის ველიდგან გავიქცე. ამის სამაგიეროდ სრულიად მოპირდაპირე ხასიათის კაცი ვარ და ვიყავ, უკეთუ რომელიმე განზრახვის აღსრულებაში სხვადასხვა დაბრკოლება შემხვდა. თითქოს ამით ძალა უფრო მომემატება და ყოველთვის უფრო მომეტებულის ენერგიით მივიბრძვი ერთხელ ნიშნად ამორჩეულს საგნისაკენ. და ეს არის მიზეზი, რომ ჩემზედ გამოლაშქრებულებს გაოცებით ხელებს გააშლევინებს ხოლმე ჩემი შეურყეველობა“ [1].

მოყვანილი ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი პირდაპირ მიუთითებს ალ. ყაზბეგის მაღალ პრინციპულობაზე. ჰიაი ცხოვრებისა და შემოქმედებითი განვითარების გზა მრავალი წინააღმდეგობით ხასიათდება, მაგრამ იგი ამ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში ქედმოხრილი არასოდეს არ ჩანს. ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიაც: მან ხალხის „გაცნობის, მასთან დაახლოების მიზნით უარყო განცხრომით ცხოვრება და მწყემსობა აირჩია, აირჩია და შეასრულა კიდეც.

ალ. ყაზბეგი ჩქარა გაეცნო და დაუახლოვდა მეზობელ მეცხვარეებს. ცოტა ხნის შემდეგ მან ბევრი იმათგანი გარაშანაგა კიდეც და წლების მანძილზე მათთან ერთად მწყემსურად ცხოვრობდა.

ალ. ყაზბეგის ერთერთი კარგად მცნობის, იაგორ ღუდუშაურის გადმოცემით, ალექსანდრე ყაზბეგს შეუპანაგდნენ ხევში ცნობილი მეცხვარეები: სვიმონა გიგაური, მიხეილ ხეთაგური, მიხეილ გიგაური, იოსებ ქუშაშვილი, დათიკო გიგაური და გ. ფიცხელაური [2].

დასახელებულ მეცხვარეებიდან ერთერთი ამათგანის დახასიათება მოგვცა ალ. ყაზბეგმა თავის „ნამწყემსარის მოგონებებში“. ეს მეცხვარე არის სვიმონა გიგაური. აი რას წერს ალ. ყაზბეგი სვ. გიგაურის შესახებ:

„სვიმონა სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილი მთის მეცხვარეებისა. მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უბრალოდ ჭიასაც არ აწყენინებდა, მაგრამ თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯაღრით და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, გადასახდელად საშუალება ეპოვა. ლამაზი, ტანადი, სამართლიანი

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3989.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 5330

და ყმაწვილი სვიმონა ყველასაგან საყვარელი იყო. ყველას სურდა იმისი „ნამგალობა“ და რასაკვირველია, ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზედ მეტად ფასობდა; იმის გამოცდილება და ცხვრის ხელის შეწყობა ხომ ხევში სამაგალითოდ იყო გამხდარი“[1].

ასეთი იყო ალ. ყაზბეგის ერთერთი ამხანაგი-მეცხვარე. ალ. ყაზბეგმა მეცხვარეობაში გაატარა თითქმის ცხრა წელიწადი. ივი ზედმიწევნით გაეცნო ხალხის ცხოვრებას და გახდა მათი ჭირვარამის თანამოზიარე. საყოველთაოდ ცნობილია ის უადამიანო ჩაგვრა და შევიწროება. რომელსაც მთიელი ხალხი განიცდიდა მეფის თვითმპყრობელობისაგან. რუსეთის მოხელეები საშინლად აწვალებდნენ თავისუფლების მოყვარულ მთიელ ხალხს. მოხელეთა მძარცველური დამოკიდებულება ხალხისადმი შესანიშნავად გადმოსცა თავის უკვდავ რომანებში თვითონ ალ. ყაზბეგმა. ამავე რომანებში მან შექმნა მთელი გალერეია მეფის მოხელეებისა, რომლებიც თავიანთი ველური დამოკიდებულებით ხალხისადმი ყოველგვარ საზღვარს აკარებდნენ. მაგრამ ალ. ყაზბეგი არა მარტო წერდა ამ მოხელეთა შესახებ. არამედ თავისი პრაქტიკული საქმიანობით ყოველდღიურად ებრძოდა მათ ბარბაროსულ დამოკიდებულებას ხალხისადმი.

შეიძლება გადაკრით ითქვას, რომ ალ. ყაზბეგს თუ ოდესმე გამოუყენებია თავისი მამა-პაპის ღვაწლი რუსეთის ტახტის წინაშე. ეს იყო ისევ რუსი მოხელეების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ მას არაერთჯერ მიუმართავს საჩივრებით რუსეთის ჩინოვნიკური აპარატის მოხელეთა წინააღმდეგ თვით უმაღლეს ორგანოებშიც-კი. ალ. ყაზბეგის სახით მთიელ ხალხს ერთადერთი მზრუნველი ჰყავდა იმ დროს. ამიტომაც მას „მთიელთა ფარი“ უწოდეს.

იაგორ ღუდუშაური ამის შესახებ გვიამბობს:

„აქ რამდენიმე ხნის განმავლობაში ყაზბეგის მოქმედებამ თვალსაჩინო გავლენა იქონია ჩეჩნებ-ყაზახებში, რადგან ყველა მათმა სოფლებმა შეიტყვეს ყაზბეგის ვინაობა. რადგანაც ყაზბეგის საჩივრის გამო თერგის ოლქის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ უკეთუ მეცხვარეს შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმე, ის მახლობელი სოფელი უნდა მისცემოდა სასტიკ პასუხისგებაში. და მის შემდეგ ნაცვლად გაჯავრებისა თავაზიანად დაიწყეს ცხვარ-მეცხვარეთ გაცილება თავ-თავიანთ საზღვარზედა, რის გამოც მთიელმა მეცხვარეებმა სანდრო ყაზბეგს მთიელთა ფარი უწოდეს“[2].

---

[1] ალ. ყაზბეგი — „ნამწყვეტარის მოგონებანი“.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 5330.

ალექსანდრე ყაზბეგის უსაზღვრო სიყვარულსა და მზრუნველობას ჰეცხვარეებზე და საზოგადოდ მთიელ ხალხზე ადასტურებს აგრეთვე მისი თანამედროვე ა. კობაიძე. კობაიძე თავის მოგონებანი წერს: „ალექსანდრე მიხეილის-ძე მეტად მოსიყვარულე იყო ხევმთიელთა-მეცხვარეებისა, ამიტომაც მათთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ლხინსა. ცხოვრება მისი არაფრით არ განირჩეოდა ცხვარში მყოფ მისი ამხანაგებისაგან ანუ მწყემსებისაგან. უბრალო კოხუჯები, ჩაფარები, ჩოხა-ახალუხები და ნაბდის ქუდი. ტანზედ ყისირა შეადგენდნენ მისს ფეხ-საცმელს და ტანს-საცმელსა; სასმელ-საჭმელიც ისევ მწყემსური: მჭადი, რძე. ყველი და ხორცი მწყემსურსავე გემოვნებაზედ უსუფთაოდ მომზადებული. მას სულ გადავიწყებოდა იმ ფუფუნებაში აღზრდა, ძვირფასი. კოხტა, სუფთა ტანისამოსი და სამზარეულოში ხაბაზებისაგან მომზადებული რამდენიმე ხელი გემრიელი საჭმელ-სასმელი: ჩაი, ყავა, კაკაო და ხილი, სადილის შემდეგ ძილი და განსვენება. სამაგიეროდ შეეთვისებინა შხაპუნა წვიმაში და ქარიშხალში მეცხოველის გემოვნების ჭამა-სმა და ძილი. ასე რომ დიდკაცობის შვილობა და სიმდიდრის ოცნება მთლად ამოფხვრილიყო მის გულიდანა, და სამაგიეროდ მის გულში, გრძნობაში და თავში ჩანერგულიყო სიყვარული გლეხ-კაცობისა. ცხოვრება მისებრივი და ზნე-ჩვეულებაც ხალხური მიეღო მის ბუნებასა და აგებულებასა“ [1].

ასე შეუერთდა ალექსანდრე ყაზბეგი მწყემსთა დაუდეგარ, შიშითა და სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

II

ხალხურ ცხოვრებასთან ორგანულად დაკავშირებამ ალ. ყაზბეგი მთიელთა უსაყვარლეს ადამიანად აქცია. საყვარელი მწერლის თანამედროვეები, ნაცნობები და მეგობრები ერთხმად ადასტურებენ მის უდიდეს დახმარებას ხალხზე. გავეცნოთ ზოგიერთ ამათგანს.

ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგის მამა, მიხეილი, მეტად მკაცრად ექცეოდა მეზობელ მოხევეებს. იგი ხელგაშლილი და მდიდრულად ცხოვრობდა, ხოლო მიხეილის სასახლის ეს დოვლათი ბოლოსა და ბოლოს მოხევეთა ჩაგვრაზე იყო დამყარებული. მას გადასახადების მთელი სისტემა დაეკანონებინა, რომელიც ყაზბეგის სასარგებლოდ თვითეულ ოჯახს და სოფელს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა.

---

[1] გაზეთი „ქართული სიტყვა“, 1923 წ. № 8.

მიხეილ ყაზბეგის მიერ დაკანონებული გადასახადები მისი გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს კვლავ მოსდიოდა. მას ბოლო მოუღო ალექსანდრე ყაზბეგმა: უარყო მამის მიერ შემოღებული გადასახადები და გაათავისუფლა ხალხი ამ უსამართლობისაგან.

იგივე ღუდუშაური ამის შესახებ წერს: „ა. ყაზბეგის მამის დროიდგან სოფელ გერგეტს და ცდოს ჰქონიყო დადებული ხარჯი თითო კვამლზე 5 კონა ფიჩხი და ორი ჩარექი ერბო, რომელსაც თვით ალ. ყაზბეგის დროსაც ხდილობდნენ ყაზბეგის სასარგებლოდ. ეს ძალმომრეულური ყალანი ალ. ყაზბეგმა სცნო უწესო ნაძალადევ ყალნად. რომლის გადახდევინებაზედაც უარი განაცხადა. ამ სოფლელებს მიჰმართა ამ შემდეგი სიტყვებით: ძმებო და მეგობრებო! თქვენი ცოდვა ჰქონდეს თქვენ უსამართლოდ შემაწუხებელსა, ჯოჯოხეთის ცეცხლში იტანჯებოდეს იმისი სული, ვინც თქვენ ნაწვავნადაგზე ითბობდა ხელსა და ყელსაო. ცეცხლად შეერგოს იმის ჩამომავლობას, ვინც დღეის შემდეგ თქვენ ნაოფლ ნაშრომს ხელი ახლოსო. ეს განზრახვა აღსრულებაშიაც მოიყვანა და იმ დღიდგან განთავისუფლდა ამ ხარჯიდგან სოფელი გერგეტი და ცდო“ [1].

ასეთი იყო ალექსანდრე ყაზბეგის დამოკიდებულება ხალხისადმი. ის იცავდა ხალხს ყოველგვარი უსამართლობისაგან, მაგრამ იცავდა და ექომაგებოდა არა მხოლოდ მოხევეებსა და მთიელებს, არამედ ასევე იცავდა და მფარველობდა ყველას, ვისზედაც კი ხელი მიეწვდებოდა, განურჩევლად იმისა, მოხევე იყო იგი, მთიელი საზოგადოდ, თუ კიდევ სხვა.

ყველა, ვინც კი იჩაგრებოდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა მიერ, ალ. ყაზბეგის დაცვისა და გამოქომაგების ობიექტად იქცეოდა. ეს თვისება ალ. ყაზბეგის მთელი ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს ალ. ყაზბეგის ბრძოლას მეფის რუსეთის მოხელეების მიმართ. მართალია, ეს ცნობა შეეხება შედარებით მოგვიანო პერიოდს ალ. ყაზბეგის ცხოვრებისას, მაგრამ იგი მაინც სრულიად უდგება და ავსებს დიდი მწერლის საერთო თავდადებას ხალხისადმი.

ა. კობაიძე თავის ერთერთ მოგონებაში მოგვითხრობს ვის მიერ ნახული ერთი მომენტის შესახებ, როდესაც ალ. ყაზბეგი სტეფანწმინდაში ფოსტის სადგურზე გამოექომაგა რუსეთიდან გზად მომავალ ბოშებს. ალ. ყაზბეგმა თავის მიმართვაში რომელიღაც რუ-

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 5330.

სი გენერალი გააფრთხილა. რომ მას არავითარი უფლება არა აქვს მოქანცული მგზავრები სადგურიდან გარეკოს. კიდევ მეტი: ალ. ყაზბეგმა პირდაპირ შეუთვალა მას. რომ რუსის გენერალს სტეფანწმინდის სადგურზე არავითარი განსაკუთრებული უფლებები არა აქვს და მოხეველებისათვის ბოშები უფრო საბრალოა და ამდენადვე სასიყვარულო, ვიდრე რუსი გენერალი.

ა. კობაიძე „ამ ეპიზოდის შესახებ გადმოგვცემს:

„მე თითონა ვარ მოწმე ერთის ასეთის ამბავისა: 1889 წელს, მკათათვეში. ალექსანდრე აქ. ყაზბეგში (სტეფანწმინდის), იმყოფებოდა და სწორედ ასეთს დროს გამოიარა ნაბად მოსილმა ფოსტის სადგურის წინ, როდესაც ფოსტაში მოსამსახურე მოხელეები ძალდატანებით ვიერეკებოდნენ იქ დროებით დაბინავებულს რუსეთის ბოშებს. (ალექსანდრემ) ჰკითხა რადა სტანჯავთ მაგ უბედურებსო? მოხელეებმა უპასუხეს. გენერალი არის აქ საზოგადო ოთახში და იმის ბრძანებით ვერეკებით აქედანაო. ალექსანდრემ უთხრა: წადით და მოახსენეთ მაგ თქვენს გენერალს, რომ ესენი ჩემს მამულზედ დგანან და ისეთივე მგზავრები არიან, როგორც შენა-თქო, და მე არავის ვაძლევ იმის ნებას, რომ ჩემს ადგილიდგან უჩემოდ ვინმე განდევნოსო. თუ სურს, ვეც აქ ვიქნები, თითონ მობრძანდეს და თითონ გარეკოს ბოშებიო. ისე გაბრაზდა ალ. ყაზბეგი. რომ მართლა მოსულიყო გენერალი, დიდი ლაპარაკი და აურზაური მოხდებოდა“[1].

• მოყვანილი ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. იქ პირდაპირ არის მოცემული ალ. ყაზბეგის დამოკიდებულება მეფის რუსეთის მოხელეებისადმი, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მისი მზრუნველობა საზოგადოდ ხალხზე, მოხეველები იქნებოდნენ ისინი თუ შორიდან გადმოხვეწილი ბოშები.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა ალ. ყაზბეგის ცხოვრებიდან კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ მისი უანგარო თავდადება და სიყვარული მშრომელი ხალხისადმი. ხალხის ამ უსაზღვრო სიყვარულმა მას ხელთ ააღებინა ჩობნის ჯოხი და ახალგაზრდობის ძვირფასი წლები მეცხვარეობაში გაატარებინა.

მწყემსურ ცხოვრებასთან ორგანულად დაკავშირებამ ალ. ყაზბეგს შესაძლებლობა მისცა ღრმად ჩასწვდომოდა ამ ხალხის მთელს შინაგანს განცდებს. დიდი მწერალი თავის რომანებში მეცხვარეთა დახატვისას მათი შინაგანი ბუნების გულთამხილაობით

---

[1] გაზეთი „იბერია“, 1894 წ., № 2.

გვაოცებს. სიტყვის დიდი ოსტატი, მეცხვარეთა ხასიათების გაშლილას მათი გულის საძირკველს სწვდება და ადამიანის სულის ყოველ მოძრაობას გადმოსცემს. ეს მეტად რთული და მძიმე ოპერაცია უდიდესი დამაჯერობლობით ხდება. ადამიანის შინაგანი ცხოვრების ასე უტყუარად გადმოცემა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ამ ცხოვრებას ადრეე ზიარებულა. ალ. ყაზბეგი თავისი რომანის ერთერთი გმირის (მეცხვარის) შესახებ ამბობს: „კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღზრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძნობა შეეგნო". ეშმარიტად, ეს სიტყვები პირველყოვლისა თვითონ ალ. ყაზბეგის შესახებ უნდა ითქვას. იგი მართლაც არაჩვეულებრივი ოსტატობით სწვდება მეცხვარის მთელს შინაგან ცხოვრებას, მისი გულის ყოველ კუნჭულში იხედება და ახედებს მკითხველს.

ალ. ყაზბეგი რომ მეცხვარის და საზოგადოდ ადამიანის ფსიქოლოგიის უდიდესი მცოდნეა, ამის დასამტკიცებლად მთელი რიგი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ნიმუშისათვის ერთი მაინც გავიცნოთ.

მაყვალას სიყვარულმა („მოძღვარი") ონისეს გადააწყვეტინა საკუთარი ცხვარი გაყიდოს და თავის გულის საყვარელთან ერთად გაშორდეს მშობლიურ მიწაწყალს. ონისემ თავისი გადაწყვეტილება შეასრულა — ცხვარი გაყიდა, მაგრამ როდესაც ცხვრის ფარა ახალმა პატრონმა ჩაიბარა და ონისე მას უნდა გაშორებოდა, სწორედ ამ დროს იგი უმძიმეს მომენტს განიცდის. საკუთარი ხელით ნაზარდი ცხვრის ფარის დათმობა მეცხვარისათვის ისე ძნელი აღმოჩნდა, რომ ეს სიძნელე ადრე, ალბათ, ვერც მას წარმოედგინა. ამ მომენტის აღწერისას მგრძნობიარე ავტორი მეცხვარის გულს გახსნის და მკითხველს მწყემსის სულის ყოველ მოძრაობას ატყობინებს.

აი ეს სურათიც:

„ორად გაყოფილი ფარა ჯერ კიდევ იქ იდგა, როდესაც ონისე დალონებული შეჰყურებდა. მის გულს მწარედ გაჰქონდა დაგადუგი, სევდით იბურებოდა და ემღვრეოდა. კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღზრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძნობა შეეგნო. ცხვარი დაიძრა, და ონისე ჩომბახს დაყუდებული, ხმაგაკმენდილი თვალს ადევნებდა. ცხვრების გამოსვლისთანავე მას აგონდებოდა წარსულის ცხოვრებიდან სხვადასხვა შემთხვევანი. აგერ გამოიარა პირჭროლა შიშაქმა და მას მოაგონდა მისი დაობლება ბატკნობაში. მოაგონდა როგორა ზრდიდა ხელზედ და როგორ ანებივრებდა; აგერ კიდევ ის ჭედილა, რომელსაც მშვიდობიანობის დამცველნი წართმევას უპირებდნენ და უსამართლობას კინაღამ თავი

შეაკლა. აგერ ის ვაცი, რომელიც „ძაუგში“ გასასყიდს ცხვარს ქეჩად გააყოლა და ვიღაცა ღაპიანმა შარი მოსდო, რომ ისიც ვითომ გასყიდული იყო. მოაგონდა ონისეს ამ ქეჩისათვის თავის გამოდება, საჩივარი და ხარჯი... მოაგონდა უსამართლობით დაჩაგრულის ადამიანის ვარამი. მოაგონდა, რომ თავის საკუთრების შესარჩენად თხუთმეტ ჭედილამდის გაიღო. აგერ იმ ბოქა ყოჩმაც გამოიარა, რომელიც ონისეს საქიდოდ დაჰყვანდა და დამარცხებით პატრონი არც ერთხელ არ შეურცხვენია. მოაგონდა მისი ხალისი ბრძოლის ველზედ, მისი კაპარა და გრგვინვის მსგავსი ჯაბუნი, რომელსაც მთიელი აღტაცებაში მოყავდა! ყველას, ყველას მათგანს ონისეს წარსულში რომელიმე დამოკიდებულება ჰქონდა. ყველასთან მისი ცხოვრება რომელიმე შემთხვევით გადაბმულიყო. ყოჩმა იცნო პატრონი, იცნო ის კაცი, რომელთანაც იმდენჯერ სახელით ევლო; პირუტყვი თითქოს გრძნობდა თავის სამსახურს. მან გამოსწია ონისესაკენ, თავ-აღებული, გაამაყებული და მედიდურად მოაბიჯებდა: დიდსა და ხვეულ რქებს, რომელიც შუბლთან ერთმანეთს თითქოს შეერთებოდა. წყნარად. ამაყად იქნევდა. როდესაც პატრონს მიუახლოვდა, აიღო თავი, გაიძაბა და ზემოთა ტუჩგაწვდილი სიამოვნებით ჰაერს იზიდავდა; შემდეგ სრულიად მიუახლოვდა კაცსა და მუხლებზე რქების ხრეშა დაუწყო, თითქოს ბრძოლის ჟინმა მოუარაო.

მოხევემ დიდხანს უალერსა გამაყებულ ყოჩსა, რომელსაც თითქოს ესმოდა, რომ პატრონს საუკუნოდ ესალმებოდა და უკანასკნელის ალერსით უნდოდა დამტკბარიყო. ცხვარი კარგად გაშორდა იმათ და ონისემ დაინახა, რომ ყოჩის მეტს ხანს დაჭერა არ იქნებოდა, და გაგდო. პირუტყვმა გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი. ამგვარი მოპყრობა პატრონისა თითქო ეუცხოვა, იუკადრისა, შესდგა, მოიხედა, დაიცქვიტა ყურები და ისეთის სიყვარულიანის, სევდამოცულის თვალებით შემოჰხედა მთიელს, რომ უკანასკნელმა ველარ გასძლო, ჩაიქნია ხელი და საჩქაროდ გამობრუნდა“.

ასე ძლიერია ალექსანდრე ყაზბეგის მიერ დახატული მეცხვარის განცდა. მკითხველი ძალდაუტანებლად გრძნობს ონისეს სულიერ ტანჯვას, მის ტკივილებს. აქ ადამიანის შინაგანი განცდები უდიდესი დამაჯერებლობით არის გადმოცემული. ამ საქმეში ალ. ყაზბეგს, უდიდეს ალღოსთან და პოეტურ ნიჭთან ერთად, თავისი პირადი გამოცდილებაც ხელს უწყობდა. ეს იყო მისი მეცხვარეობა: მეცხვარის განცდა მისთვის ასე მახლობელი და ბუნებრივი იყო.

ალექსანდრე ყაზბეგს თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ნამწყემსარის მოგონებანი“ მოთხრობილი აქვს იმ შიშითა და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომელიც დამახასიათებელია მწყემსური ცხოვრებისათვის და რაც ისე ორგანულად განცდილი და მახლობელი იყო თვით ალ. ყაზბეგისათვის.

ალ. ყაზბეგი თავის ამ მოთხრობაში, სხვათაშორის, გვიამბობს ერთერთ ეპიზოდს, რომელიც უდაოდ გვეხმარება ამ დიდი ადამიანის ზოგიერთი შინაგანი განცდის გაგებაში. ეს მომენტი არის ალ. ყაზბეგის შეხვედრა უცხოელ ვაჭრებთან, რომლებიც მთაში ღადიოდნენ და მატყლს ყიდულობდნენ. ამ ვაჭრების წარმოდგენით, მთაში ცხოვრობს ხალხი, რომელიც თავისი ყოფით დიდად არ განსხვავდება ბარბაროსებისაგან. მათივე წარმოდგენით მეცხვარეებმა რიგიანად თვლაც არ უნდა იცოდნენ. აი ეს ვაჭრები შეხვდნენ ალ. ყაზბეგს და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როდესაც ნაბდისქუდიანმა მეცხვარემ მათ ფრანგულ ენაზე გაუმართა საუბარი. მაგრამ დიდი მწერალი ამასაც არ დასჯერდა და მათ უთხრა, რომ სხვა მთიელმა მწყემსებმა კიდევ უკეთ იციან უცხო ენები, ვიდრე მან.

დიდბუნებოვანი ადამიანი ხშირად თავის სიდიადეს ყოველდღიური ცხოვრების მეტად მცირე მნიშვნელობის შემთხვევებშიც გამოავლენს. ეს მით უფრო ითქმის ისეთ მგრძნობიარე მწერალზე, როგორიც ალ. ყაზბეგი იყო. ალ. ყაზბეგის შეხვედრა-საუბარში უცხოელ ვაჭრებთან მკვეთრად იგრძნობა ის დიადი სისადავე, რომელიც ეგზომ დამახასიათებელი იყო საყვარელი მწერლისათვის.

ალ. ყაზბეგი ამ შემთხვევის გამო მოგვითხრობს:

„ისინი (ე. ი. ვაჭრები. ა. მ.) მოვიდნენ ჯხლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი „ბასარა“ ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ, რა მე დაუძახე ძაღლს, ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან. უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და დამტვრეულის რუსულის ენით ლაპარაკი დამიწყეს:

— Собакъ, собакъ... нетъ кусай...

— Нетъ кусай, — ვუპასუხე მეც ამგვარადვე.

— Баранъ, Баранъ, — დაიწყო ერთმა, ველარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა, და მიუბრუნდა ამხანაგს ფრანსიულად: — როგორ უნდა ვიკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?

— მეც არ ვიცი, — ფრანსიულადვე უპასუხა მეორემ.

ბოლოს იმათ გაბეს ლაპარაკი მატყლის სიკეთეზედ და უკ-, ეირდათ, იმოდენა ფარას მთაში როგორ ვათავსებდით. ბოლოს კა-

დევ მოიწადეს შეტყობა: სადა ვყიდით მატყლს და რამდენი ფულის მოგროვება შეიძლება მთაში.

მე ვლაპარაკობდი ფრანსიულს, გულმა ველარ გამიძლო და ამისათვის ვუპასუხე:

— მთაში ძალიან ბევრია ცხვარი, ხალხი თითქმის ამითი სცხოვრობს, მატყლს კი აქვე ყიდულობენ სომხები ვაჭრები.

წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაცა უცნაურს და ველურს მთებს შორის, სადაც იმათის შეხედულებით ბარბაროსები სცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მეცხვარე, უბრალო მთის კაცი ფრანსიულად ელაპარაკება!

— როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანსიულად?! — გაშტერებით წამოიძახეს ორთავემ ერთად.

— დიახ, ცოტაოდენს.

— რას ამბობთ, სად გისწავლიათ? არა. ეგ შეუძლებელია!

მე მომწადდა მათთან ხუმრობა და ამისათვის ვუპასუხე:

— ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანსიელად... მე სხვა ადგილებში ვიყავ მოჯამაგირედ და კიდევ გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანსიელებისაგან.

— რას ამბობთ?! აი გასაშტერებელი საქმე! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს: — ჩვენ კი ველურ ხალხად მიგვაჩნია ეს ხალხი!

კარგა ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ისინი მოიღალნენ და მეც თავი მომაწყინეს ყბედობით, იმათ მთხოვეს სალამოზედ ყაზბეგის სტანციაზედ, სადაც ღამის გატარებას აპირობდნენ, მივსულიყავ და მეამბნა ჩვენი ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და ხასიათი“ [1].

ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის ერთი შეხვედრის ისტორია უცხოელ ვაჭრებთან.

III

ჩვენ მოკლედ გავეცანით იმ მიზანს, რის გამოც ალ. ყაზბეგი იძულებული იყო მეცხვარეობა დაეწყო. ეს მიზანი იყო ხალხთან დაახლოვება, მისი ჭირვარამის უშუალოდ განცდა. ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, გამოიღო თუ არა რაიმე სასარგებლო შედეგი იმან, რომ ეს დიდი მწერალი ასე დაუახლოვდა ხალხს და დაახლოებით შვიდი წელი მეცხვარეობაში გაატარა?

---

[1] ალ. ყაზბეგი „ნამწყემსარის მოგონებანი“.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგის მიერ მწყემსობაში გატარებული წლები უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა დიდი მწერლის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას ნამდვილ ხალხურ მწერლად, ამიტომაცაა, რომ მის წარმტაც ნაწერებში პირდაპირ იგრძნობა მთიელ ხალხთა გმირული ცხოვრება. რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ თვითონ ალ. ყაზბეგს, რომელიც წერს: „თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამისი მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა“.

ალ. ყაზბეგის ხელნაწერებში დაცულია მისი ერთერთი წერილი, რომელსაც იგი სწერდა თავის ნაამხანაგარ მეცხვარეს. წერილი მიეკუთვნება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებს, ე. ი. ამ პერიოდს, როდესაც ალ. ყაზბეგი საყოველთაოდ აღიარებული იყო დიდ მწერლად. აი სწორედ ამ დროს ნამეცხვარალი ავტორი ერთ-ერთ თავის ნაამხანაგარ მეცხვარეს სწერს და იგონებს იმ დროს, როდესაც იგი მათთან ერთად ცხოვრობდა როგორც ჩვეულებრივი მეცხვარე და მთიდან მთაზე ხეტიალში, შიშსა და განსაცდელში ატარებდა ცხოვრებას.

ალ. ყაზბეგის ეს კერძო წერილი, რომელიც პოეტური აღმაფრენით არის შესრულებული, უდაოდ საინტერესო მასალას იძლევა მწერლის საერთო ხასიათის გასათვალისწინებლად. აი რას წერს იგი ამ წერილში:

„ძმაო სვიმონა! გახსოვს, რამდენი ღამეები გაგვიტარებია მე და შენ ერთად. რამდენი ავდრიანი დღე, ჭექა, ქუხილი, რამდენი შარი მოუკიდნიათ ყაზახებს, რამდენჯერ წინააღვდგომივართ იმათ უსამართლობას? გახსოვს, როგორ გაკვირვებდა შენ და დანარჩენს ჩვენს ამხანაგებს, რომ ჭე, ნებივრად აღზრდილმა, მებატონემ, კაცმა, რომელსაც შემეძლო მოსვენებით ცხოვრება, შინაურს კერას ვირჩიე მოუსვენარი მინდორში და მთაში ხეტება, ხეტება სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა, ბევრნი მძრახავდნენ ამისათვის და მიგონებდნენ ათას ცილისწამებას, მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი-

დაიგივე კვნესით დააკვნესა ჩვენი გული. ერთიდაიგივე შიზანი დაგვანახვა.

„არ ვიცი, ძმაო, შენ და დანარჩენი ჩვენი ნაამხანაგრები რასა ჰგრძნობთ, მაგრამ მე კი ბევრს საღამოს მომაგონდება ჩეჩნის მინდვრები. გაჩაღებული ცეცხლი, რომელსაც გარს შემომსხდარან მწყემსები და მთელი დღის სიჩუმისა და დუმილის შემდეგ, გამხიარულებულნი, მოლაყბანდარენი... იქვე დაყრილი ცხვარი და იმას იქით აქა-იქ ყარაულად მდგარი მწყემსები, რომლებიც გაქვავებულს სურათებს მიემსგავსებოდნენ. გახსოვს ერთგული ბროლია, მურა, ფარეხა, რომელნიც ისე ფრთხილად გვინახავდნენ ჩვენც და ჩვენს საქონელსაც, გახსოვს, რომ არც ერთი ჩვენთაგანი პირში ლუკმას ისე არ ჩაიდებდა, რომ პირველი ლუკმა ამ ძაღლებისთვის არ მიგვეცა.

„მერე?... დამშვიდებული. ჩუმი ღამე, მთვარე, რომელიც გედსავით მოცურავდა ცაზე და ნაზს, მოალერსე სხივებს გვესროდა ჩვენ — თეოზედ გასულს მწყემსებს. ღმერთო, რაოდენი გრძნობა იღვიძებდა მაშინ, რაოდენი სურათები იხატებოდა თავში?! აი ამ დროს ითქმოდა: „კაცის გული ზღვაა, რას არ გაფიქრებს?“.

„გახსოვს ჩეჩნელი ელბერდ, ჩვენი მასპინძელი, გახსოვს იმისი სახლობა, გახსოვს ყაზახების სტანიცები, ჩეჩენთ სოფლები, გროზნა, მინდორი, მთა, ტყე! გახსოვს, რამდენი მშვენიერი სურათები დაეხატებოდა ჩვენს თვალებს და ისე აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? მე ყველა ეს ისე ცხოვლად მეხატება თვალწინ, ისე ცხოვლად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მომხდარი!

„ნუ დაივიწყებ შენც, ნუ დაივიწყებ, რადგანაც ეს წუთები იყო წმინდა, პატიოსანი, რომელსაც კაცი. ისიც ზოგიერთი, ერთხელ შეხვდება თავის ცხოვრებაში და ეს სანატრელი წუთები ალარ გამეორდება.

„მშვიდობით, ჩემო სვიმონა. გულითადს მშვიდობას გეუბნება ის კაცი, ვინც ინატვრის შენთვის და შენთან ერთად ყველა შენის მეზობლისათვის ყოველ კარგს მშვიდობას და ცხოვრებაში უკეთეს პირობას“ [1].

ასე წერდა ალ. ყაზბეგი ოთხმოციან წლებში თავისი წარსულის შესახებ. მოყვანილი წერილი კომენტარიებს არ საჭიროებს, აქ ყოველი ფრაზა მართლაც ყაზბეგისებური მგრძნობელობით ლსმის.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3993.

ამრიგად, ალ. ყაზბეგმა ხალხის ცხოვრებასთან ზედმიწევნით დაახლოვების მიზნით გადაწყვიტა მეცხვარედ წასულიყო. მან ეს გადაწყვეტილება განახორციელა და დაახლოვებით შვიდი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ისე, როგორც ჩვეულებრივი მეცხვარე. ალ. ყაზბეგის მიერ მეცხვარეობაში გატარებულ წლებს უშედეგოდ არ ჩაუვლია, იგი უდაოდ ერთერთი მეტად საგულისხმო ფაქტორი იყო დიდი მწერლისა და მოაზროვნის იდეურ ჩამოყალიბებაში.

თავი მეოთხე

ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში

I

ალექსანდრე ყაზბეგმა ცხრა წელიწადი თავის მშობლიურ ხევში, გლეხურ ცხოვრებაში გაატარა, მაგრამ ამაღე დროს იგი არც თბილისის ცხოვრებას იყო მოწყვეტილი. დავით კარიჭაშვილის თქმით, ალექსანდრე დროგამოშვებით ეწვეოდა თბილისს და საზოგადოების ყურადღებას იქცევდა თავისი კოხტა ჩაცმულობითა და ხელგაშლილი ცხოვრებით.

1879 წელს ალ. ყაზბეგი თავს ანებებს ხევს და მუდმივ საცხოვრებლად თბილისს გადმოდის. ამის შემდეგ იგი ჰხოლოდ იშვიათად თუ ეწვეოდა თავის მშობლიურ მხარეს. ამ ჰომენტიდან მის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა თავისი მრავალფეროვნებით. ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით და არაჩვეულებრივი ინტენსიობით მხატვრული შემოქმედების დარგში.

თბილისში ალ. ყაზბეგი ცხოვრობდა ჯერ რუსთაველის პროსპექტზე, იმ შენობაში, რომელშიაც მოთავსებული იყო გაზეთ „დროების" რედაქცია, ხოლო შემდეგ მთაწმინდაში — სასამართლოს ქუჩაზე. ალ. ყაზბეგის პირადი ცხოვრებისათვის ამ პერიოდში ერთერთი ძირითადი და დამახასიათებელი ნიშანი იყო მუდმივი ხელმოკლეობა, სიღარიბე. მაგრამ ალ. ყაზბეგი ყველაზე ნაკლებად სწორედ თავის პირად მდგომარეობაზე ფიქრობდა. მიუხედავად თავისი ღარიბული ცხოვრებისა, იგი განსაკუთრებულ ნაყოფიერ მოღვაწეობას სწორედ ამ პერიოდში ეწევა.

ალ. ყაზბეგის პირადი ცხოვრების, მისი ხელმოკლეობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მეტად საყურადღებო ცნობას იძლევა არტემ ახნაზაროვი. აი რას წერს იგი: „მისი სიცოცხლის ბოლო ხანშიაც-კი, ვიდრე სულით დასნეულდა და სასნეულოში მოათავსეს, ბევრჯელ შევსწრებივარ მთაწმინდაში, სასამართლოს ქუჩაზე, მის ოთახში სანდრო ყაზბეგს, როცა იგი

წერდა ხოლმე. ერთი შაურის რუსულად გამომცხვარ თეთრს პურს იყიდდა ხოლმე. ორის ან სამის შაურის ძეხვს (კალბასს), დაიწყობდა წინ და თან ჰამდა, თან... თვალებით ქალალდს ჩასცქეროდა[1].

მოყვანილი ამონაწერი საკმაო წარმოდგენას იძლევა ალ. ყაზბეგის პირადი ცხოვრების შესახებ. მწერალი, რომელიც ქმნიდა „მამის მკვლელს", „ელგუჯას" და სხვა უკვდავ თხზულებებს, ნახევრად მშიერი ცხოვრობდა. მაგრამ ბუმბერაზი ადამიანი სიძნელეების წინაშე ქედს კი არ იხრიდა, არამედ ებრძოდა თავისი დროის უკულმართ სინამდვილეს.

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება-ბოღვაწეობა ოთხმოციან წლებში მეტად რთულია და მრავალფეროვანი. ვიდრე ამ შინაარსიან ცხოვრებას დაწვრილებით გავეცნობოდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვით მაინც აღინიშნოს დიდი მწერლის ზოგიერთი პირადი დამახასიათებელი ნიშანი.

თანამედროვეთა გადმოცემით, ალ. ყაზბეგი იყო ლამაზი, ვაჟკაცური ტანადობის, იცვამდა ჩერქეზულად. ხასიათით წყნარი, მოსაუბრე ტკბილი და წარმტაცი, მეგობრისათვის თავდადებული, მართალი და პირდაპირი.

გავეცნოთ ზოგიერთ მონაცემებს, რომლებიც ალექსანდრე ყაზბეგის პირად ნიშნებს შეეხებიან.

სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც ალ. ყაზბეგთან ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო, წერს: „სანდრო ხასიათით იყო წყნარი, ტკბილი მოსაუბრე, მეგობრისათვის თავგადაკვდარი, დიდი მოტრფიალე სამშობლოსი, თავისი ენისა და ერისა. უნდა გენახათ, რანაირად აღფრთოვანდებოდა, თითქოს გაიზრდებოდა, როცა თავისი სამშობლოს სიკეთეს გაიგებდა, თუ გამოჩნდებოდა ვინმე სამწერლო ასპარეზზე. როგორ ეალერსებოდა ვაჟას ლექსებს, რა აღტაცებით იხსენიებდა!"[2].

დავით კლდიაშვილი თავის მოგონებაში ალ. ყაზბეგის დახასიათებისას წერს: „როცა მაღალი ცეცხლით აენთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახავიც იყო და გატაცებული აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი ჩახვდებოდა ,ვის დიდ ნიჭს და ტალანტს"[3].

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, ცნობილი ვასილ ბარნოვი, წერს, რომ მას ალექსანდრე ყაზბეგის საუბარში ატყვევებდა მისი

---

[1] გაზეთი „ქართული სიტყვა", 1923 წ., № 4.

[2] სოფრომ მგალობლიშვილი — „მოგონებანი", 1938 წ., გვ. 115.

[3] დავით კლდიაშვილი — „ვემუარები", 1925 წ., გვ. 45.

გატაცება, თავდავიწყება, მისი „ჯადოსანი სიტყვა ქართული“. ვასილ ბარნოვი მოგვითხრობს:

„მის საუბარში გატაცება მატყვევებდა მე, თავდავიწყება. დაიწყებდა რაიმე საგანზედ. აწმყო ცხოვრების თუ წარსულის კაბადონზედ აღმოჩენილ რამ შემთხვევაზედ და თანდათან ცეცხლს დაამძენდა იგი თავის თქმას, ეშხს უმატებდა. ფართოვდებოდა ამბის არე, გარდიშლებოდა: გარდატეხდა მისი სიტყვა სინამდვილის რკალს და ნავარდს უვლიდა, ზე აღვიდოდა; დაიწყებდა ოცნებათა სანახებში მიმოფრენასა. იფურჩქნებოდა ჯადოსანი სიტყვა ქართული. გარდიშლებოდნენ გონებაში ლანდთა დასები, სიცხოველით რომ უდრიდნენ რეალობასა [1].

მოყვანილი დახასიათებები მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად გადმოგვცემენ ალექსანდრე ყაზბეგის პირად ნიშნებს: მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი, პირად ცხოვრებაში სადა, ყველასათვის ხელმისაწვდომი და გამგებიანი. წყნარი და ტკბილი მოსაუბრე. მაგრამ მსმენელის მომაჯადოვებელი, ხშირად ცეცხლიანი და ზე აღმავალი. ადამიანის უდიდესი დამფასებელი. მეგობრისათვის თავგანწირული. მტერთან პირდაპირი და დაუნდობელი.—ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები.

II

ალ. ყაზბეგი თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ შებრძოლი მწერალი იყო. მან თავის უკვდავ რომანებში — „მამის მკვლელი“, „ელგუჯა“, „ელისო“ და სხვა მეფის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა მთელი გალერეია შექმნა. მაგრამ ალ. ყაზბეგი მეფის თვითმპყრობელობას ებრძოდა არა მარტო თავისი მხატვრული ნაწარმოებებით, არამედ პირად ცხოვრებაშიაც დაუფარავად აშეღავნებდა თავის მეამბოხე დამოკიდებულებას რუსეთის ცარიზმისადმი.

ალ. ყაზბეგის თანამედროვეებში გადმოგვცემენ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებშიაც ნათლად იგრძნობა დიდი მწერლის პირადი დამოკიდებულება მეფის თვითმპყრობელობისადმი. ერთერთი უტყუარი ცნობის მიხედვით, ალ. ყაზბეგმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამის პორტრეტს სიტყვასიტყვით ასეთი წარწერა გაუკეთა:

---

[1] გაზეთი „ქართული სიტყვა“, 1923 წ., № 4.

„დავწვი შენი სამართალი,
შენი კანონდებულება,
შენი აზრი, მოფიქრება,
შენი მირონცხებულება“.

იაგორ ღუდუშაური გვეუბნება, რომ ალ. ყაზბეგმა იმპერატორის ეს პორტრეტი ზემომოყვანილი წარწერით თავის ნათესავს, გენერალ გიორგი ყაზბეგის ძმას, კოტე ყაზბეგს, მიუტანია. იგი ალექსანდრეს ამ მოქმედებამ გააოცა, შიშის ჟრუანტელმა აიტანა, მაგრამ მეამბოხე მწერალმა ესეც არ აკმარა და თვითმპყრობელი მეფის პორტრეტი აგუზგუზებულ ბუხარში ცეცხლის ალს მისცა შემდეგი სიტყვებით: დაიწოს თქვენი ჩამომავლობა, თქვენი კანონი, თქვენი მთავრობის ძალაო![1].

ასე ეზიზღებოდა ალ. ყაზბეგს მეფის რუსეთის სახელმწიფო წყობილება და ამიტომაც ებრძოდა მას როგორც მხატვრული შემოქმედებით, ისე მთელი თავისი პირადი არსებით.

1886 წელს თბილისის სემინარიის მოწაფემ, იოსებ ლაღიაშვილმა, ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის რექტორი. მეფის აგენტი ჩუდეცკი. ი. ლაღიაშვილის მიერ ჩადენილ მკვლელობას ალ. ყაზბეგი დიდის კმაყოფილებით შეხვდა, ხოლო როდესაც „ივერია“ მკვლელის არაქართველობის მტკიცებას შეეცადა, ალექსანდრე მას წინ აღუდგა: თავი უნდა მოგქონდეს, რომ ეს გამბედავი ახალგაზრდა სწორედ ჩვენგან გამოვიდაო. აი რა საინტერესო ცნობას იძლევა ამის შესახებ იაკობ მანსვეტაშვილი.

„როდესაც სემინარიელმა ლაღიაშვილმა სემინარიის რექტორი მოკლა, — წერს ი. მანსვეტაშვილი, — გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო, რომ ეს ლაღიაშვილი ქართველი არ ყოფილა, ოსი აღმოჩნდაო. შემოვარდა ჩემთან წერა-კითხვის საზოგადოებაში გაფანტრებული სანდრო და გაჯავრებულმა მითხრა: „გადაეცი თქვენს ილიას, რომ მაგისთანა სისულელის დაწერა მეორედ აღარ გაბედოს. რად უარყოფთ ლაღიაშვილის ქართველობას, პირიქით, თავი უნდა მოგვქონდეს, რომ ჩვენგან გამოვიდა გამბედავი ახალგაზრდა, როველმაც კისერი მოუგრიხა იმას, ვინც ჩვენ ეროვნულ ღირსებას ფეხქვეშ სთელავდა და აფურთხებდა“ [2].

ასე დაუფარავად ამხელდა ალ. ყაზბეგი თავის დამოკიდებუ-

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 5330.

[2] ი. მანსვეტაშვილი — „მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 210.

ლებას მეფის რუსეთის რეჟიმისადმი. ასეთი გამოსვლები თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ მას არა ერთი და ორი უნდა ჰქონოდა. ამიტომაც იყო, რომ ალ. ყაზბეგის ბინას ხევში ერთხელ პოლიციაც დაესხა და გაჩხრიკა. ერთერთი თანამედროვის გადმოცემით, ალექსანდრეს სახლს სრულიად მოულოდნელად დაესხნენ ბოქაული, ჟანდარმები და ჩაფრები. მათ ალყა შემოარტყეს ალ. ყაზბეგის ბინას და ჩხრეკა დაიწყეს, მაგრამ მათთვის ხელსაყრელი ვერაფერი იპოვეს და უკან დაბრუნდნენ.

ამ ფაქტის გამო ა. კობაიძე წერს:

„სრულიად მოულოდნელად ალექსანდრე ყაზბეგის სახლს დაესხნენ ბოქაული თავისი ურიადნიკით, ჩაფრებით და ორი ჟანდარმით; სახლს გარს შემოერტყნენ და თავგადადებით იმის სახლებში რაღაცას ეძებდნენ“.

„პოლიციამ და ჟანდარმერიამ სანდროს სახლში ვერაფერი იპოვეს მათი ხელსაყრელი, კალუბანსკის ცალკე რამდენიმე პირმა ჰკითხა:

— რა იყო მიზეზი სახლის გაჩხრეკისა? — მან შეფიცებითა სთქვა:

— არაფერი არ ვიცი და არას მეუბნებიან. მეც. როგორც პოლიციის პრისტავს, ბრძანება მოვიტანეს ქალაქიდან და გამოვყევი. ეს გაჩხრეკა ნამდვილად არ მახსოვს რომელს წელში და თვეში მოხდა, მხოლოდ ხალხი იძახოდა: ნეტავი ეგ კაცი არაფერში გაამბან, ჩვენი თემის ფასი კაცი არის. ყოველს ფერში გამოსადეგი და მომხრე ჩვენი ხალხისაო“[1].

მოყვანილი ამონაწერები შექმ ჰფენს ალ. ყაზბეგის დამოკიდებულებას მეფის ხელისუფლებისადმი. იგი თვითმპყრობელურ რეჟიმს ებრძოდა არა მარტო მხატვრული ნაწარმოებებით. არამედ თავისი პირადი მოქმედებითაც ვისი მოსისხლე მტერი იყო. ამ მტრობას მეფის ხელისუფლებისადმი ხშირად პირდაპირ და დაუფარავად ამჟღავნებდა. მაგრამ ცარიზმის სუსხიან პირობებში მეამბოხე მწერალს გულისნადების მთლიანად გამოაშკარავება. რასაკვირველია, არ შეეძლო. მის ხელნაწერებში შემონახულია მთელი რიგი ლექსები და ნაწყვეტები, რომელთა გამოქვეყნებას იგი იმ დროს ვერ ახერხებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ალექსანდრე ყაზბეგის ლექსი ცნობილი შამილის შესახებ.

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირის სახე მწერალს უდიდესი სიმპატიით აქვს წარმოდგენილი. „შენ შეასრულე დანიშნულება და დაამტკიცე მთისა შვილობაო“—მიმართავს

[1] გაზეთი „ქართული სიტყვა“, 1924 წ., № 9.

ბეჭერალი შამილს და სჯერა, რომ მომავალშიაც გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც თავგანწირვით იბრძოლებენ თავისუფლებისათვის.

ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგი თავის რომანებში დიდის სიმპატიით გვიხატავს შამილს და ეს ლექსიც ამ სიყვარულს ამჟღავნებს. მაგრამ ეს ლექსი არ არის უბრალო მიძღვნა შამილისადმი, აქ გარკვევით იგრძნობა თვით ალ. ყაზბეგის დამოკიდებულება თავისი დროის პოლიტიკური წყობისა და მომავალი თავისუფლებისადმი.

აი ეს ლექსიც:

შ ა მ ი ლ ს

„შამილ, შენს აჩრდილს მე მოწიწებით
ვუგზავნი სალამს თანაგრძნობისას.
შენ შეასრულე დანიშნულება
და დაამტკიცე მთისა შვილობა.
შენ დაამტკიცე, რომ მთის შვილები
ბრძანების ქვეშა ვერ ხერხდებიან
და ყველა ძალის დატანებასა
ყოველთვის წინა აღუდგებიან.
ყველა, ვინც გინდა, თუნდ ბავშვი იყოს,
საჭირო დღესა გალომდებიან,
თავის მამულის სახელისათვის
თავშეუწყალოდ იხოცებიან.
თუ რომ ამ დროში ჩუმად არიან,
მისთვისა, რომა ემზადებიან,
ნახავთ ერთ დღესა რა რიგს ღვთის რისხვად
.....თავზედა დაესხმებიან“ [1].

ასე უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები, ასე ჰსჯეროდა ხალხის მომავალი თავისუფლება.

III

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ალ. ყაზბეგის უკვდავი რომანი „ელგუჯა“. მას ზედიზედ მოჰყვებიან „მამის მკვლელი“, „ნამუყემსარის მოგონებანი“ და სხვები.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3985.

უკანასკნელ სტრიქონში სიტყვის გამოტოვება საცენზურო პირობებით აიხსნება.

ამავე ხანებში სცენაზე იდგმება ალ. ყაზბეგის გმირობით, ვაჟკაცობითა და მხნეობით აღსავსე პიესა „არსენა".

ალ. ყაზბეგის, როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის, სახელი ჩქარა საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა. ხალხი მის ყოველ ახალ ნაწარმოებს ჰოელის, მან მკითხველთა უდიდესი წრე გაიჩინა. როგორც ირკვევა, ალ. ყაზბეგს თავისი მკითხველებისაგან ხშირად პირადი ხასიათის წერილებიც მოუდიოდა. სამწუხაროდ, ასეთ წერილებს ჩვენამდის ყველას არ მოუღწევია. გადარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი ამათგანი. ეს წერილები და სხვა ცნობები, რომლებიც ჩვენამდის მოღწეულა, უდაოდ საინტერესო მასალაა: მათში გარკვევით ამოიკითხება ის გავლენა, რომელსაც ახდენდა ჰწერალი თავისი ეპოქის მკითხველთა ფართო წრეებზე.

ალექსანდრე ყაზბეგის მასალებში დაცულია გაზეთ „დროების" რამდენიმე ნომერი, რომლებშიაც რომანი „ელგუჯა" იბეჭდებოდა. „დროების" ეს ნომრები ხელთ ჰქონია ცნობილ პოეტს გრიგოლ ორბელიანს. გაზეთის თავისუფალ არეებზე გრ. ორბელიანის მიერ გაკეთებულია რამდენიმე წარწერა, რომლითაც გასაგები ხდება ის შთაბეჭდილება, რომელიც მოუხდენია ნიჭიერ პოეტზე „ელგუჯას" წაკითხვას.

გრ. ორბელიანი, თანამედროვეთა გადმოცემით, მეტად მკაცრი დამფასებელი იყო, და აი ეს მკაცრი დამფასებელი ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას" წაკითხვის გამო გაზეთის არეებზე ასეთ წარწერებს აკეთებს: „ძალიან კარგია", „მშვენიერებაა", „დიდად მიამა", „ქართველ ომიროს არს, შაბაშ!" და ბოლოს წერს: „ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძეე, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიცა მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა-რა" [1]

ამ მინაწერებიდან გარკვევით იგრძნობა მგრძნობიარე პოეტის აღმაფრენა და მისი გულწრფელი დამოკიდებულება ალექსანდრე ყაზბეგისადმი. მაგრამ გრ. ორბელიანი ერთადერთი არ ყოფილა. ანალოგიური შეფასება ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებს არაერთხელ მიუღია. ამის შესახებ პირდაპირ მეტყველებენ ის პირადი მიმოწერები, რომლებიც გენიალური მწერლის არქივში ინახება.

1884 წლის დამდეგს ჟურნალ „ივერიაში" იბეჭდება ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი რომანი „განკიცხული". ამ ნაწარმოებს უდიდესი გავლენა მოუხდენია მკითხველთა ფართო მასაზე. ამ გავლენას პირდაპირ ადასტურებენ ის მცირერიცხოვანი მასალებიც კი, რომლებიც ჩვენამდის მოღწეულა.

[1] დავით კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია".

ალექსანდრე ყაზბეგის არქივში დაცულია ცნობილი მწერლის დავით კლდიაშვილის პირადი წერილი ალექსანდრესადმი, იგი ქეა-დ-ლებით ამკობს „განკიცხულის“ ავტორს. დ. კლდიაშვილი ალტაცებაში მოჰყავს ამ რომანს, ალ. ყაზბეგის უსაზღვრო პოეტურ ალღოს და შესაძლებლობას. „მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები“ — სწერს იგი. დავით კლდიაშვილი თავის წერილში, რომელიც ალ. ყაზბეგისადმი უანგარო სიყვარულით არის აღსავსე, „განკიცხულის“ ავტორს პირდაპირ სწერს: „გაუმარჯოს „განკიცხულს“, „გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ!“.

ჟურნალი „ივერიის“ 1884 წლის მესამე ნომერში „განკიცხულის“ უკანასკნელი ნაწილები დაიბეჭდა. აქ მოხვდა რომანის XIV და XV თავები, რომლებიც გამოტოვებულია და ჟურნალის სქოლიოში ავტორს მიერ გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: ამ ორს თავს ვსტოვებთ, რადგანაც მათი დაბეჭდვა ამჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია“.

დ. კლდიაშვილი თავის წერილში დაბეჯითებით სთხოვს ალ. ყაზბეგს, რომ მან აცნობოს ამ თავების შინაარსიც. დ. კლდიაშვილის ეს წერილი დათარიღებულია 1884 წლის 14 აპრილით და გამოგზავნილია ბათუმიდან. მიუხედავად იმისა, რომ წერილი პირადი ხასიათისაა, იგი მეტად საინტერესო დოკუმენტია. მას მნიშვნელობა აქვს როგორც ალექსანდრე ყაზბეგის, აგრეთვე თვით დ. კლდიაშვილის ცხოვრება-შემოქმედების გათვალისწინებისათვის. წერილი ჭნიშვნელოვანია დ. კლდიაშვილის შემოქმედებითი მრწამსის გაგების თვალსაზრისითაც.

ალ. ყაზბეგისადმი მიწერილი ეს კერძო წერილი იმდენად საყურადღებოა, რომ ზედმეტი არ იქნება მისი მთლიანად გაცნობა.

დავით კლდიაშვილი სწერს:

„დიდად პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის-ძევ!

სულით და გულით მოგესალმები! თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყოველივე ჩვენგანს, ქართველს, გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებით ვთქვათ: „ჩვენთვის ყოველივე არ მომკვდარა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და კვლავ დიდხანს ვიცოცხლებთ!“ მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები. რამდენი ნაცნობი სოფიო წარმოსდგა ჩემ თვალთა წინაშე? რამდენი ჩაგრული, გაწამებული მარი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში!

„თქვენი მარი, სხვათაშორის, უფრო ბედნიერია სხვა მის

ბედში მყოფთა შორის. ბევრი მათგანი სრულიად გარიყული რჩებიან ცხოვრებიდან, ისე იქცევიან უსიტყვო მანქანებად რეგვენ ბატარეალების აუტანელ ავტორიტეტის ქვეშ. თქვენი მარი ძლიერია სულით, მას რამდენჯერაც ძალუძს იბრძვის. თუმცა ყველა ბრძოლებიდან დამარცხებული რჩება, მაგრამ მასში არის ძლიერი სული, რომელიც ვერ თავსდება იმ ვიწრო ჩარჩოებში, რომელშიაც ის უნდათ ჩასჭედონ. დიალაც ქართველ ქალს, მით უფრო რომ ის ახალი თაობის ქალია, არ შეეძლო გამხდარიყო ეგოისტ სოფიოს მონა-მორჩილი. ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის დღეში ვერც ერთ მარის, როდესაც ამ უკანასკნელს ამისთანა მომხრე ყავს, როგორც ლევანი; პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპის კაცი, — ლევანი ყოველთვის იქნება მფარველი სუსტის ძალის მარის. მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებულია მწერლისაგან, რომელმან დახატა ისეთი ტიპები, როგორც ლევანი და მარი. ღმერთმა ქნას, რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს, ყოველ წლივ გვემატებოდეს მაგნაირი ვალები! დაე გულზედ გასკდნენ სოფიო და პორფირუშკა, რომ მათი ვინაობა დაუფარავად გამოააშკარავეს. რომ პირველის უკიდურესი, უსაზღვრო ეგოიზმი, გარყვნილობა, უგულობა ისე ცხადი შეიქნა; მეორემ თავისი დღე ინანოს, რომ ქვეყანამ შეიტყო (ამისი ხომ ეშინოდა) მისი უხასიათობა, მისი სიმდაბლე, მისი ტვინთხელობა. მე გამახსენდა ან. ფურცელაძის „ვაი მართალთა". მას რაღა ისევე თემა აქვს, რაც „განკიცხულსა", მაგრამ ხელობა, ხელობა და ხელობა... სად „ვაი მართალია", სად „განკიცხული"?!... ნაკეთობამ, დაჭიმულობამ, არაბუნებრიობამ გააფუჭეს ყოველივე „ვაი მართალში". დიალ, მხატვრულობა, ნატურისადმი ერთგულება — აი რის გარეშეც არაფრად არ ვარგა ლიტერატურული ნაწარმოები. აი სწორედ ამ მხატვრულობით, რეალობით და ტიპიურობით გვიტაცებს „განკიცხული". გაუმარჯოს „განკიცხულს", გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!!!

„ალექსანდრე მიხეილის-ძეს, გთხოვთ უარს ნუ მეტყვით და მაცნობეთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი[1]. იმედი მაქვს უარს არ მეტყვით; იმედი მაქვს, რომ ნათაძის სახელზედ, ან პირდაპირ ჩემ სახელზედ მოვა წერილი, რომელიც დააბოლოვებს იმ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზედ და სხვებზედ აქაურებზედ „განკიცხულმა". თუ არ გეწყინებათ,

---

[1] ლაპარაკია „განკიცხულის" XIV—XV თავების შესახებ, რომლებიც არ დაბეჭდილა. — ა. მ.

ეშასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“. „განკიცხული“ ჭეშმარიტად წმინდა თხზულებაა უმაღლესი მხატვრულობისა, წმინდა ხელოვნებისა; ღმერთმა ქმნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში. უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა, რომელი ესრე ასაჩუქრებს თავის ჭვეყანას.

„თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალებთ, რომ შემატყობინებთ იმ ორ გამოშვებულ თავების შინაარსს, ძლიერ მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის“ რედაქციაშია. შეგიძლიანთ დაწერილი ჩადოთ „ივერიის“ ჩემს ნომერში და ისრე გამოგზავნოთ. სულით და გულით ველი და დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ მივიღებ“.

ვშთები თქვენი მარადის პატივცემელი

დ ა ვ ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი[1].

ასეთია ის წერილი, რომელიც დ. კლდიაშვილმა მისწერა ალ. ყაზბეგს რომან „განკიცხულის“ გამოქვეყნების გამო. მოყვანილი სტრიქონები, რომლებიც ცნობილი მწერლის კალამს ეკუთვნის, შუქს ჰფენს იმ დიდ გავლენას, რომელსაც ახდენდა ალ. ყაზბეგის მხატვრული ნაწარმოებები საერთოდ, კერძოდ კი „განკიცხული“.

დავით კლდიაშვილის ამ წერილით ალექსანდრე ყაზბეგი დიდად კმაყოფილი გამხდარა და საპასუხო წერილიც მიუწერია. იგივე დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში ამის შესახებ წერს:

„აღტაცებულმა მისი მოთხრობის „განკიცხულის“ წაკითხვით მე მივსწერე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიც იგი მწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრძნობი შემატებულად მყავდესო; ბევრი ისე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვაო. რასაკვირველია, თბილისში ისეთებიც ჰყავდა სანდროს, რომლებიც დიდად აფასებდენ და ხელს უწყობდენ მას ღატაკ ცხოვრებაში. დიდად ემადლიერებოდა ვანო მაჩაბელს; დიდის სიყვარულით იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს“[2].

ასეთია ალ. ყაზბეგის რომანის „განკიცხულის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებული პირველი შთაბეჭდილებები, ასე დიდ გავლენას ახდენდნენ მისი ნაწერები.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3978.

[2] დავით კლდიაშვილი — „მემუარები“, 1925 წ., გვ. 46.

IV

1887 წლის დამდეგს ალ. ყაზბეგს მოსკოვიდან წერილს სწერს იმ ხანად ახალგაზრდა სტუდენტი, ხოლო შემდგომ ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი. როგორც წერილიდან ირკვევა, ახალგაზრდა ალ. ხახანაშვილი ადრევე დაინტერესებულა ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედებით. ეს დაინტერესება იმდენად დიდი ყოფილა, რომ მას გადაუწყვეტია ალ. ყაზბეგის თხზულებებზე დაყრდნობით მოსკოვის უნივერსიტეტში რეფერატი წაეკითხა. რეფერატის დამუშავების დროს საჭიროდ დაუნახავს მიემართა ისევ ალ. ყაზბეგისათვის, როგორც მოხევეთა ზედმიწევნით მცოდნისათვის, მთელი რიგი დამატებითი მასალების მისაღებად. ეს პირადი წერილიც უმთავრესად ამ მიზანს ემსახურება.

ალ. ხახანაშვილის ეს წერილი უდაოდ საინტერესო მასალაა როგორც ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის, აგრეთვე თვით ალ. ხახანაშვილის იმდროინდელ მისწრაფებათა გასათვალისწინებლად. ალ. ხახანაშვილი სწერდა:

„პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! პროფესორი მილლერის მონდობილობით მე, თქვენთვის უცნობი კაცი, ვამზადებ რეფერატს „მოხევეებზედ“ თქვენის თხზულებების შემწეობით. ბოდიშს ვიხდი, რომ ამაზედ თქვენ წინდაწინვე ნება არ გთხოვეთ. ბოდიშთან ვკადნიერდები და მოგმართავთ შემდეგის თხოვნით: თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება და არ შეგაწუხებთ, რაც დაეტევოდეს ერთს ფოსტის ქაღალდზედ, მაცნობოთ ცნობები აი ამ კითხვებზედ: 1. გეოგრაფიული საზღვრები და მდებარეობა; 2. რიცხვი მოხევეთა; 3. სარწმუნოება; 4. ზნე-ჩვეულებანი; 5. აქვთ, თუ არა შკოლები; 6. რა უფლებანი ჰქონდა და ან შერჩა თემს; 7. საერთო მიწის მფლობელობაა, თუ საკუთრებათაც აქვთ დაყოფილი, 8. ხვნა-თესვას მისდევენ?

„სამუდამოდ დამავალებთ, თუ არ დაიშურებთ დროს ამ კითხვებზედ პასუხის მოსაცემად. გარდა ამისა ამ წინაზედ წერილით გთხოვეთ, თქვენი ბიოგრაფიული ცნობები შეგეტყობინებინათ. შეიძლება წერილი დაიკარგა. ჟურნალმა „Русская мысль“ მოხოვა, რამე გადამეთარგმნა რუსულად; მე თქვენი „ელისო“ ვარჩიე, რადგანაც ხელთა მქონდა. ამ თარგმანს ვამზადებ და ამიტომ გთხოვთ კიდევ გვაცნობოთ, როდის დაიწყეთ წერა, სად

მიიღეთ განათლება და სხვა... „ელისოს“ არ დავბეჭდავთ, ვიდრე თქვენგანით ნება არ მოგვიეა.

თქვენი ბედნიერების მოსურნე
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ხ ა ხ ა ნ ო ვ ი“ [1].

მოყვანილი წერილი პირდაპირ მიუთითებს ალ. ხახანაშვილის დაინტერესებაზე ალ. ყაზბეგის შემოქმედებით და მოხევეთა ცხოვრების შესწავლით. მაგრამ აქ ერთი მომენტიც საინტერესოა. ახალგაზრდა სტუდენტი წერილსა სწერს და დავალებას აძლევს ცნობილ მწერალს, უდიდესი სახელის ადამიანს. ეს უბრალო საქმე არ იყო, და ამიტომაც არის, რომ ალ. ხახანაშვილის წერილს თან ახლავს ალ. ყაზბეგის ერთერთი ნაცნობის, თბილისის საქალაქო სკოლის მასწავლებლის, გრ. პაპიტაშვილის სარეკომენდაციო წერილიც.

გრ. პაპიტაშვილი ალ. ყაზბეგს სთხოვს, რომ მან (ალ. ყაზბეგმა) როგორმე უპასუხოს ალ. ხახანაშვილს და მისცეს საჭირო ცნობები რეფერატის დასაწერად. უნდა ერთი-ორი საათი მაჩუქოთ და უმორჩილესი თხოვნა აასრულოთო, სწერდა იგი. მოხევეთა ცხოვრება ყველამ კარგად როდი იცოდა. ერთერთი მოღვაწე, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა მათი ყოფის ყოველ დეტალს, ალექსანდრე ყაზბეგი იყო. ამიტომაც არის, რომ გრ. პაპიტაშვილი თავის წერილში ალექსანდრეს გულწრფელად სწერს: „ბევრი ვიტრიალე და ისევ თქვენ მოგმართეთ, როგორც იმ ხალხის ჯიგარში ჩახედებულს და სრულს მცოდნეს. ვიცი თქვენი გულის ამბავი, არ დაიზარებთ და მალე მომწერთ“.

ალექსანდრე ყაზბეგმა ეს წერილები მიიღო და, როგორც ჩანს, მათ დიდის გულისხმიერებითაც მოეპყრო. მისთვის გასაგები იყო ის გატაცება, რომლითაც ალ. ხახანაშვილი ალ. ყაზბეგსა და მის მშობლიურ ხევს ეკიდებოდა.

ალ. ყაზბეგს მიღებულ წერილზე მეტად ვრცლად და მართლაც დაუზარებლად უპასუხნია. მწერლის არქივში დაცულია დედანი იმ წერილისა, რომელიც მას ალ. ხახანაშვილისათვის გაუგზავნია. ალ. ყაზბეგი თავის პასუხში ფართოდ ეხება იმ საკითხებს, რომლების შესახებ მას განმარტებას სთხოვდნენ. წერილი მეტად მნიშვნელოვანია, იგი ეხება მოხევეთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ეკონომიურ მდგომარეობას, ზნეჩვეულებას და სხვა მთელ რიგ საინტერესო მომენტებს.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3978.

ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში მართლაც არაჩვეულებრივად ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობას ეწევა. 1881 — 1885 წლებში ზედიზედ იბეჭდება მისი რომანები: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „განკიცხული“, „ელისო“, „ხევის ბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვა მრავალი.

მწერლის თანამედროვეები დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით მესხი, პ. ცხვილოელი, არტემ ახნაზაროვი და სხვები ერთხმად ადასტურებენ, რომ იგი წერდა მთელი თავისი გატაცებითა და ნაყოფიერებით. ალექსანდრე ყაზბეგისათვის წერა იყო მოთხოვნილება, რომელსაც იგი ვერაფრით ვერ შეცვლიდა.

ალექსანდრე ყაზბეგმა სულ რაღაც ათეული წლის განმავლობაში უამრავი ნაწარმოები გამოაქვეყნა, მისი ნაწერები მკითხველთა უფართოეს მასებს ეფინებოდა, მწერლის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. ალ. ყაზბეგს უთვალავი მომხრე ჰყავდა. მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამავე დროს მას მოწინააღმდეგეებიც არ აკლდა. იყო ერთი ჯგუფი, რომელიც გენიალურ მწერალს სათანადოდ ვერ აფასებდა და მათი სითამამე ზოგჯერ იქამდისაც კი მიდიოდა, რომ ისინი ალ. ყაზბეგის საწინააღმდეგო წერილებს გაზეთის ფურცლებზედაც ათავსებდნენ.

ალ. ყაზბეგისადმი ზოგიერთი თანამედროვის არაგულწრფელი დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს დავით კლდიაშვილი. იგი წერს: „ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროებაში“ საოცარი ენით გალანძღა იგი. მიწასთან გაასწორა, რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი, — ილია ხონელმა, ძლივს დავაწყნარეთ საწყალი, ტირილი რომ აუტყდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ.

„ალბად ვანო მაჩაბელი არ არის თბილისში. — ის არ მისცემდა ნებას ასე რიგად გაველანძღე ხონელს. დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა ისეთი დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ, სთქვა სანდრომ. ეს იყო ღრმა რწმენა და მით ნუგეშობდა იგი [1].

ასეთი იყო ზოგიერთი თანამედროვის მოპყრობა გენიალური მწერლისადმი. ეს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მისდამი

---

[1] დავით კლდიაშვილი — „მეგუარები“, 1925 წ., გვ. 46.

ალ. ყაზბეგს უქმნიდა გარკვეულ წინააღმდეგობას, რომელთა გადალახვა მწერლისაგან ენერგიულ ბრძოლას მოითხოვდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება-მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ ჰომენტად მოჩანს მუდმივი ბრძოლა წინააღმდეგობებთან. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იგი ამ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში დავაჟკაცდა. ალ. ყაზბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ ბრძოლაში უკან არასოდეს არ იხევდა. ჩვენ ზემოთ გავეცანით ერთ ამონაწერს, რომელშიაც ალ. ყაზბეგი გვეუბნება, რომ იგი წინააღმდეგობათა გრეხილში კი არ იბნეოდა, არამედ მტკიცედ მიჰყვებოდა არჩეული მიზნის განხორციელებას. იგივე უნდა ითქვას იმ წინააღმდეგობაზეც, რომელიც დიდ მწერალს ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ხვდებოდა ოთხმოციან წლებში.

იმ დროს, როდესაც ალ. ყაზბეგის სახელს მთელი ქართველი ხალხი დიდების შარავანდედით მოსავდა, იონა მეუნარგია გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე ალ. ყაზბეგის საწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნებას ახერხებდა. 1886 წელს თავის წერილში, — „მოძღვარის გამო". — ი. მეუნარგია ალ. ყაზბეგის „მოძღვარს" იწუნებდა. იგი, დიდი მწერლის მხატვრულ შემოქმედებას აცლიდა რა ფართო ეროვნულ შინაარსს, ცდილობდა, რომ ალ. ყაზბეგის თხზულებები ვიწრო კუთხური ზღუდეებით შემოეფარგლა. ი. მეუნარგია წერდა, მოჩხუბარიძის ნაწერების ტერიტორია ლარსში იწყება და დუშეთში თავდებაო.

ი. მეუნარგია ალექსანდრე ყაზბეგის რომანების შესახებ წერდა: „ერთი და იგივე საგანი, რომელსაც მოჩხუბარიძემ ექვსი თუ შვიდი თავისი მოთხრობები შესწირა, შეიძლება თუ არა გაუხდეს იმას მასალად შემდეგის მოთხრობებისათვის? „ელგუჯა", „მამის მკვლელი", „ელისო", „მოძღვარი" სულ ერთი და იგივე თხზულებაა, რომელსაც ერთიდაიგივე ნაქსოვი აქვს, ერთიდაიგივე ლიტერატურული ძვალი და რბილი".

შემდეგ იონა მეუნარგიას გამბედაობა იქამდის მივიდა, რომ იგი წერდა: „არა მგონი, რომ იმან (ე. ი. ალექსანდრე ყაზბეგმა — ა. მ.) შეძლოს ან ფსიქოლოგიური რომანის დაწერა, ან სხვადასხვა სამოქალაქო და საზოგადო მოტივებზე აგებული ჰოთხრობების შედგენა" [1].

მოყვანილი სტრიქონები, რასაკვირველია, ოდნავადაც სწორად არ გადმოსცემს ალ. ყაზბეგის რომანების ნამდვილ ღირსებას, ეს

---

[1] გაზეთი „ივერია," 1886 წ., № 91.

არის ცილისწამება დიდი მწერლისადმი. მეუნარგიას ეს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ალ. ყაზბეგისადმი აღმოცენებულია პირად ანგარიშებიე. მათ პირადი უთანხმოება ჰქონდათ. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ალ. ყაზბეგის მოწინააღმდეგეებს (იოანა მეუნარგია, ილია ხონელი და სხვ.) პირადი ღვარძლი გაზეთის ფურცლებზე გამოჰქონდათ, ხალხის საყვარელ მწერალს თავიანთი ფელეტონების საგნად აქცევდნენ. მის დიდ სახელს ჩრდილის მიყენებას უპირებდნენ. ისინი საგანგებოდ დაეძებდნენ მიზეზს, რომ ალ. ყაზბეგის შესახებ ელაპარაკნათ პრესაში თუ ვიწრო წრეებში.

მოწინააღმდეგეთა ქცევით გაბეზრებული ალ. ყაზბეგი ერთ ადგილას ამბობს:

„საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი. ღმერთმა იცოდეს!.. არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა იმ დღეს, რომელი იმ ღმერთთაგანი თანაგრძნობის და რომელი უთანაგრძნობის სხივითა ჰფენს ჩემს მომავალს. სადაც რა უნდა მოხდეს. სადაც რა რიგს უკეთმართობაზედ უნდა დაუტრიალდეს ვისმე ბედის ჩალხი, სადაც უნდა ცოფმორეული, დაბნედიანებული ხალხს საკბენად ექანებოდეს, უეჭველად მე შიგ ჩარეული უნდა შევიქნა!... უეჭველად უნდა აღიჰურვნენ ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ხარისხის და ღირსების გმირნი, ჩემზედ უნდა სცადონ თავიანთი ჭკუამახვილობის მკრეღლობა, თავიანთი ხუმარ-მასხრობის ფხიანობა და ყველა მათგანი ცდილობს, უეჭველს თავის მოვალეობად ხდის ცოცხალივე მიწაში ჩაფლას, თუნდა თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც-კი არა ჰქონდეს!.. ასე რომ მე რომ „ალთას“ ვიმყოფებოდე და რომელიმე ფხუკუნაძეს „ბალთაში“ ცხვირი დააცემინოს, მე უნდა დამბრალდეს ეს უბედური შემთხვევა!.. უნდა ჩემს წინააღმდეგ გამოირაზმონ და გამოილაშქრონ ყველა“ [1].

ასე მწვავედ განიცდიდა ალექსანდრე ყაზბეგი მისდამი ზოგიერთი თანამედროვის დამოკიდებულებას. იგი თითონვე კარგად გრძნობდა მათ შეცდომას, მაგრამ დიდი მწერალი ამით სასოწარკვეთილებაში კი არ ვარდებოდა, არამედ წინ იხედებოდა.

დავით კლდიაშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ალ. ყაზბეგი მომავლით ნუგეშობდა, იგი გრძნობდა, რომ მომავალი მის საბელს დიდების შარავანდედით შემოსავდა. დავით კლდიაშვილის ეს სიტყვები მთლიანად დასტურდება ალ. ყაზბეგის არქივში დაცული მასალების საფუძველზე. ალ. ყაზბეგი თავის მოწინააღმდეგეებს

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი. № 3987.

ხშირად გაზეთის ფურცლებზედვე პასუხობდა, მაგრამ ზოგჯერ მათ ციტატებს თავის ქაღალდებში ინიშნავდა, პასუხს უწერდა და თავისავე არქივში ინახავდა. ასეთი ჩანაწერები და შენიშვნები მის ხელნაწერებში უხვად მოიპოვება. მწერლის არქივში დაცულია ერთი დიდი წერილი, რომელიც მას იონა მეუნარგიას საპასუხოდ დაუწერია.

ალ. ყაზბეგი თავის წერილში გამანადგურებელ პასუხს სცემს თავის მოწინააღმდეგეებს. იგი თავის მოწინააღმდეგეთა გასაგონად ხმამაღლა ამბობს: „მე მყავს ჩემი საზოგადოება და ჩვენ მივხვდით ერთმანეთის გრძნობას, ერთმანეთის გულის ძგერას, ჩვენ გავიგონეთ ერთმანეთის კვნესა და ხმები დიდი ხანია რაც შევაწყეთ. ერთი გვაქვს სიხარული და ერთიანი სამგლოვიარო“ [1].

გენიალურ მწერალს თავისი შრომის დამფასებლად ფართო მასები მიაჩნია. ალ. ყაზბეგის რწმენით, მწერალი ხალხის შვილია, ხოლო მწერლის შრომის ყველაზე კარგი დამფასებელი ხალხია. ეს აზრი ალ. ყაზბეგს სხვა ადგილასაც აქვს განვითარებული. „საზოგადოებამ, — წერს იგი, — დაინახა ჩემი სინდისიერი წადილი სამსახურისა და მან იგრძნო, რომ თუ მე დაუფასებელის და გენიოსის ნიჭის ნაწარმოებს ვერ ვაძლევ, მის მაგიერ მათ ვაძლევ ყველას, რაცა მაქვს და რისაც მიცემის ნებას საშუალება და მდგომარეობა მაძლევს. ხალხი გონიერია და ისინი ინსტიკტურად უფრო აშკარად ხედავენ სინდისიერს შრომას, სანამ ეხლანდელი ჩვენი ვითომც კრიტიკოსები“ [2].

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი გარკვევით გრძნობდა. რომ მას მკითხველთა უდიდესი უმრავლესობა პატივს სცემდა, იგი ეყვარდათ და აფასებდნენ, რადგანაც თვითონ მთელი თავისი მოწოდებით ხალხის საქმეს ემსახურებოდა. მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, იგი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის მანძილზე მთელ რიგ სიძნელეებს ხვდებოდა, მაგრამ სიძნელეებს ებრძოდა და სძლევდა კიდეც. ალ. ყაზბეგი ამ ბრძოლაში იზრდებოდა და იწრთობოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის წერილი ი. მეუნარგიას მიმართ სხვა მხრივაც საყურადღებოა. კერძოდ, არ შეიძლება განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის აზრები და დებულებები, რომლებიც შუქს ჰფენენ დიდი მწერლის მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდს.

ი. მეუნარგია თავის წერილში „მოძღვარის“ გამო ალექსან-

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3987.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3989.

დრე ყაზბეგს, სხვათა შორის, უსაყვედურებდა ტენდენციურობას. ალ. ყაბზეგი უპასუხებს კრიტიკოსს და ამ პასუხში იგი გამოსთქვამს თავის შეხედულებას საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებებში ტენდენციის გატარების შესახებ. იგი წერს:

„როდესაც საზოგადოდ მოთხრობა იწერება, შიგ ტენდენცია, აზრი რამ უეჭველად უნდა იყოს ჩარეული და მე არა მწამს იმათი ნაწერები, ვინც აზრის გაუტარებლად უსულო სურათებს ხატავენ. აზრი უეჭველად უნდა იყოს ყოველ უბრალო აღწერაშიაც, ეხოლოდ აზრით გადამლაშება მოთხრობისა, აგრეთვე როგორც სხვა მხარეებით გადამლაშება, მართალია, არ ვარგა. როდესაც აზროვნება და სურათოვნობა ერთმანეთს წესიერად შესაზავდებიან. მაშინ მოთხრობის ღირსებისათვის უკეთესი სანატრელი აღარა რჩება“. და შემდეგ ალ. ყაზბეგი განაგრძობს: თუ ამ მხრივ „მოძღვარში“ რომელიმე შემადგენელის ნაწილის გადაჭარბება ნახეთ, მიჩვენეთ და მე გამოვასწორებ, თორემ უამისოდ მარტო ლიტონის სიტყვების სროლა ემსგავსება ცარიელის ქვევრისაგან ხმაურობის უაზროდ გამეორებას[1].

მოყვანილი ამონაწერი მეტად საინტერესოა, იგი იძლევა გასაღებს ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი მეთოდის გასაგებად. არა უსაგნო ხელოვნება და სიტყვათა უაზრო მწკრივები, არამედ ცოცხალი სიტყვა სინამდვილის გარშემო; არა პუბლიცისტიკა და მშრალი სტატისტიკა, არამედ რეალური სინამდვილის ჭეშმარიტი პოეტური ასახვა და გადმოცემა, — ასეთია გენიალური მწერლის შეხედულება მხატვრულ ლიტერატურაზე. აი კიდევ რა ბრწყინვალე შეხედულება აქვს სხვა ადგილას გამოთქმული მას თავის იმავე წერილში იონა შეუნარგიას საპასუხოდ.

„მე, — წერს ალ. ყაზბეგი, — არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მოუბრუნდება მკვდარს, მოქმედებამოკლებულს საგანს. მაშასადამე, ყოველს მსურველს ჩემის შრომის გარჩევისას უფლება აქვს სრული, არამცთუ უფლება, მოვალეობა ყველა

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3987.

მათგანიამმხრივშეეხონჩემსნაწერებს, გაარ-
ჩიონ, წარმოსთქვან მათი ავკარგიანობა“.

ამ დეკანზით მოქმედებდა ალექსანდრე ყაზბეგი. მისი მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკაც მის მიერ ჩამოყალიბებული დებულების ბრწყინვალე დასაბუთებას იძლევა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლები ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების ერთადერთი ძირითადი პერიოდია. აქამდის ჩვენ გავეცანით მწერლის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს ამ ეპოქაში. მაგრამ ალ. ყაზბეგის ცხოვრება და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა რომ სისრულით წარმოვიდგინოთ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა მთელი რიგი საქმიანობაც, რომელსაც მწერალი იმ დროს ეწეოდა.

ალ. ყაზბეგი თავისი უანგარო მოღვაწეობით ფრიად საყურადღებო კვალს ტოვებს ოთხმოციან წლების ქართული პერიოდული პრესისა და თეატრის წინაშე. ეს საქმიანობა მისი საერთო ღვაწლის ძირითადი ნიშანია და ალ. ყაზბეგის ამ მხრივ დამსახურების შესწავლა ხელს უწყობს მწერლის საერთო სახის აღდგენას. ეს მით უმეტეს ითქმის ქართული თეატრის შესახებ. როგორც ცნობილია, მწერლობას თავმინებებული ალ. ყაზბეგი თეატრს თავის უკანასკნელ დღემდის არ ჩამოშორებია. მის სათეატრო მოღვაწეობასთან დაკავშირებულია აგრეთვე ის ბრძოლა ალ. ყაზბეგსა და ზოგიერთ მის თანამედროვეს შორის, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცანით.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ოთხმოციანი წლების ქართული პრესა

I

ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში მუდმივ საცხოვრებლად გადმოსელის პირველსავე ხანებში ცდილა, რომ მოეწყო სტამბა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებას. თანამედროვეთა გადმოცემით, ალ. ყაზბეგს არსენ კალანდაძესთან ერთად, შეუდგენია ამხანაგობა და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობათა შეძენაც დაუწყია, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს იდეა ვერ განხორციელებია [1].

ამავე ხანებში ალ. ყაზბეგი დაუახლოვდა ქართული პერიოდული პრესის ერთერთ უდიდეს მოამაგეს ცნობილ სერგეი მესხს და მისივე მიწვევით გაზეთ „დროების" აქტიური თანამშრომელი ხდება.

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების გაზეთ „დროების" მოამაგეთა მცირერიცხოვან ჯგუფში ალექსანდრე ყაზბეგი ფრიად საპატიო ადგილს იკერს. იგი ამ გაზეთის ძირითადი მუშაკი, მისი ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო.

„დროების" რედაქციაში ალ. ყაზბეგის უანგარო მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა სერგეი მესხის ძმა, დავით მესხი, რომელიც ავრეთვე „დროების" ძირითადი მუშაკი იყო. დ. მესხი წერს:

„სერგეის მუშაობა აუკრძალეს. გულის ანევრიზმი თანდათან უმძაფრდებოდა, რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. ჭრელაშვილი (სანო), დავით კეზელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე) და მე. მუდმივად რედაქციაში პეტრე, სანდრო და მე ვიყავით. დანარჩენები შემოიველიდნენ და მასალას

---

[1] დ. კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია", ან ელისაბედ ყაზბეგის — „მასალები".

ვაწოდებდნენ. „დროება“ მაშინ დიდი ტანის გაზეთი არ იყო და ამდენს მომუშავეს მასალის დაგროვება არ უნდა გაგვჭირებოდა... მასალის შემოკლება მაინც ხდებოდა, უფრო ხშირად ცენზორის წყალობით“ [1].

დავით მესხის გადმოცემით. ალექსანდრე ყაზბეგი იყო გაჭირვების ტალკვესი ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეფის ცენზურა დასაბეჭდავად გამზადებულ „დროების“ გვერდებს წითელი ფანქრით დაასისხლიანებდა. ე. ი. წერილების დაბეჭდვას აკრძალავდა. ასეთ შემთხვევაში გაზეთი ალექსანდრე ყაზბეგის ფელეტონით უნდა შევსებულიყო, დაწყებული რომანების გაგრძელება მიეცა, ან ახალი დაეწყო. ალ. ყაზბეგი „დროების“ რედაქციისათვის წარმოადგენდა ისეთ უტყუარ ძალას, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო განუსაზღვრელად ეწერა და გაზეთის დროულად გამოსვლა კი არ შეეფერხებინა.

დავით მესხი თავის მოგონებაში სრულიად გაუზვიადებლად წერს: „თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ სანდრო თავისუფალი იყო. ხოლო როცა ასეთი მასალა გვისუსტებდა, ანდა ცენზორის წითელი ფელანი ულმობლად გადახაზავდა ხშირად ვრცელს წერილსა. მარქაფად სანდრო გვყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენც უცაცხანებდით, თავს კიდევ გზირი — ასთამწყობი ადგა, ფარატინს ფარატინზე აჭრელებდა დიდი მოთხრობებისას. და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხავადაც ივზავნებოდა. ხშირად ვეტყოდით ხოლმე...

— სანდრო, კაცო, არ დაგვღუპო, მოთხრობა მალე არ გაათავო!

— რაგინდათ, რა ვქნა! თუ ამას მოვრჩები, სხვა ველარ დავიწყე?! — იტყოდა ხოლმე“[2].

დავით მესხის მიერ მოწოდებული ეს ცნობა ძვირფას მასალას წარმოადგენს ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიაში. იგი ეჭვმიუტანლად გვაგრძნობინებს დიდი მწერლის უანგარო მოღვაწეობას გაზეთ „დროების“ რედაქციაში, რის მოწამეც თვითონ დავით მესხი იყო. მაგრამ ამავე ცნობას ავსებს აგრეთვე მწერლის ერთერთი თანამედროვის, პ. ცხვილოელის მოგონებაც. პ. ცხვილოელი ალ. ყაზბეგის ახლო მცნობი იყო, ის 1881 წელს სამი თვის განმავლობაში ალექსანდრესთან ერთად ცხოვრობდა ბინაზე.

პ. ცხვილოელი თავის მოგონებაში განსაკუთრებით მოგვითხრობს იმ ეპიზოდს, როდესაც ალექსანდრე ყაზბეგი გატაცებით

---

[1] დავით მესხი — „მოგონებანი“, 1940 წ., გვ. 76.

[2] დავით მესხი “მოგონებანი“, 1940 წ., გვ. 78.

წერდა თავის უკვდავ რომანს „მამის მკვლელს“ და მის ახალ-ახალ ნაწილებს გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავდა. თავისთავად ალექსანდრე ყაზბეგს რომანები „დროებას“ მკითხველთა მასებს შემოუკრებდა, გაზეთის ავტორიტეტის ზრდას ეხმარებოდა. მაგრამ იმ დროს თვითონ ალ. ყაზბეგისათვის რომ ეკითხათ, იგი ამ მოვენტს ანგარიშში არც კი მიიღებდა. მას, როგორც რედაქციის ძირითად თანამშრომელს, თავისი თავი ვალდებულად მიაჩნდა გაზეთი გასაჭირისაგან ეხსნა, მკითხველს ყოველი ახალი ნომერი დროულად მიეღო. როდესაც „დროებას“ მასალა შემოაკლდებოდა, ამ დროს „გაჭირვების ტალკვესი“ ალ. ყაზბეგი იყო: მას უნდა მიეცა თავისი რომანების გაგრძელება მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ავტორი ამათუიმ მომენტში წერის განწყობილებაზე. საქმე მოითხოვდა და მწერალს უნდა ეწერა. ალ. ყაზბეგი ასეთი შემთხვევისათვისაც ყოველთვის მზად იყო.

პ. ცხვილოელის დამოწმებით, ალექსანდრე ყაზბეგი თავის „მამის მკვლელს“ „დროების“ რედაქციაში წერდა. ცხვილოელი მოგვითხრობს: ალ. ყაზბეგი „თითქმის ყოველდღიურად ჩადიოდა დაბლა, „დროების“ რედაქციაში, და წერდა „მამის მკვლელს“. რაკი კალამს აიღებდა ხელში და დაადებდა ქაღალდს, ვიდრე არ შეასრულებდა მთელ საფელეტონე წერილს, თავს ვაღლა არ აიღებდა. ქაღალდიდგან ერთის გოჯის მანძილზე ძლივს ეჭირა თავი. ისე ახლო მიაყოლებდა თვალს ახალ-ახალ სტრიქონს (ალ. ყაზბეგს, თვალთ აკლდა ძალიან და ბეცი იყო). ამ დროს ლაპარაკი. ფეხის ხმა, რახარუხი, სიცხე, სიცივე მისთვის არ გაეჩინა ღმერთს: სწერდა და სწერდა განუწყეტლივ. ხშირად ყაკო შეახტებოდა კისერზედ, მოიკალათებდა და დაიძინებდა ხოლმე და როცა წერას გაათავებდა, მხოლოდ მაშინ გაიგებდა ყაკოს კისერზე ყოფნას.“ [1].

ასე აგვიწერს პ. ცხვილოელი „დროების“ რედაქციაში ალ. ყაზბეგის მოღვაწეობის ერთერთს ეპიზოდს.

დავით მესხისა და პ. ცხვილოელის ეს მოგონებები საკმაო წარმოდგენას იძლევიან ალექსანდრე ყაზბეგის საგაზეთო მოღვაწეობაზე. ეს მოგონებები მით უფრო ძვირფასია, რომ მათი ავტორები დიდი მწერლის ახლო მცნობნი იყვნენ. დავით მესხი და პ. ცხვილოელი, სხვადასხვა დროს, ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად ცხოვრობდნენ, ერთ ბინაში, გაზეთ „დროების“ რედაქციის შენობაში.

„დროების“ რედაქციაში თავისი მუშაობის შესახებ საინტერე-

---

[1] პ. ცხვილოელი — „ალექსანდრე მიხეილის-ძე ყაზბეგი“. გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 269.

სო ცნობას იძლევა აგრეთვე თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი. იგი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მოგვითხრობს იმ უანგარო შრომის შესახებ, რომელსაც „დროების“ რედაქციაში ეწეოდა.

აი რას წერს ალ. ყაზბეგი:

„დიალ, ბევრი, ძალიან ბევრი ვიმუშავე „დროებაში“. მის სტატიებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე, ამ გაზეთში დავიწყე შრომა. მას შეუთვისდი და ეს გაზეთი შეიქნა თითქმის ჩემი არსების ნაწილი. მაგის გარეშე მე დავიწყე „დროებაში“ მუშაობა სწორედ იმ დროს, როდესაც რედაქცია ყოველ ნაკლულოვანებას ხედავდა. ეშუშაობდი ყინვაში, სიცივეში, მთელს ღამეებს ვატარებდი უძილობაში, რადგანაც ყველა ჩამოცლილი გვყავდა და დღედღეზე მოელოდა მის მოსპობას. ისეთი წუთებიც შემხვედრია, როდესაც გაცხარებულს მუშაობაში სანთელი ჩამქრალა, ღამის სიბნელეს გახურებული გონების მუშაობა შეუწყვეტია, ამაოდ მიძებნია სანთელი; ლამპებიდან ერთიდგან მეორეში ჩამიწურავს ნავთის ნაძირალები და იმათი შემწეობით გამითავებია სამუშაო“[1].

მოყვანილი ცნობა პირდაპირ მიუთითებს ალექსანდრე ყაზბეგის უსაზღვრო გატაცებაზე საგაზეთო მუშაობით. იგი გადაუჭარბებლად მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ეს შრომა გადაიქცა მისი არსების ორგანიულ ნაწილად. ალ. ყაზბეგი „დროებაზე“ მუშაობაში ცივსა და სუსხიან ღამეებს ათენებდა, თავაუღებლივ შრომობდა გაზეთისათვის. ალექსანდრე ყაზბეგის საგაზეთო მუშაობაში გარკვევით იცნობა პრესისათვის თავდადებული მუშაკის სტილი.

ალექსანდრე ყაზბეგი ქართული პრესის მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც რუსეთის ცარიზმის სულშემხუთავ ცენზურასთან ყოველდღიურ ბრძოლაში ინარჩუნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთს და ხალხთან კავშირს არ წყვეტდა. ამავე დროს ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა და თანამშრომელთა ჩვეულებრივი ხვედრი იყო მატერიალური სივიწროვე, ხელმოკლეობა — სიღარიბე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის ისტორიამ თავდადებულ მოღვაწეთა ბრწყინვალე სახელები იცის. ესენი არიან: გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი, ი ვ ა ნ ე კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი, ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, მ ი ხ ე ი ლ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი და ს ხ ვ ე ბ ი.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელიც ამ დიდ მოღვაწეთა სახელებთან ისმის. მართალია, ალ. ყაზბეგს არ ჰქონია საკუთარი ორგანო

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3981.

(თუმცა იგი ამაზედაც ცოტას როდი ოცნებობდა). მაგრამ იგი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით და უკვდავი კალმის ნაყოფით თავის თანამედროვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებს დიდად ეხმარებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის „დროებაზე".

„დროების" რედაქციაში ალ. ყაზბეგისა და სხვა თანამშრომელთა (აკაკი. სერგეი მესხი, დავით მესხი და სხვ.) თავდადებულ შრომაზე საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ცნობილმა ნინო ორბელიანმა. ნინო თავის მოგონებაში სიტყვასიტყვით ადასტურებს ალ. ყაზბეგის ცნობას „დროების" თანამშრომელთა ხელმოკლეობისა და მათი გატაცებით მუშაობის შესახებ.

აი რას წერს ნინო ორბელიანი:

„როდესაც სერგეი მესხი „დროების" რედაქტორად იყო. ძალიან ხშირად შევდიოდი რედაქციაში. ერთ დილას შევედი: იქ დამხვდა აკაკი წერეთელი. სანდრო ყაზბეგი და სერგეი მესხის ძმები. სტოლზე მრავალი ბუბლიკები ეყარა. ყველანი გამხიარულებული იყვნენ და იცინოდნენ. სანდროს ვკითხე: რა მოგსელიათ, ეს ამოდენა ბუბლიკები მეფურნესავით რომ მოგიკრიათ, რა არის-მეთქი? სერგეიმ მითხრა: წუხელის მთელი ღამე ვმუშაობდით და უვახშოდ დავრჩითო. ამ დილით ძალიან მოგვშივდა. ჩაი გავაკეთეთ და უპურად ვერ დავლიეთო: ერთმანეთს ვკითხეთ ფული ვის რა გვაქვს. აბა ამოვიღოთო, თურმე არც ერთს გროში არ გვებადა. მერე ვთქვეთ. ნეტავი ერთი ფულიანი შემოვიდოდეს ვინმე, რომ ბუბლიკის ფული მაინც დავესესხოთო. ამ დროს ეს ჩემი მარტია (სერგეის ჰყავდა შინ გაზდილი კაჭკაჭი) გაიქცა, აი იმ კუთხეში ჩაკრა ნისკარტი პოლს. აი, იქ რომ ჩამტერეულია, და ორი აბაზიანი გადმოაგდო. ავდექით და ამ ორი აბაზით ვიყიდეთ ეს ამოდენა ბუბლიკები. სანდრომ მითხრა: „ეს მარტია დიდი თანაგრძნობით მოგვექცა დღესაო". სანდროს ვუთხარი, თუ ეგრეა. რას უყურებთ, რატომ არ მიირთმევთ-მეთქი? თქვენ ამ ბუბლიკისათვის ბევრი არა მოგიკლიათ რა-მეთქი. სანდრომ მიპასუხა: „ბევრი რომ დაეინახეთ, თვალი გაგვიძღა და ვერ დავრიეთ ხელიო". რამდენ ამისთანა და უარეს დღეში გამოუვლია სანდროს"[1].

მოყვანილი ამონაწერი გადაუჭარბებლად მოგვითხრობს იმ მძიმე პირობების შესახებ, რომლებშიაც უხდებოდა მუშაობა ქართული პერიოდული პრესის მოღვაწეებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ნინო ორბელიანი გვაცნობს იმ ხელმოკლეობის შესახებ. რასაც

---

[1] ნინო ორბელიანი — „მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზე", ჟურნალი „კვალი", 1893 წ., № 52.

განიცდიდნენ გაზეთ „დროების“ სხვა მოამაგეები, ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად.

„დროების“ რედაქციაში ალ. ყაზბეგის მოღვაწეობა მრავალმხრივ არის საყურადღებო. „დროებაში“ თანამშრომლობის პერიოდს ეკუთვნოდა ალ. ყაზბეგის სამწერლო მოღვაწეობის საუკეთესო წლები. მისი პირველხარისხოვანი ნაწარმოებებიც ამ გაზეთში დაიბეჭდა („ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ნამწყემსარის მოგონებანი“, „ხევის ბერი გოჩა“ და სხვა მრავალი). ბევრი მათგანი „დროების“ რედაქციაში იწერებოდა თანამშრომელთა თვალწინ.

ეს მოვლენა არ შეიძლება უბრალო იყოს, პირიქით, მას დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებითი ისტორიისათვის. საჭიროა განსაკუთრებით გამოიყოს ერთი მოვლენა, რომელიც ალ. ყაზბეგის უკვდავი რომანის „ელგუჯას“ დაწერის ისტორიას შეეხება. „ელგუჯას“ დაწერას თვითონ ავტორი გაზეთ „დროების“ ასოთამწყობებს უმადლოდა. სტამბის ასოთამწყობებმა პატარა მოთხრობის მაგიერ დიდი ნაწარმოები დამაწერინესო, სიამოვნებით იგონებდა ალ. ყაზბეგი შემდეგ პერიოდში.

დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს „ელგუჯას“ დაწერის ისტორიას. რომელიც მისთვის თვითონ ალექსანდრე ყაზბეგს უამბნია. აი ეს ცნობაც:

„ელგუჯა“ თავდაპირველში თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში. ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ავაწყობთ, თუ გმირი ვაჟკაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდრომო; ამისთანა ვაჟკაცს ასე ადრე არ მოვაკვლევინებთო. გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს მეტრამპაჟი დიომიდე კილაძე და ორი ასოთამწყობი, სთხოვეს, რომ ელგუჯა არ მოეკლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.

— ელგუჯას ასე ადრე ვერ მოგაკვლევინებთო, მითხრეს, — გადმომცა სანდრომ. — თან მეტის-მეტად მიამა ასეთი მომართვაო, სთქვა სანდრომ, — თან კი გასაკვირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, რაკი არ მეშვებოდნენ, იქვე გადავაკეთე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მოვაწერე „გაგრძელება იქნება“. მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომც გადალმა სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელებაც მზად მქონდა და პატარა მოთხრობის მაგიერ დიომიდე კილაძემ და სტამბის ასოთამწყობებმა დამაწერინეს დიდი მოთხრობა, სიამოვნებით, სიცილით მითხრა სანდრომ და ეს სიცილი. მისი შეხედულება მშვენიერი რამ იყო ამ დროს“ — გადმოგვცემს დავით კლდიაშვილი [1].

[1] დავით კლდიაშვილი — „მეგუარები“, 1925 წ., გვ. 45.

მოყვანილი ამონაწერი მეტად საგულისხმო მოვლენას ეხება. თვითეული ნაწარმოების შექმნის ისტორია მნიშვნელოვანია მწერლის მხატვრული შემოქმედების საერთო ხასიათის გაგებისათვის. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ალ. ყაზბეგის ბრწყინვალე რომანების შექმნის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული გაზეთ „დროებასთან".

გაზეთ „დროებასთან" ალექსანდრე ყაზბეგის ურთიერთობის თვალსაზრისით საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი მომენტი, რომელიც კიდევ უფრო მეტის სიცხადით წარმოგვიდგენს დიდი მწერლის ღვაწლს ამ გაზეთის წინაშე.

1883 წლის გაზაფხულზე, ხანგრძლივი საგაზეთო მუშაობით დაღლილმა და დაავადებულმა, სერგეი მესხმა გადაწყვიტა, „დროებას" ჩამოშორებოდა და ასეც მოიქცა; გაზეთი ცნობილ ივანე მაჩაბელს გადასცა. მაგრამ მანამ, სანამ თავის ნაამაგარ გაზეთზე ხელს აიღებდა, სერგეი მესხი „დროების" მკითხველებს გამოეთხოვა. 1883 წლის 8 მაისს „დროების" პირველ გვერდზე იბეჭდება ს. მესხის წერილი სათაურით „ჩემს მკითხველს", თავდადებული რედაქტორი გულის ტკივილით ტოვებს თავის გაზეთსა და მკითხველებს.

სერგეი მესხის ეს გამოსათხოვარი წერილი საყურადღებოა, ამ შემთხვევაში, იმით, რომ იგი აქვე ასახელებს თავის ერთგულ თანამშრომლებს, ხოლო მათ შორის პირველ რიგში დასახელებულია ალექსანდრე ყაზბეგიც.

აი რას წერს სერგეი მესხი:

„როდესაც „დროებაზედ" არის ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირებიც, რომელთაც ჩემზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სამსახური არ გაუწევიათ გაზეთისათვის, რომელთ ესასყიდლო. უანგარო შრომის წყალობით გაზეთს და იმის რედაქციასაც სული ედგა. ამ თანამშრომლებში მე დავასახელებ აქ მხოლოდ უმთავრესთ: აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, რაფ. ერისთავი, ი. მეუნარგია და ბევრი სხვანი. უამათოდ მე და ჩემს „დროებას" ცხოვრება არ შეგვეძლო; მე ვიყავი ლალა ჩვენის ახალგაზრდა გაზეთისა: ყოველთვის, გაჭირვების დროს, ესენი, ჩემ გვერდით მდგომნი, მამხნევებდნენ, ხელს მაწვდიდნენ და ამნაირად ერთად, ძმურად ვასრულებდით ჩვენს სასიამოვნოს, თუმცა მძიმეს, ხშირად უმადურ და ათასგვარ დაბრკოლებით აღჭურვილ მოვალეობას"[1].

[1] გაზეთი „დროება", 1883 წ., № 85.

ხელ კიდევ არის დადასტურებული ალექსანდრე ყაზბეგის უანგარო მოღვაწეობა „დროების“ რედაქციაში.

თავის მხრივ სერგეი მესხის მიერ საგაზეთო სამოღვაწეო ასპარეზიდან გასვლას დიდად შეუწუხებია თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი. სერ. მესხის გამოსათხოვარი წერილის საპასუხოდ იმავე „დროებაში“ გამოქვეყნებულია ალ. ყაზბეგის მიმართვა მოამაგე რედაქტორისადმი. მიმართვიდან პირდაპირ ამოიკითხება მგრძნობიარე მწერლის გულისტკივილი სერგეი მესხის გამოთხოვების გამო.

აი რას სწერდა ალ. ყაზბეგი სერგეი მესხს:

„დაუვიწყარო სერგეი მესხო!

დღეს ისეთი დრო შეგვხვდა, როდესაც ერთად შრომის შემდეგ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს და ამის გამო მე არ შემიძლიან რამდენიმე სიტყვა გამოსასალმებლად არ გითხრა.

„კარგად მიგვყავდა გაზეთი თუ ავად. ამაზედ ლაპარაკი არც მინდა და არც დრო არის. მე ვიცი მხოლოდ, რომ თოთხმეტის წლის განმავლობაში შენ თავი არ მოგიხრია არც შიმშილისა, არც წყურვილის წინაშე. შენთვის თავი ვერ მოუდრეკინებია გაჭირვებას და გმირულის მამაცობით გიბრძოლია ქაროულის სიტყვის გასავრცელებლად. მე მინახავხარ ისეთს გაჭირვებაშიაც, როდესაც გათოშილს თითებს ილხობდი პირის ორთქლით, რომ გაგეგრძელებინა წერილი, და მახსოვს, რომ იმავე დროს მთელი შენი აზრი შეპყრობილი ყოფილა გაზეთის ქაღალდის ფულის შოვნისათვის; დავსწრებივარ იმ თავგანწირულებას, რომლითაც გაჭირვებასთან გიბრძოლია და გაშტერებული დავრჩენილვარ.

„ამ შრომისა და გაჭირვებული ბრძოლის დროს ყოფილან ისეთები, რომლებიც არამც თუ გვერდს მოგდგომიან, არამედ გასულან განზედ და გაზეთი საქვეყნოდ ულანძღიათ, ყოველი შეცდომა სალაპარაკოდ გაუხდიათ და მოშველების მაგივრად ყოველის ღონისძიებით ცდილან, რომ ჩვენი ერთადერთი ყოველდღიური გაზეთისათვის ლაფი გადაესხათ. ამ გაჭირვებაში იყავ, როდესაც მე გაგიცან და ჩავსთვალე ჩემს მოვალეობად ჩემი ღონისამებრ მოგშველებოდი, მოგშველებოდი რითაც კი შემეძლო. დამეთანხმე, რომ ამდენი ხანის ერთად მშრომელნი გულგრილად ვერ გამოესალმებიან, ვერ დაშორდებიან ერთმანეთს. არ ვიცი, შეგვხვდება კიდევ ერთად შრომა თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი გულიდგან თავის დღეში არ ამოიხოცება დღევანდლამდის „დროების“ სულის ჩამდგმელის სახელი და მისი პატივისცემა შეძლებისამებრ დედაენის აღორძინების სამსახურისთვის. ამხანაგო! საუკეთესო დრომ-

დის, იმ დრომდის, როდესაც კიდევ ერთად შევუდგებით საერთო გუთანს და შენს განცხრომაზედ ზრუნვას დავიწყებული ისევ ხელს ჩოჰკიდებ საერთო საქმეს.

სიკვდილამდის შენი

ა. მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე (ყ ა ზ ბ ე გ ი)" [1].

ასე გამოეთხოვა ალექსანდრე ყაზბეგი „დროების" რედაქტორს სერგეი მესხს. ს. მესხი საგაზეთო მოღვაწეობას აღარ დაბრუნებია, იგი იმავე 1883 წელს გარდაიცვალა, ხოლო ამის შემდეგ „დროებას" ალექსანდრე ყაზბეგიც ჩამოშორდა.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციანი წლების ერთადერთი ქართული გაზეთის „დროების" რედაქციაში მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი ამ გაზეთის ერთერთი ძირითადი მუშაკი იყო. ალ. ყაზბეგის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე „დროების" ფურცლებიდან დაიწყო. აქ იბეჭდებოდა მისი როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები. ამავე გაზეთის რედაქციასთან დაკავშირებულია აგრეთვე დიდი მწერლის ზოგიერთი ნაწარმოების ჩამოყალიბების მთელი რიგი საყურადღებო მომენტები.

II

ალექსანდრე ყაზბეგმა უდიდესი ამაგი დასდო გაზეთ „დროებას". მაგრამ ამავე დროს იგი აქტიურად თანამშრომლობდა აგრეთვე იმ ეპოქის სხვა ჟურნალ-გაზეთებში („ივერია", „თეატრი").

ოთხმოციან წლებში ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნდა ალ. ყაზბეგის რომანები: „ელისო", „ციკო", „განკიცხული", „მოძღვარი" და სხვები, ხოლო გაზეთ „თეატრში" იგი ბეჭდავდა მის მიერ ხევში ჩაწერილ ხალხურ ლექსებს და სხვ.

ქართული პრესის მეთაურები ამაყობდნენ კიდეც დიდი მწერლის მათთან თანამშრომლობით. ალ. ყაზბეგის არქივში დაცულია მთელი რიგი პირადი მიმოწერები, რომლებითაც ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები სთხოვენ მას თავიანთ ორგანოებში მონაწილეობას.

გავეცნოთ ზოგიერთ ამათგანს.

გაზეთ „თეატრის" ერთერთი დამაარსებელი და რედაქტორი,

---

[1] გაზეთი „დროება", 1883 წ., № 85.

ალექსანდრე ნებიერიძე. 1887 წლის 12 მარტის თარიღით წერილს აწერს ალ. ყაზბეგს. ალ. ნებიერიძე თავისი წერილით ალექსანდრე ყაზბეგს სთხოვს, გახდეს „თეატრის“ თანამშრომელი, მიაწოდოს რედაქციას პატარა მოთხრობები და ლექსები.

ალექსანდრე ნებიერიძე სწერს:

„იანვრის პირველიდან გაზეთ „თეატრის“ რედაქტორ-გამომცემელი მე ვარ. თუმცა ვ. აბაშიძე აწერავს ხელს. აქამდინ არ ვიცოდი სად იყავ. ეხლა გავიგე და გწერ კიდეც ამ წერილს, თუ გაქვს რამე პატარ-პატარა მოთხრობა, ან სხვა რამ, გამომიგზავნე ხოლმე და განა არ იცი. გადაგიხდი. თუ გინდა შენი სახელი მოაწერე, თუ გინდა სხვისა (ფსევდონიმი). დარწმუნებული იყავ, რომ თუ გინდა სახელის დაფარვა — ჩემგან ვერავინ გაიგებს“ [1].

იმავე 1887 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ყაზბეგს კვლავ მიუღია წერილი და კვლავ სთხოვენ „თეატრის“ თანამშრომლობას. ეს წერილი ცნობილ მწერალს, ანტონ ფურცელაძეს, ეკუთვნის და ზედმეტი არ იქნება გავიცნოთ მთლიანად.

ანტონ ფურცელაძე ალ. ყაზბეგს სწერდა:

„ძმაო სანდრო! ეს მესამე წერილს გიგზავნი ფულით და აქამდის შენი პასუხი არა მაქვს. გიგზავნი ორს თუმანს, რადგან მეტი არ შეგროვდა ჯერჯერობით. სანდრო! ჩვენ ავიღეთ „თეატრი“, უნდა ჟურნალად გადავაქციოთ. იანვრიდან ჩვენს ხელთ იქნება, მანამ ჟურნალის ნებას მოგვცემდნენ, მინამ ორს ნომერს ერთად გამოვცემთ ხოლმე და ისრე იქნება, როგორც ჟურნალი. ამის გამო შენ უნდა სრული შენი მონაწილეობა მიღო ჩვენთან. ჩვენ გვეყოლებიან თანამშრომელნი: დიმიტრი ბაქრაძე, აკაკი, პეტრიაშვილი, ხუდადოვი, ხიზანოვი ხომ თვითონ რედაქციაში იქნება, როგორც ჯაბადარი, კატო გაბაშვილისა და სიტყვით ყველა. ვისაც კი ჩვენში წერა შეუძლიან. ხომ იცი რაოდენათ ვაფასებ შენს ნაწერებს. ამის გამო შენ უფრო, ვიდრემ სხვებს, გთხოვ, რომ ჩემთან ერთად იმუშაო, ერთად გავწიოთ საზოგადო საქმისათვის ღვაწლი. თუ გაქვს რამე მოთხრობა ამ პირველ ნომრისათვის გამოგზავნე, გამოგზავნე აგრეთვე შენი რომელიც უფრო კარგი ლექსები გეგულებოდეს. იმედი მაქვს, რომ მალე მივიღებ შენს პასუხს.

შენი ერთგული ძმა ანტონ ფურცელაძე“ [2].

ეს მეორე წერილი იყო ალ. ყაზბეგის მიმართ, რომლითაც

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3978.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3978.

ითხოვდნენ გაზეთ „თეატრში“ თანამშრომლობას. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ალ. ყაზბეგის საპასუხო წერილები ამ მოღვაწეთა მიმართ, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ დასახელებულ გაზეთში იგი თანამშრომლობდა. ალ. ყაზბეგი „თეატრში“ უმთავრესად ბეჭდავდა მის მიერ ხალხში შეგროვილ ლექსებსა და სიმღერებს.

ანტონ ფურცელაძის ეს წერილი ალ. ყაზბეგისადმი სხვა მხრითაც არის საინტერესო. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ ანტ. ფურცელაძე წერს: „ხომ იცი. რაოდენად ვაფასებ შენს ნაწერებს“. ასე რომ ანტონ ფურცელაძე ამ დროს უკვე დიდად აფასებს ალ. ყაზბეგის შემოქმედებას. ეს პირადი წერილი მთლიანად სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მისი ავტორი უდიდესი სიყვარულით ეპყრობა ალ. ყაზბეგს. მაგრამ აქვე ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიცნოთ ერთი ისტორიაც. რომელიც მიუთითებს ამ ორი მწერლის (ალ. ყაზბეგისა და ანტონ ფურცელაძის) ურთიერთდამოკიდებულებაზე. ეს მით უფრო საინტერესოა. რომ. თვითონ ანტ. ფურცელაძის გულწრფელი გადმოცემით, ამ სიყვარულსა და დაფასებას წინ უძღოდა ერთგვარი გაუგებრობა და პირადი უკმაყოფილება მათ შორის. და, რაც ნთავარია, ანტონ ფურცელაძეს ალ. ყაზბეგი შეუყვარდა მხოლოდ მას შემდეგ. რაც მის ნაწერებს გაეცნო.

ანტონ ფურცელაძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ მას ადრე ყაზბეგი არ მოსწონდა. არ სწამდა იგი როგორც მწერალი. მაგრამ მოხვეეც მას ვალში არ რჩებოდა. არც მას მოსწონდა ფურცელაძე — მწერალი. „უწყალოდ მდევნიდა მეცა და ჩემთა ნაწერთაცო“ — გვეუბნება ანტონ ფურცელაძე.

ასეთი იყო ამ ორი მწერლის ურთიერთდამოკიდებულება პირველ ხანებში. ანტონ ფურცელაძე თავის სიძულვილს ალ. ყაზბეგისადმი იმით გამოხატავდა, რომ მის ნაწარმოებებს არ კითხულობდა. მისი არცერთი რომანი არ წაეკითხა და ალ. ყაზბეგი კი, როგორც მწერალი, არ მოსწონდა. მის ნიჭს არ აფასებდა. ეს მოვლენა უდაოდ უცნაურია, მაგრამ მაინც ასე იყო. და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ანტ. ფურცელაძეს შემთხვევით ხელთ არ ჩაუვარდა ალ. ყაზბეგის რომანი „მოძღვარი“.

ანტონ ფურცელაძეს დაუწყია ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ კითხვა, მაგრამ დაუწყია იმ იმედით. რომ ორი-სამი გვერდის ჩაკითხვის შემდეგ ხელს აიღებდა, აღარ წაიკითხავდა. მაგრამ წუნმდებელი მკითხველი ანგარიშში მოტყუილდა.

ყველა ძვირფას ნაწარმოებს გააჩნია რაღაც ანდაზატი, რო-

ველიც მკითხველს ადრევე მიიზიდავს. ეს არის ნაწარმოების სიდიადე. მკითხველი, ვიდრე ასეთი მაღალი ღირსების ნაწარმოების კითხვას შეუდგებოდეს, თავისუფალია ე. ი. თავისთავს ეკუთვნის. მას შეუძლია დიდხანს ხელში არ აიღოს ესათუის ძვირფასი ნაწარმოები, მაგრამ როდესაც ხელში აიღებს და კითხვას იწყებს, იგი თითქოს ჰკარგავს ამ უფლებას. ნაწარმოები მას ჩაითრევს, თავის ტყვედ აქცევს და საკუთარ თავს ავიწყებს. ასე მოუვიდა ანტონ ფურცელაძესაც. მან „მოძღვარი" ხელთ აიღო იმ იმედით, რომ ჩქარა ისევ გადადებდა, მაგრამ „მოძღვარმა" იგი ისე მოაჯადოვა, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილი წუნმდებელი თავის ტყვედ აქცია, საკუთარი გარემო დაავიწყა და რომანის გმირთა მოქმედების არეში გადაიყვანა. მკითხველმა თავისი თავი ჯადოქარი კალმის მიერ დახატულ სინამდვილეში იგრძნო. „მე თვით გავხდი მოწამე და თვალით მნახველი ყველა მისი, რასაც გვიხატავდა და გვეუბნებოდა ავტორი" — წერს ანტონ ფურცელაძე.

ანტონ ფურცელაძის ეს მოგონება უდაოდ საინტერესო მასალაა ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის. იგი შუქს მოჰფენს ალ. ყაზბეგის რომანების გავლენის საერთო ხასიათს მკითხველთა წრეებზე, გაარკვევს მის დამოკიდებულებას ზოგიერთ თავის თანამედროვე მწერალთან და. ბოლოს, ეს მასალა ხელს შეუწყობს ანტ. ფურცელაძის ლიტერატურული ალღოს გარკვევასაც.

„შევუდექი კითხვას, — წერს ანტ. ფურცელაძე, — შემდეგ დიდებული ტურგენევის წაკითხვისა, რომელსაც იმოდენა წუნი დასდო ჩემმა გონებამ, შევუდექი ვისი ნაწერების კითხვას? — ქართველი მწერლისა, ისიც ვისი? — ყაზბეგისა, რომლისაც წარსული და გონების გახსნილობა ასრე კარგად ვიცოდი მე და რომელიც ასე უწყალოდ მდევნიდა მეცა და ჩემთა ნაწერთაც. შევუდექი კითხვას დარწმუნებული, რომ მესამე გვერდზედვე შევდგები და გადვისვრი წიგნს. მაგრამ! მაგრამ დავიწყე კითხვა და ჩემი გონება თანდათან რაღაცა უცნაური მოთილისმური ჯაჭვით ჩაეკრა წიგნს და წავიდა მის აზრთა და მხატვრობათა სიღრმეში. სტრიქონები სტრიქონებს, გვერდნი გვერდთ გადევდნენ. და მე დამავიწყა ძილიც, მოსვენებაც. მე აღარ ვიყავ ჩემს საწერ სტოლთან: ჩემი მოჯადოებული გონება. თვით მთლად ჩემი არსება გადავიდა იმ ცხოვრებაში, იმ ბუნებაში, იმ აზრთა მიმდინარეობაში, რომელთაც გვიხატავდა ავტორი და რომელნიც სულ ახალ-ახალ სანახაობით, სხვადასხვა ცვლილებებით უფროდაუფრო იტაცებდნენ ჩემს გონებას. ამ დროს მე თვით გავხდი მოძრავი და მომქმედი პირი ამ ჯადოქრის

ყალმით დახატული ცხოველი სინამდვილისა, მე თვით გავხდი მოწამე და თვალით მნახველი ყველა მისი, რასაც გვიხატავდა და გვეუბნებოდა ავტორი; მე ვხარობდი მოქმედ პირთა სიხარულით, ვიტანჯებოდი მათი სატანჯველით [1].

ანტონ ფურცელაძის ეს მოგონება უდაოდ საყურადღებო დოკუმენტია. მართალია, ალ. ყაზბეგის მხატვრულ მოქმედებას ძალიან ბევრი მადიდებელი ჰყავდა თვითონ მწერლებს შორის, ამის შესახებ მისი სხვა თანამედროვეებიც მოგვითხრობენ, მაგრამ ამ მოგონებას აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობაც. დავით კლდიაშვილი, რომლის ერთერთ პირად წერილს ჩვენ ზემოთ გავეცანით, თავის აღტაცებას გამოთქვამდა ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე. ანტონ ფურცელაძე კი „ელგუჯას“ და „მაგის მკვლელის“ ავტორს „მოძღვარის„ გამოქვეყნებამდის არ იცნობდა. „მოძღვარით“ დაიწყო მან ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების კითხვა. ეს მოხდა ოთხმოციანი წლების მიწურულს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ალ. ყაზბეგის უდიდესი შემოქმედებითი სტიქია უკვე იწურებოდა, დასასრულს უახლოვდებოდა.

„მოძღვარის“ წაკითხვის შემდეგ, უეჭველია, ანტ. ფურცელაძე გაეცნო ალ. ყაზბეგის მთელს შემოქმედებას, რომელსაც იგი წინათ ავტორისადმი პროტესტის ნიშნად არ კითხულობდა. გაეცნო რა მის შემოქმედებას, ,ეს საყოველთაოდ ცნობილი წუნმდებელი, რომელიც დიდებულ ტურგენევსაც კი არ ზოგავდა, ახლა ალ. ყაზბეგის თაყვანისმცემელი შეიქნა. შეუყვარდა რა ალ. ყაზბეგი და მისი მხატვრული შემოქმედება, ანტონ ფურცელაძე მხოლოდ ამის შემდეგ (1887 წ.) იწვევს საყვარელ მწერალს გაზეთ „თეატრში“ თანამშრომლობისათვის, ოღონ ალ. ყაზბეგს ქართული ბეჭდვითი სიტყვის ყოველი ორგანოსათვის მუდამ მზად ჰქონდა თავისი მადლიანი ხელი და კალამი.

[1] გაზეთი „იბერია“, 1898 წ., № 52.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრი

I

ალექსანდრე ყაზბეგის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დამსახურება ქართული თეატრის წინაშე. მისი სასცენო მოღვაწეობის დასაწყისი პირდაპირ ემთხვევა მუდმივი ქართული თეატრის აღდგენას მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათ წლებში. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, ვასო აბაშიძის, დავით ერისთავის, მაკო საფაროვას, აქვსენტი ცაგარელისა და სხვათა თაოსნობით 1879 წელს განახლებულ იქნა მუდმივი ქართული თეატრი.

ალ. ყაზბეგიც ამ ეპოქის მოღვაწეა და მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოთხმოცდაანი წლების თეატრთან. ქართული სცენის სხვა მოამაგეებთან ერთად, ალ. ყაზბეგი თავისი უანგარო მოღვაწეობით საპატიო ადგილს იკავებს ქართული თეატრის ისტორიაში.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც რეალისტი მწერალი და მოაზროვნე, თეატრის მიმართ ჯანსაღი უტილიტარიზმის თვალსაზრისზე იდგა. იგი თეატრს უყურებდა როგორც საზოგადო საქმეს, „საქვეყნო სამსახურს". თავის ერთერთ ავტობიოგრაფიულ წერილში ის მოგვითხრობს იმ ინტერესის შესახებ, რომელიც მას სათეატრო მოღვაწეობისაკენ იზიდავდა. ალექსანდრე წერს: „მომეტებული წილი ჩვენგანი, ვინც-კი ემსახურობდით თეატრში, ამ საქმეს ისე უყურებდით, როგორც ერთ საქვეყნო სამსახურს, რომელიც ეჭირებოდა ჩვენს ქვეყანას როგორც ენის გასავრცელებლად და გასაცნობლად ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან; ერთი სიტყვით, თეატრს ისე უყურებდით, როგორც საზოგადოების შეხედულების და გონების გასახსნელს. ერთს საშუალებას და ამიტომაც ვიკისრეთ შედარებით ისე ვცირედს ჯამაგირზე ცხოვრება, როგორც დაგვინიშნა ანტეპრენიორმა" [1].

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3981.

მოყვანილი ამონაწერი გარკვეული მიუთითებს იმ ინტერესებზე, რომლებიც ალ. ყაზბეგს ქართულ თეატრში ამოქმედებდა. თვით ალექსანდრეს მიერ მოწოდებულ ამ ცნობას მისი თანამედროვეებიც ადასტურებენ. ქართული თეატრის ერთერთი ცნობილი მოღვაწე, გიორგი თუმანიშვილი, თავის მოგონებებში მოგვითხრობს იმ უანგარო გატაცების შესახებ, რომლითაც შეეფარა ალ. ყაზბეგი მუდმივ ქართულ დასში. გ. თუმანიშვილის ეს მოგონება საინტერესო ფურცელია ალ. ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობის ისტორიაში. იგი წერს:

„ყაზბეგს მე გავეცანი 1879 წელს შემდეგ განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ამ წელს საქართველოს ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ღირსშესანიშნავ მოვლენას: ჩამოყალიბდა მუდმივი ქართული დრამატიული დასი, იგი ჩამოყალიბდა დიდი წვალებისა და დავიდარაბის შედეგად. რეპერტუარი კი, შეიძლება ითქვას, სრულებით არ იყო. ერისთავისა და ანტონოვის პიესებმა ყველას საკმაოდ მოაბეზრა თავი, ახლები კი თითზე ჩამოსათვლელი იყო. რა თქმა უნდა, მუდმივი წარმოდგენების მოწყობასთან დაკავშირებით უნდა გაჩენილიყვნენ ახალი პიესები. მაგრამ პირველ ხანებში მეტად მძიმე მდგომარეობა იყო. სწორედ ამ ძნელ მომენტში დ. ვ. ერისთავმა (დრამა „სამშობლოს“ ავტორმა) ახლად ჩამოყალიბებულ არტისტების ამხანაგობას აუწყა მეტად სენსაციური ახალი ამბავი. მან, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, გამონახა პროვიდენციალური არსება, რომელსაც შეეძლებოდა ქართული თეატრის გადარჩენა. ამასთან მან დაასახელა მანამდის ყველასათვის უცნობი ა. ყაზბეგი, რომელიც, თუ არ ვცდები, ის იყო დაბრუნდა პეტერბურგიდან. ყაზბეგს, როგორც გადმოსცემდა დავ. ერისთავი, ჰქონდა 25-მდე თარგმნილი პიესა ქართულ ენაზე. გავიგე რა ამის შესახებ მე, რომელიც მეტად გატაცებული ვიყავი თეატრით, გაშმაგებით დაუწყე ძებნა ცით მოგზავნილ კეთილმომქმედს. ბევრი ძებნის შემდეგ კეთილმომქმედი ნახულ იქნა. — რომელიღაც ბინძურ ნომრებში ჩიღურეთში (თუ არ ვცდები. ახლანდელი კომერციული სასწავლებლის შენობაში). ეს იყო გამხდარი და ფერმიხდილი ახალგაზრდა. მაგრამ მეტად სიმპატიური და ლამაზი ფიზიონომიითაც-კი. მან განაცხადა, რომ მართლაც ბევრი თარგმნა, არც კი ახსოვს, სახელდობრ რამდენი, მაგრამ მას ყველაფერი უწესრიგოდ აქვს. ამასთან მან გამოსთქვა თავისი მზად ყოფნა გასამრჯელოს გარეშე ემსახუროს ქართულ თეატრს რითაც კი შეუძლია და ამხანაგობის სრულ განკარგულებაში გადასცა ხუთმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების მეგობარი“ („Подруга жизни“). ეს პიესა მანამდის მე ნახული

ქონდა რუსულ სცენაზე. ვთვლიდი მას შინაარსის მიხედვით საკუთ-ბით შესაბამისად ქართული ცხოვრებისათვის და აღტაცებული ვიყავ. როდესაც მივიღე დიდი რვეული. სუფთად დაწერილი თვით ყაზბეგის მიერ. მე შევპირდი მიმეცა ის გადასაწერად და დამებრუნებინა ორი-სამი დღის შემდეგ. თარგმანში გვხვდებოდა ზოგიერთი რუსიციზმი. პიესის შესასრულებლად დაბში არ მოიპოვებოდა შესაფერისი ძალები. მაგრამ ყოველივე ეს მე ნაკლებად მაფიქრებდა. პიესა გადაწერილ იქნა ორ დღეში და ავტორს დაუბრუნდა. რამდენიმე თვის შემდეგ მე თეატრს ჩამოვშორდი. მაგრამ მაყურებლის როლში მიხდებოდა თვალყური მედევნებინა ყაზბეგის აქტიური მოღვაწეობისათვის ახლად შექმნილ ქართულ სცენაზე. ქართულმა რეპერტუარმა მისგან სერიოზული დახმარება მიიღო. ის კიდეც თარგმნიდა. კიდეც გადმოაკეთებდა და კიდეც სწერდა ორიგინალურ პიესებს" [1].

ამონაწერი საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. მაგრამ იგი ეხება საინტერესო მომენტს.—ალ. ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობის დასაწყისს. დაბოლოს ეს სტრიქონები ქართული თეატრის ერთერთ დიდ მოამაგეს — გიორგი თუმანიშვილს — ეკუთვნის.

მოყვანილი ამონაწერები საკმაოდ წარმოდგენას იძლევიან იმ მიზნების შესახებ, რომლებიც ალ. ყაზბეგს ქართული თეატრის სცენისაკენ ეწეოდა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ალექსანდრე არ ყოფილა ბრწყინვალე არტისტი. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი მხოლოდ ზოგიერთ როლებს იმშვენებდა. ალ. ყაზბეგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც მ წ ერ ა ლ ი, მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი. და არა როგორც ა რ ტ ი ს ტ ი. თითქმის ყველა დიდი მწერალი ხარკს აძლევდა თეატრსაც. ქართული თეატრის ინტერესებიდან გამოსულმა ილია ჭავჭავაძემ „მეფე ლირი" ჯერ თარგმნა, ხოლო ერთხელ სცენაზე კენტის როლიც შეასრულა. ამავე ავტორმა ნატო გაბუნიას საბენეფისოდ თავისი „კაცია-ადამიანი?!" პიესად გადააკეთა.

ქართულ თეატრს ამაგი დასდეს აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. ანალოგიური ბედი ხვდა ალექსანდრე ყაზბეგს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ალ. ყაზბეგს კიდევ უფრო მეტად უყვარდა სცენა, ვიდრე სხვა რომელიმე მწერალს. ეს უდიდესი ადამიანი თავისი დაუდეგარი და მუდამ მაძიებელი სულის სიმშვიდეს თითქოს სცენაზე ჰპოვებდა. მწერლის ერთერთი თანა-

---

[1] Г. М. Туманов-- „Характеристики и воспоминания", წიგნი პირველი, 1913 წ., გვ. 119, 120, 121.

შედროვე თავის მოგონებაში გადმოგვცემს იმ უდიდესი კმაყოფილების შესახებ, რასაც ყაზბეგი სცენაზე გამოსასვლელად მზადებისას განიცდიდა. აი რას წერს პ. ცხვილოელი:

„ალექსანდრე ყაზბეგი მეტად გულჩათხრობილი. მუდამ თავდაკიდული და მობეზული იყო შინ თუ გარეთ მოსიარულე. სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა ადამიანი, როდესაც იგი სცენაზედ სათამაშოდ ემზადებოდა და წავიდოდა შინიდან. ამ დროს განუწყვეტელს ფაცი-ფუცში იყო. ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ, — ჩხრეკდა თავის რვეულებს, შლიდა და ფურცლავდა წიგნებს, ინიშნავდა პატარა წიგნაკში რაღაცებს. ხან კარანდაშით. ხან კალმით. ტანისამოსს ისუფდავებდა და ისწორებდა სარკეში, ერთის სიტყვით, უიმისოდ უსუფთაობასა და არევდარევას ჩვეული, ეხლა თითქოს სადღესასწაულოდ ემზადებოდა“ [1].

ასეთი გატაცებით უყვარდა ალ. ყაზბეგს სცენა და თეატრი.

II

ალ. ყაზბეგი ერთ ადგილას წერს: „მე შემთხვევით არ გამოესულვარ სალიტერატურო ასპარეზზედ, რადგანაც თოთხმეტის წლისა ვიყავ და თითქმის ძლივსა ვბღაჯნიდი, როდესაც პირველად დავწერე სცენები კომედია „ალმზრდელებიდგან“. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერლის პირველი ლიტერატურული ვარჯიშობანიც უმთავრესად პიესების ხაზით მიდიოდა. იმავე პიესებით გამოჩნდა იგი პირველად ლიტერატურის სარბიელზე. პოეტი ი. გრიშაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ალ. ყაზბეგმა ჩვენი მწერლობის ალაყაფის კარები პირველად პიესებით შემოაღო.

თვითონ ალექსანდრე თავის ერთერთ წერილში მეტად საინტერესო ცნობას გვაძლევს ამ დასაწყისის შესახებ. იგი წერს: „1874 წელს მე ვიყავ თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა, რადგანაც ერეკლეთავისა და ანტონოვის პიესებს თავი საკმაოდ მოეძულებინა საზოგადოებისათვის. მე წავედი შინა და მოვდექ პიესების წერას, თარგმნას, და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე. დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს

[1] „იბერია“, 1893 წ., № 268.

ზრომას. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მა-ვივრ ცხვირწინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხარად ამიგდეს" [1].

ასე მწარედ იგონებს ალ. ყაზბეგი თავის პირველ გამოჩენას საპოლიწეო ასპარეზზე. ახალგაზრდა ავტორის მასხარად აგდებამ კარგა ხანით დააგვიანა მისი გამოსვლა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე. გულნატკენი ავტორი დიდხანს ველარ ბედავდა თავისი პიესების დასადგმელად წარმოდგენას. ასე გრძელდებოდა დაახლოებით ექვსი წლის განმავლობაში. მხოლოდ 1880 წლის გაზაფხულზე ალექსანდრეს პიესებმა პირველად იხილეს სცენა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ალ. ყაზბეგის გამოჩენა ქართულ სცენაზე უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული თეატრის უდიდესი მოამაგეების, ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვ-აბაშიძის უკვდავ სახელებთან.

ალექსანდრე ყაზბეგის მრავალფეროვან ცხოვრებაში, და განსაკუთრებით მის სათეატრო მოღვაწეობაში, მეტად საყურადღებო მომენტს წარმოადგენს ალექსანდრეს პირველი პიესის დადგმის ისტორია.

1880 წლის გაზაფხულზე, იმ დროს, როდესაც იგი საამისოდ შეიძლება არც არაფერს მოელოდა, ალ. ყაზბეგი ღებულობს წერილს მაკო საფაროვ-აბაშიძისაგან, რომელიც ალექსანდრეს თავისთან იბარებდა. ალ. ყაზბეგს სხვა არავითარი საბაბი ჰქონდა ეფიქრა, გარდა იმისა, რომ აბაშიძეების ოჯახი მას სადილზე ან შინაურ ლიტერატურულ შეკრებაზე იპატიჟებდა. დანიშნულ დროს ის მიპატიჟების ადგილზე გამოცხადდა, მაგრამ სადილის მაგიერ ვასო აბაშიძემ პიესა სთხოვა. მაკო საფაროვას ბენეფისი მზადდებოდა და თვით მაკოს სურვილით ეს ბენეფისი ალ. ყაზბეგის რომელიმე პიესით უნდა ჩატარებულიყო.

ალ. ყაზბეგი თავის მოგონებებში თვითონვე მოგვითხრობს ამ ეპიზოდის შესახებ. წერილით პირდაპირ იგრძნობა, რომ მისი პიესის სცენაზე წარმოდგენის განზრახვა ალ. ყაზბეგმა იმ დღეს პირველად გაიგო. იგი წერს:

„ერთ საღამოს მე მომივიდა წერილი ქართულის დრამატიულის დასის არტისტკა ს-გან (საფაროვისაგან — ა. ე.), რომელიც ზრდილობიანი წერილით მთხოვდა მივსულიყავ მასთან. დანიშნულს დროს ვე მივედი, ზალაში დამხვდა იმისი ქმარი (ვასო აბაშიძე—ა. მ.),

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3989.

რომელმაც შემატყობინა, რომ მისი ცოლი შეუძლოდ არის და მასთანვე დაუმატა:

— ამ ორი კვირის შემდეგ იმის ბენეფისი გახლავს. დრამატიულმა კომიტეტმა პირობაში აღუთქვა, რომ საბენეფისოდ უეჭველად ახალს პიესას მოუმზადებდა და ჩვეულებრივ მოატყუა. ჩვენ შეგიტყუეთ. რომ თქვენ რამდენიმე პიესა გაქვთ დაწერილი და ჩემი ცოლი გთხოვთ ერთერთი მისცეთ.

— დიდის სიამოვნებით, — ვუპასუხე მე და მაშინვე დაუმატე: — მხოლოდ კომიტეტს არა აქვს გადათვალიერებული. მაშინ კომიტეტის ნებადაურთველად არტისტს აკრძალული ჰქონდა პიესა რამე დაედგა სცენაზედ.

— მე ავიღებ ნებას და კიდეც გავშინჯავთ.

— ძალიან კარგი.

ჩვენ წავედით ჩემს სადგურში და გადავიკითხეთ ერთი ხუთმოქმედებიანი დრამა, სახელად „ერთი უბედურთაგანი". ხსენებულმა არტისტს მოეწონა და წაიღო"[1].

ასე მოგვითხრობს ალ. ყაზბეგი იმ დღის შესახებ. როდესაც პირველად წაიღეს მისი პიესა სცენაზე წარმოსადგენად. ირღვეოდა ის დუმილი, რომელიც ხუთი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ე. ი. იმის შემდეგ, როდესაც ალექსანდრეს თავისი პიესები უკან დაუბრუნეს და ჭარედაც დასცინეს. „მასხრად აიგდეს".

ალ. ყაზბეგი მოუთმენლად ელოდა თავისი პიესის წარმოდგენის დღეს. „გულმოკლული მოხევე" მაკო საფაროვას ბენეფისში თავის საკუთარ დღესასწაულს ხედავდა.

1880 წლის 13 მაისი ალ. ყაზბეგის გულსა და გონებაში განსაკუთრებული ნატვრის დღე უნდა ყოფილიყო. ისეთი დიდი განცდის, შინაგანი წვისა და დუღილის ავტორი, როგორც იყო ალ. ყაზბეგი, ამ დღეს სცენაზე ნახავდა თავისი პიესის პირველ წარმოდგენას.

13 მაისის წარმოდგენას სხვებიც დიდად მოელოდნენ. მაკო საფაროვას ბენეფისი იყო და ქართული თეატრის მოყვარულთა საზოგადოებრიობა მოამაგე არტისტის პატივსაცემად ემზადებოდა.

გაზეთი „დროება" 13 მაისის წარმოდგენის შესახებ წერდა: „დღეს, სამშაბათს, საზაფხულო თეატრში დანიშნულია მ. საფაროვის ქალის ბენეფისი, რომლისთვის ქართულ ტრუპპას მოუმზადებია ახალი ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ერთი უბედურთაგანი"

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3989.

ა. ბოჩხუბარიძისა და რაფიელ ერისთავის ჩინებული ვოდევილი „პიესასთან გამოხუმრება“.

„მ. საფაროვი ერთი უპირველეს და უჩინებულეს მანათობელთაგანია ქართულის სცენისა; არა-ერთხელ ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მიუღია იმის ნიჭიერ თამაშისაგან ჩვენს საზოგადოებაა, ახალ პიესის თამაშთან რომ ეს გარემოებაც მივიღოთ მხედველობაში. უეჭველია, უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს თეატრი საცსე იქნება ხალხთ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბენეფიციანტკის ნიჭის პატივის-მცემელნი რამდენსამე საჩუქარს ამზადებენ“ [1].

ასე ემზადებოდნენ 13 მაისის წარმოდგენისათვის. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მოუთმენლობა ალ. ყაზბეგისა. იგი თავის პიესის სცენაზე ნახვას ელოდა.

დანიშნულ დღეს თბილისის საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნა ალ. ყაზბეგის პიესა „ერთი უბედურთაგანი“. მთავარ როლებში მონაწილეობდნენ მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და თვით ალექსანდრე ყაზბეგი (მოხევე).

წარმოდგენა დამთავრდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა. თეატრი დაცარიელდა, თავბრუდასვეული ავტორი კი თეატრიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. იგი ანგარიშმიუცემლად კულისებში იდგა და ვერ გამორკვეულიყო. ალ. ყაზბეგი თავის მოგონებაში ვისთვის ჩვეულებრივ გულუბრყვილობით გადმოგვცემს, თუ რა განიცადა მან იმ საღამოს.. ივი გულახდილად მოგვითხრობს: „მე ჯერ კიდეე კულისებს უკან ვიდექ და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემის თავისათვის, როდესაც ერთბაშად გამოვფხიზლდი სცენის მოსამსახურეების ბრახა-ბრუხზედ. ვივიხედ-მოვიხედე და სუყველაფერი გამოცვლილად მეჩვენა. სცენა არეული, სიჩუმის მაგივრად მოსამსახურეების ბრახა-ბრუხი და ხმაურობა. და მათ შორის მარტოკა სრულიად ობლად დარჩენილი ვიდექი მე“ [2].

გამოფხიზლებული ავტორი შინისაკენ გაემგზავრა, მაგრამ იგი ჯერ კიდეე მოუსვენრად იყო. „მე მივდიოდი, მაგრამ გართული ფიქრით თავს ანგარიშს ვერ ვაძლევდიო“, — გადმოგვცემს თვითონ ალ. ყაზბეგი. იმ საღამოს ალ. ყაზბეგმა პირველად ნახა თავისი პიესა ფართო მაყურებლის წინაშე. ეს იყო უდიდესი მოვლენა მის ცხოვრებაში და ამიტომ იგი მთელი თავისი არსებით განიცდიდა ამ სიხარულს.

მგრძნობიარე ავტორს ახლა ის უნდოდა გაეგო, თუ როგორ მიიღო

---

[1] გაზეთი „დროება“, 1880 წ., № 100.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3989.

მაყურებელთა წრემ მისი პიესა. ალ. ყაზბეგი თვითონვე წერს. რომ ის საღამოც მან მოუსვენრად გაატარა. თითქმის უძილოდ. და მეორე დღეს დილაადრიან გაზეთებსაც თხოულობდა. რომ წარმოდგენის ანგარიში წაეკითხა. „მთელი ღამე ამ წარმოდგენის შემდეგ გავატარე მოუსვენრობაში; დამეძინა გათენებისას და ისიც ერთს თუ ორს საათს. გამოღვიძებასთან ერთად დაუძახე მოსამსახურეს და თუმცა დარწმუნებული ვიყავ. რომ წარმოდგენის ანგარიში მეორე დღის გაზეთში დაბეჭდილი არ იქნებოდა. — მაინც გაზეთები მოვიკითხე". ასე გადმოგვცემს ალ. ყაზბეგი თავის მდგომარეობას.

13 მაისის წარმოდგენას ჩქარა ქართული პრესაც გამოეხმაურა. ორიოდე დღის შემდეგ გაზეთ „დროებაში" ზედიზედ ორი რეცენზია დაიბეჭდა. პირველი ამათგანი 16 მაისს გამოქვეყნდა. მაგრამ ამ რეცენზიას არ შეიძლება დაეკმაყოფილებინა ალ. ყაზბეგის მოლოდინი. რეცენზენტმა წარმოდგენის უკეთესი მხარეები არტისტების ნიჭსა და თავდადებას მიაწერა. თვით პიესა კი არც აქო და არც აძაგა. მკითხველი პირდაპირ გრძნობს. რომ რეცენზენტი საგანგებოდ გვერდს უხვევს პიესის დადებით ნიშნებს და ერთგვარ ტენდენციურობას ამჟღავნებს" [1].

მეორე რეცენზია, რომელიც მიძღვნილი იყო ამ წარმოდგენისადმი, დაიბეჭდა 17 მაისის „დროებაში" სათაურით: „ქართული თეატრის მატიანე". ეს რეცენზია საყურადღებოა იმით, რომ იგი უფრო ვრცელია და წარმოდგენის შესახებ შედარებით ფართოდ მოგვითხრობს. რეცენზენტი (ქართულის თეატრის მოყვარე) განსაკუთრებით კმაყოფილია პიესის პირველი მოქმედებით. იგი წერს: „თვითონ დრამა მაგვდენი ვერაფერია და თუ ამ დრამაში ყურადღების ღირსი რამ არის — ეგ პირველი მოქმედებაა, საცა საკმაოდ გამოხატულია ჩვენის ქართულის ოჯახის შინაური ყოფა-ცხოვრება. ავტორმა ამ მოქმედებაში თავი იჩინა, როგორც კაცმა, რომელსაც ჰქონია თვალიც დასანახავად, ყურიც სასმენლად და კალამიც გამოსახატავად. ეგ მოქმედება სავსეა ყველა ჩვენის ოჯახის საერთო ავკარგიანობითა" [2].

ასე წერდა რეცენზენტი ალ. ყაზბეგის პიესის პირველი მოქმედების შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ მან ხაზი გადაუსვა პიესის დანარჩენ ნაწილებს და ავტორს მათი მოხსნაც კი ურჩია. „მე რომ ავტორი ვყოფილიყავ, მარტო მაგ ერთს მოქმედებას დავჯერდებო-

---

[1] გაზეთი „დროება", 1880 წ., № 103.

[2] გაზეთი „დროება", 1880 წ., № 104.

	i da dan.rchens sams moqmedebas chailuli wyalsi dazalevine-bdio" — wera gamamamebuli recenzenti.

isev rogorac pirveli, meore recenzenti 13 maisis war-modgenis yvelaze dadebiT msaresi artistebs umadlis, xolo piesis avtori daumsaxurebelad chrdilSia dayenebuli. recen-zenti iZulebulia aRniSnos, rom pirveli moqmedebis dasas-rul mayurebelebma piesis avtori gamoiwvies da ovacia gau-wares. magram igi iqve SeniSnavs, rom al. yazbegi mayureb-lisagan asetI daxilvebas unda umadlodes artistebs, da arA TavisI saKuTar xelovnebas. recenzenti gansakuTrebiT aR-frTovanebulia natO gabunias da kote yifianis miere TavianTi rolebis SesrulebiT. igi wers: „pirveli moqmedeba dra-misa, romelic win movixsenieT, srulad uGemurad chaivlida, rom piesas gabunias qali da k. yifiani ar SexvedrodA, da TU es moqmedeba moewonaT mayurebelT, asi rom TviTonac avtoric gamoiwvies, avtori gabunias qalis da k. yifianis madlobeli uflo unda iyos, vidre TavisI saKuTarisI xelovnebisa".

asi SeafasesI alexsandre yazbegis piesis pirveli warmod-gena. am SefasebaSi udaod igrZnobda erTgvari cda gulmoq-luli moxevis xelmeorad gawbilebisa, magram al. yazbegi ga-movida samoqvawo asaprezze da misi ukan daxeva nagviane-vi ocneba iyo.

asetia al. yazbegis piesis pirveli warmodgenis istoria

III

1861 wlis miwurulsi alexsandre yazbegma daamTavra TavisI cnobili drama „arsena". 1882 wlis 1 ianvarsi TviTonac al. yazbegis saxelwodebiT „arsena" arwrunis teatrSi war-moadgenes.

gazeTi „droeba" am warmodgenis SesaxebI ityobinebda: „dRes, 1 ianvarsi, arwrunis teatrSi daniSnulia qarTuli dramatiuli trupis erTi erTgul wevrTagan.is a. moxevis benefisi. warmosadgenad daniSnulia, sxvaTa Sorisi, TviTonac moxevis axali piesa „yaCaRi arsena", romelsac dasaxeb-ebenI. amas gardA ITamaSebenI erTs axal vodevilsac da iqneba agreTve diverTisman“ [1].

---

[1] gazeTi „droeba", 1882 w., № 1.

„არსენას“ წარმოდგენა დანიშნულებისამებრ ჩატარდა. პიესამ უდიდესი გავლენა მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. რეცენზენტი თავშეუკავებლად წერდა. ჩვენ დავესწარით წარმოდგენას, რომელიც მართლა ახარებს ჩვენს გულსაო. „არსენას“ წარმოდგენამ უდიდესი გავლენა მოახდინა დამსწრეებზე. ეს დრამა იმავე ავტორის უდიდეს რომანს „ელგუჯას“ გაუტოლეს.

„არსენას“ წარმოდგენას პირველ რიგში გამოეხმაურა გაზეთი „დროება“. „დროება“ თავის სარეცენზიო წერილში წერდა: „1-ს იანვარს ჩვენ დავესწარით არწრუნის თეატრში ერთს იმისთანა წარმოდგენას, რომელიც მართლა ახარებს ჩვენ გულს. ეს გახლავთ ახალი დრამა მოჩხუბარიძისა „არსენა“.

„თვითონ არსენაზე ბევრი თქმულა ლექსად თუ ამბად და ამის გამო საჭიროდ არა ვთვლი პიესის შინაარსი გადმოგცეთ. მე დავიწყებ იქიდან, რომ მოჩხუბარიძე ამ უკანსაკნელ დროში ცდილობს ტურათებს გამოლებას ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან და საზოგადოების გაცნობას ჩვენს გლეხკაცობის მდგომარეობასთან.

„რამდენად სინდისიერად ასრულებს ამ შრომას, იმას დაგვანახებს შემდეგი კრიტიკული განხილვა... ჩვენ არ შეგვიძლიან არ განუცხადოთ ჩვენი მადლობა ამ ახალს მწერალს, როგორც მოთხრობა „ელგუჯაათვის“, აგრთვე დრამა „არსენასათვის“. მოჩხუბარიძემ დაამტკიცა ამ თავის თხზულებებში, რომ ის კარგად იცნობს კაცის გულს და შეუსწავლია იმისი მოძრაობა.

„ამისათვისაც ისეთის გულმოდგინებით დასასჩუქრეს „არსენას“ ავტორი მრავალჯერ ტაშის კვრით და „ბრავოთი“.

რეცენზენტი შეფასებას აძლევს აგრთვე საღამოს მონაწილე არტისტებსაც. იგი თითქმის ყველა მონაწილის კმაყოფილია. მისივე სიყტვით, ამ საღამოს მათ თავიანთ ნიჭსაც-კი გადააჭარბეს. რეცენზენტი განსაკუთრებით კმაყოფილია ალ. ყაზბეგის მიერ არსენას როლის მოხდენილად შესრულებით. იგი გულახდილად წერს, რომ მოხევემ და ხერხეულიძემ მტერი თუ მოყვარე აღტაცებაში მოიყვანეს. ის ამბობს: „მოთამაშეებზედაც სალაპარაკო არ არის, რადგანაც ყველამ ძალიან კარგად იცის, რა რიგათაც თამაშობენ ჩვენი ნიჭიერი აქტიორ-აქტრისები იმგვარ პიესებში, რომელიც-კი ჩვენი ცხოვრებიდგან იქნებიან აღებული. ამ საღამოს თითქოს თავიანთ ნიჭსაც-კი გადააცილეს. თითონ სიკვდილის წამი ბენეფიციანტმა (არსენამ) და ერთბაშად გაგიყება ხერხეულიძისამ ისეთის ხელოვნებით წარმოადგინეს, რომ მთელი თეატრი, მტერი თუ მოყვარე, აღტაცებაში მოიყვანა“.

დასასრულ, რეცენზენტი გულწრფელად გადმოსცემს იმ უდიდეს კმაყოფილებას, რაც „არსენამ“ გამოიწვია. რეცენზიის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „ეს პიესა სავსეა ეფექტებით. სცენებით, რომელიც არ არღვევს პიესის გარმონიას და კიდეცა შველის არსენას ხასიათის გამოაშკარავებას. ერთის სიტყვით, ეს პიესა ისეთი პიესათაგანი არის, რომელიც ძვირფასად ჩაითვლებოდა სხვა ერის რეპერტუარშიც, არამც თუ იმ პიესების სიღარიბეში, რომელიც ჩვენა გვაქვს.

მობენეფისე საზოგადოებამ დაასაჩუქრა მრავალის ტაშით და რამდენიმე ნივთით. საღამომ გაიარა მხიარულად და სიამოვნებით“ [1].

ასე წერდა ალ. ყაზბეგის დრამის „არსენას“ დადგმის შესახებ გაზეთ „დროების“ რეცენზენტი. ამავე წარმოდგენას გამოეხმაურნენ იმ დროის ქართული ჟურნალები „ივერია“ და „იმედი“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჟურნალ „იმედში“ გამოქვეყნებული რეცენზია, რომელიც დაწერილია ცნობილი ხალხოსნის სტეფანე ჭრელაშვილის მიერ. „იმედის“ ეს წერილი საინტერესოა იმითაც, რომ, როგორც სტ. ჭრელაშვილის იმავე რეცენზიიდანაც ჩანს, ჟურნალი „იმედი“ საერთოდ ძალიან ცოტას წერდა ქართული თეატრის შესახებ. რეცენზიის ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ აქამდის (1882 წლამდის) არც კი ღირდა ქართული თეატრის შესახებ წერა, და ამას იმით ასაბუთებს, რომ არ გვქონდა კარგი პიესები და, მაშასადამე, კარგი წარმოდგენები. სტ. ჭრელაშვილს განსაკუთრებით ახარებს ის გარემოება, რომ 1882 წლის იანვარში ზედიზედ დაიდგა ალ. ყაზბეგის „არსენა“ და დავით ერისთავის ცნობილი „სამშობლო“. ჭრელაშვილის სიტყვით, ქართულ თეატრს გაუთენდა კარგი ახალი წელიწადი, ბედნიერი დასაწყისი და ახლა შეიძლება იმედიანად შეჰყუროს კაცმა ქართული თეატრის ბედ-ილბალს.

სტ. ჭრელაშვილი აღტაცებაში მოსული წერს: „ეს ბედნიერი დასაწყისი გახლავთ ორი ჩინებული პიესისა, რომელიც ამ ცოტა ხნებში ორ-ორჯერ დაიდგა ქარულ სცენაზედ და ორ-ორჯერვე ნამდვილ აღტაცებაში მოიყვანა პუბლიკა. ერთ პიესასა ჰქვიან სახელად „ყაჩაღი არსენა“ და ეკუთვნის ყაზბეგის ახალ გაზრდა კალამს, მეორე — „სამშობლო“, რომლის გადმომკეთებელი არის უფრო გამოცდილი მწერალი დ. ერისთავი“.

ასე წერდა სტ. ჭრელაშვილი ამ ორი პიესის შესახებ, მაგრამ

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 4.

იგი განსაკუთრებით გატაცებული იყო ალ. ყაზბეგის „არსენათი“. „ტეტიათა მოტრფიალე“ რეცენზენტმა სცენაზე ნახა გლეხთა წრიდან გამოსული სახალხო გმირი, და ბუნებრივია, რომ იგი ამით უნდა აღტაცებულიყო. სტ. ჭრელაშვილის რეცენზიაში ჭარბად გეხვდება მთელი რიგი სიტყვების (შეიძლება წინადადებისაც) გამოტოვება და მათ ადგილს წერტილები ავსებს. აქ, ყოველ ეჭვს გარეშე, ცენზურის ხელია. გამოტოვებულ ადგილებში მკითხველი ძალდაუტანებლივ ამჩნევს, თუ რა უნდა ეთქვა ავტორს. გავეცნოთ ამ ადგილებს ისე, როგორც იგი იმ დროს დაიბეჭდა[1].

რეცენზენტი წერს: „როგორც სახელებიდან ვხედავთ, „ყაჩაღი არსენა“ ჩვენი თვალის წინ აცოცხლებს იმ სახალხო გმირ არსენას, რომელზედაც ასე გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მეხტვირული ლექსი, იმ ოძელაშვილ არსენას, რომელსაც..... იხსენიებს ყოველი ქართველი კაცი, თუმცა ეს ისტორიული გმირი კანონს გარეთ ითვლებოდა თავის დროს, ყაჩაღად იყო გასული და მისი თავი ოქროზედ იყო დაფასებული. აქ მაყურებელი ჰხედავს და უსმენს იმ არსენას, რომლის ქება.... პატარაობითვე ეყურებოდა ჩვენებური მეხტვირეებისაგან და მრავალ სხვებისაგან, რომელზედაც თითო-ოროლა კუპლეტი ყველა ჩვენგან თითონაც შეუძლიან წარმოსთქვას“.

დასასრულ, 1882 წლის იანვარში ქართული თეატრის ახალი დადგმებით კმაყოფილი სტ. ჭრელაშვილი წერს: „ამ ორმა პიესამ აშკარად დაგვანახვა, რომ ჩვენი საზოგადოების ძარღვში გამჯდარა ორნაირი სურვილი ბრძოლისა — ბრძოლა ხალხის ეკონომიური სამართლიანობის დასაფუძნებლად და ბრძოლა.... უსამართლობასთან. ბრძოლა... ეს არის ორი უდიდესი შინაარსი ჩვენი ხალხის სურვილისა“.

მოყვანილი ამონაწერები პირდაპირ მეტყველებენ იმ უდიდესი გამოხმაურების შესახებ, რომელიც ალ. ყაზბეგის „არსენას“ დადგმამ გამოიწვია. დაწყებული იმ დღიდან, ათეული წლების მანძილზე ალ. ყაზბეგის „არსენა“ ქართული თეატრის რეპერტუარის მუდმივი თანამგზავრი იყო.

IV

„არსენას“ წარმოდგენასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ალ. ყაზბეგის ერთი ინციდენტი ქართული თეატრის

---

[1] ჟურნალი „იმედი“, 1882 წ., № 1.

რეცენზენტებისა საზოგადოდ და ითნა მეუნაგიასთან კერძოდ. ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგს ჩვენი თეატრის რეცენზენტები საზოგადოდ არ აწყალობდნენ. ისინი თითქმის ყოველთვის თავს იკავებდნენ ერთიელ გულმოკლული მოხევის ზედწოდ ქებისაგან. ჩვენ ზეკით გავიკაცინეთ, თუ როგორ შეაფასა „დროებამ" ალ. ყაზბეგის დოანა „არსენა". მაგრამ ჟურნალ „ივერიის" რეცენზენტმა ეს წარმოდგენაც კი მეტად სიტყვაძუნწად შეაფასა. მისი ავტორი ქებას ლიოსად მაინც არ სცნო[1].

ალ. ყაზბეგისადმი რეცენზენტების ამ არაგულთბილი დამოკიდებულების ერთეული მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ თვითონ ალექსანდრე ზოგიერთი რეცენზენტის მიმართ ვერ იყო კარგი წარმოდგენის დასაბოლოო ბევრ მათგანს მეტად უსაყვედურებდა. ალ. ყაზბეგის გალაშკრება რეცენზენტების წინააღმდეგ სწორედ „არსენას" წარმოდგენის მომენტს დაემთავა.

„არსენას" სცენაზე წარმოდგენამდის სულ რაღაც ერთი თვით ადრე (1861 წ. 24 ნოემბერს) გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის წერილი „თეატრის შესახებ". ალ. ყაზბეგის ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი თვალნათლივ მიუთითებს როგორც ავტორის მოწინავე იდეებზე, ისე იმ ეპოქის ქართული თეატრის მდგომარეობაზე. წერილი ეხება ქართველი მსახიობების მდგომარეობას, აღნიშნავს მათს ხელმოკლეობას მაშინდელ პირობებში, მაგრამ აქვე უყურადღებოდ არ სტოვებს ქართული თეატრის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს. ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს საკითხს რეცენზენტების შესახებ. წერილის შესავალში ალ. ყაზბეგი გვეუბნება: „დიდი ხანია მსურდა მელაპარაკნა ქართული თეატრის აქტიორებისა და მათი რეცენზენტების შესახებ". როგორც ჩანს, ალ. ყაზბეგს დიდი ხნის განმავლობაში ფიქრებდა ეს საკითხები. იგი ქართული თეატრის განვითარების საქმეში დიდ მნიშვნელობას აძლევდა რეცენზიებს და თვით რეცენზენტებს. ავტორი წერილისა ისე დიდი მოთხოვნილებისა იყო რეცენზენტის მიმართ, რომ იგი იძულებული გახდა ეთქვა: რეცენზენტი. ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით, არა გვყავსო.

ალ. ყაზბეგმა ოთხმოციანი წლების ზოგიერთი რეცენზენტის შესახებ ასეთი აზრი გამოთქვა: „ამ უკანასკნელს დროში მეტად ენა წაიკრძელეს სხვადასხვა ახალ-ახალმა რეცენზენტებმა და, არ ვიცით ვის სასარგებლოდ, ყოველი ღონისძიებითა ცდილობენ პერიოდულის ლანძღვით გული გაუგრილონ ქართველ საზოგადოებას ჩვენს თეატრზედ".

[1] ჟურნალი „ივერია", 1882 წ., № 1.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა აღელვებდა ალ. ყაზბეგს რეცენზენტების წინააღმდეგ? ხომ არ იყო ეს გამოწვეული იმით, რომ მას, როგორც დრამატურგს, არ აქებდნენ? ხომ არ იყო ეს პირადი ანგარება? ალ. ყაზბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამასთან ერთად არ ყოფილა ანგარებიანი. ამ შემთხვევაშიაც იგი გამოდიოდა ქართული თეატრის ინტერესებიდან, და არა თავისი პირადი მდგომარეობიდან. ალ. ყაზბეგი თვლიდა, რომ ყოველი ქართული წარმოდგენა უნდა ყოფილიყო ახალი მიღწევა ქართული თეატრისათვის, და თუ ეს ასე არ მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქართული წარმოდგენა არ უნდა გადაქცეულიყო ყბადასალებ ამბად. ქართული წარმოდგენების ავტორიტეტი ალ. ყაზბეგი მეტისმეტად უფრთხილდებოდა. რეცენზენტებს იმაზე მიუთითებდა, რომ ქართული წარმოდგენების დაცინვა ეროვნებას თავისათვის არ მოეცათ, რადგან ამით მოწინააღმდეგე სარგებლობდა. ქართული თეატრისა და საზოგადოდ ქართული კულტურის მტრები უარყოფენ რეცენზიებს კეტის კუნტებივით დაათრევენ და ქართული თეატრის უნიადაგობას ამტკიცებენო. ალ. ყაზბეგი სწორედ ამას ერიდებოდა და სხვებსაც აფრთხილებდა. იგი წერდა: „თეატრს, როგორც საზოგადოდ ყოველ ქართულს საქმეს, თავისი მტრები ჰყავს. და აი ეს მტრები სარგებლობენ იმ მოუაზრებელი რეცენზენტების სიტყვებით. წამოაგლებენ ხელს. მაგალითად „ქართული სცენის მოყვარის" წერილის მსგავს სტატიებს და დაათრევენ იმათ, როგორც კატა თაგის კუნტებს. და ყოველის ღონისძიებითა ცდილობენ გააერცელონ საზოგადოებაში აზრი როგორც ქართულის თეატრის, ისე ქართულის ენის საქმის შეუძლებლობაზედ".

თავის ამ წერილში ალ. ყაზბეგი გარკვევით ეკამაგება არტისტებს და ქართული სცენის მოყვარეებს საზოგადოდ. იგი დიდად აფასებდა სცენისათვის ყველა თავდადებულს. ალ. ყაზბეგი არტისტის სახით სამართლიანად ხედავდა საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ყოველგვარი ანგარების გარეშე იბრძოდა ქართული კულტურის გადარჩენისათვის. წერილის ეს ადგილი საინტერესოა იმითაც, რომ იგი საბოლოოდ შუქს ჰფენს მისი ავტორის რეალისტურ დამოკიდებულებას თეატრისადმი. ჩვენ ზეგით გავეცანით ერთერთ ამონაწერს, რომელშიაც გარკვევით ისმის ის იდეები, რომელიც ალ. ყაზბეგს ქართული სცენისაკენ იზიდავდა. იგი თეატრს უყურებდა როგორც საქვეყნო საქმეს, ხალხის სასამსახურო დაწესებულებას. დასახელებულ წერილში ალ. ყაზბეგი თავის ამ შეხედულებას კიდევ უფრო ხაზს უსვამს. იგი გვეუბნება, რომ არტისტები სასყიდლისათვის კი არ ეწევიან ამ მოღვაწეობას, არამედ იმის გამო, რომ მიზანს ემსა-

ხურეშიან. ხალხის საქმისათვის შრომობენ. ალ. ყაზბეგი, აფასებდა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდიანი წლების ქართული სცენის მოღვაწეთა საქმიანობას. წერდა: „ღვრ გაუკვიათ, რომ ჩვენს აქტიორებს საყიდლისათვის-კი არ მიულიათ თავიანთ თავზედ თეატრის საქმე. არამედ ეშაახურებიან იმას იმიტომ, რომ მართლა უყვართ თეატრი, იმიტომ, რომ თეატრზედა აქვთ იმედი, რომელიც ყველაზედ უკეთ თანაშემწეობს დედა-ენის აღდგენას. თუ ეს ამაღლებული აზრები არ აკმაყოფილებდეს ჩვენს აქტიორებს, მაშინ ექვს თუმნად თვეში რომელი სულელი დაადგებოდა იმისთანა ბნელს და მოსაწყენ საქმეს, როგორც როლების დაზეპირება?“.

მოყვანილი ამონაწერი მთლიანად უდგება თვითონ ალ. ყაზბეგის, როგორც დრამატურგისა და არტისტის, მოღვაწეობას ქართულ თეატრში.

დასასრულ, ამ წერილში ალ. ყაზბეგი ეხება საკითხს ქართული თეატრის შესახებ საზოგადოდ, ე. ი. იმას, არსებობს თუ არა საფუძველი ქართული თეატრის განვითარებისათვის. ის ეკამათება იმ ავტორებს, რომლებიც თეატრის არსებობაზე ზოგჯერ პესიმისტურად მსჯელობდნენ, ეშინოდათ ხელმეორედ არ დაეკარგათ ეს დიდი მონაპოვარი.

ალექსანდრე ყაზბეგს თავის წერილში მოჰყავს ციფრობრივი მასალები იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული თეატრი დღიდან მისი აღდგენისა წინ მიდის და ვითარდება. იგი მიუთითებს ქართული წარმოდგენების მაყურებელთა რიცხვის თანდათანობით ზრდაზე, თეატრის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ხალხის მასების საერთო დაინტერესებაზე და დაასკვნის, რომ ქართული თეატრის კვლავ მოსპობა შეუძლებელია. ალ. ყაზბეგის აზრით, ქართული თეატრი უდიდესი სიძნელეების წინაშეც დგას, მაგრამ ეს არის დროებითი სიძნელე, რომელმაც შეიძლება ეს დიდი ეროვნული საქმე შეაფერხოს კიდეც. მაგრამ მისი სამუდამოდ აღმოფხვრა არავითარ ძალას აღარ შეუძლია. ქართული კულტურის ამ ძლიერი კერის ჩაქრობა აღარ მოხერხდება. მტრები ამას ვეღარ შეძლებენ.

ასეთი იყო ალექსანდრე ყაზბეგის ღრმა რწმენა განახლებული ქართული თეატრის შესახებ.

ალ. ყაზბეგი, როდესაც ასე ხმამაღლა ლაპარაკობდა ქართული ნაციონალური თეატრის საბოლოოდ დამკვიდრებაზე, გამოდიოდა ხალხის მასების ნებასურვილიდან. ალ. ყაზბეგის სიდიადის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ იგი ყოველთვის ხალხიდან გამოდიოდა. ასევე სწამდა მას თეატრის საქმეშიც. ოთხმოციანი წლების

ქართული თეატრის შესახებ ალ. ყაზბეგი ამბობდა, რომ მას (თეატრს) უდგას ისეთი მაგარი ბურჯი, რომლის შერყევაც არავითარ ძალას აღარ შეუძლია. ეს ბურჯები, ეს ურყევი საძირკველი არის ხალხის მოთხოვნილება. ხალხმა ჩასჭიდა ხელი ქართულ თეატრს და მას არავის დაუთმობსო. აი რა საინტერესო სტრიქონებს ვკითხულობთ ამის შესახებ ამ წერილში: „ჩვენი თეატრი ისეთის მაგარ საძირკველზედ არის აშენებული. ისეთი მაგარი ბურჯები უდგას, რომ იმისი კეთილდღეობა ყველა იმისათვის გამოაშკარავებულია ვინც ძალად თვალების დახუჭვას არ მოინდომებს: ეს საძირკველი, ეს ბურჯები არის ხალხის მოთხოვნილება. რომელმაც დაინახა, გაიგო და მაგრა ხელი მოჰკიდა თავის საჭიროების, მოთხოვნილების აღმასრულებელ საგანს. ქართული თეატრის საქმის შეყენება კიდევ შეიძლება, მაგრამ ძირიანად ამოგდება, სამუდამოდ ამოფხვრა-კი აღარა“ [1].

ასე სწამდა ალ. ყაზბეგს ქართული თეატრის ბედი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. მას სჯეროდა, რომ ამ საქმეს თავისი მტერიც ჰყავდა, ამ მტრად მწერალი პირველ რიგში მეფის რუსეთს გულისხმობდა თავისი დამპყრობელი პოლიტიკით. ალ. ყაზბეგი მიუთითებდა, რომ ყველა მოწინავე ქართველი უნდა ყოფილიყო ნაციონალური თეატრისათვის თავდადებული. ხოლო რეცენზენტებს კი ურჩევდა, რომ მათ „ენა დავმოკლებინათ“. ხელი აეღოთ ქართული წარმოდგენისა და ქართველი არტისტების ზედმეტ დაწუნებაზე.

როგორც ირკვევა, ალ. ყაზბეგმა ამ წერილით რეცენზენტებს საკმაოდ აწყენინა, ბევრმა ამ განკიცხულთა შორის თავისი თავი იცნო. სამწუხაროდ, მათ შორის იგრძნო თავი აგრეთვე თავისი დროისათვის განათლებულმა მოღვაწემ ილია მეუნარგიამ. ბრძოლა ვაჩალდა.

ალ. ყაზბეგის წერილის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ გაზეთ „დროებაში“ ი. მეუნარგია აბეჭდავს რეცენზიებს ბეჭდვას სათაურით „თეატრალური ქრონიკა“ „ქრონიკის“ შესავალში ი. მეუნარგიამ მოხევის გაკენწვლა მოინდომა. ამით, ალბათ, სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა. იგი წერდა: „მას აქეთ, რაც მოჩხუბარიძეს „დროების“ თეატრალურ რეცენზენტებს („დროებაშივე“) „ენის წაგრძელება“ გვითხრა, ჩვენ პირველათაა, რომ თეატრალურ ქრონიკას ხელს ვკიდებთ. იმ ხანად ისე მოხდა, რომ სიტყვა ჩამოგვართვა ემბემ, რომელიც თეატრალურ საქმეში ძლიერ არის

[1] გაზეთი „დროება“, 1881 წ., № 199.

გაბედულებულნ და ჩვენ „ენა დავიმოკლეთ“ [1], ასეთი პასუხი გასცა ნონა მეუნარგიამ თავის „ქრონიკაში“ ალ. ყაზბეგის ცნობილ წერილს. ასეთი შესავლის შემდეგ რეცენზენტმა განიხილა 1881 წლის 9 დეკემბერს კოტე ყიფიანის საბენეფისოდ გაშართული საღამო — წარმოდგენა.

ნონა მეუნარგიას ამ არაგულწრფელ გამოსვლას პრესაში ალ. ყაზბეგი მყისვე გამოეხმაურა. მეორე დღესვე „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი წერილი რედაქტორის მიმართ. ალ. ყაზბეგმა თავის ლია წერილში ი. მეუნარგიას საპასუხო მათრახი გადაკრა უადგილო „ოხუნჯობისათვის“, ხოლო თავის მხრით დიდმა მწერალმა „ენა დამოკლებულ“ რეცენზენტს „გონებამახვილობა“ მოუწონა და თანაც გულუხვი მადლობა გადაუხადა „გონივრულის სიჩუმისათვის“.

ალ. ყაზბეგის „წერილი რედაქტორთან“ ერთერთი მეტად საინტერესო ფურცელია როგორც ალ. ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობაში, ისე მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული თეატრის ისტორიაში საზოგადოდ.

ალ. ყაზბეგი წერს: „ლელო“ (ნონა მეუნარგია — ა. მ.) თავის თეატრალურ ქრონიკაში, დაბეჭდილს „დროების“ ამ წლის 2 №-ში, სწერს: „ვას აქეთ, რაც მოჩხუბარიძემ „დროების“ თეატრალურ რეცენზენტებს („დროებაშივე“) ენის წაგრძელება გვითხრა... ენა დავიმოკლეთ“.

„მე დიდი მოხარული ვარ, რომ ჩემს რჩევას ისეთი მოქმედება ჰქონია „დროების“ რეცენზენტებზედ, რომ პირველივე რჩევის შემდეგ „ენა დაუმოკლებიათ“. ეგ ამტკიცებს, რომ ისინი იქამდინ ყოფილან გონიერნი და მოაზრებულნი, რომ პირველი სიტყვადანვე გაუგიათ ჩემი სიტყვების სიმართლე და თავიანთი თავმოყვარეობა შეუწირავთ გონივრულის სიჩუმისათვის. ისიც დიდი საქებარია, რომ დაუთმიათ თეატრის საქმის მცოდნე ემბესათვის რეცენზიების წერა. ეუცხადებ რეცენზენტებს ჩემს გულუხვს მადლობას.

„ამ ლელოს წერილმა მე იქამდინ შესიამოვნა და იმედი ვომცა შემდეგისათვის, რომ ეხლაც არ დავიზარებ კიდევ რამდენიმე რჩევა მივცე, რომელსაც ლელო, უეჭველია დამიჯერებს. ეს რჩევა გასლავს შემდეგი: თ ქ ვ ე ნ ი რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი ა რ ვ ა რ გ ა დ ა გ ი რ ჩ ე ვ თ ი ს ე ვ გ ო ნ ი ე რ ა დ ე ნ ა დ ა ი მ ო კ ლ ო თ. თქვენი კეთილის-მყოფი, რომელიც მზა არის ყოველ დროს და გიჩვენოსთ შეცდომა, ა. მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე“ [2].

---

[1] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 2.

[2] გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 3.

ასე სწერდა ალ. ყაზბეგი ი. მეუნარგიას, მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ მეუნარგიას როდი შეეხებოდა, იგივე შეეძლო ეთქვა ალ. ყაზბეგს სხვა რეცენზენტების მისამართითაც.

ალექსანდრე ყაზბეგმა ამ წერილით ერთგვარად ანგარიში გაუსწორა მის მიერ დაწუნებულ რეცენზენტებს. ამ წერილმა იონა მეუნარგიაც დააწყნარა: მის მიერ დაწყებული „თეატრალური ქრონიკა" პირველსავე ფელეტონზე შეწყვიტა. ის დაპირება, რომელიც მის პირველ წერილს ახლდა (გაგრძელება იქნებაო. სწერდა ი. მეუნარგია), ვეღარ შეასრულა. მას განუხილველი დარჩა უკანასკნელი წარმოდგენები და მათ შორის თვით ალექსანდრე ყაზბეგის დრამის „არსენას" წარმოდგენა.

ი. მეუნარგიას იმხანად „არსენას" რეცენზია არ გამოუქვეყნებია და ეს საქმისათვის კარგიც იყო, რადგან მეუნარგიას არ შეეძლო ობიექტური ყოფილიყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მიმართ.

ალექსანდრე ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობა წლობით გრძელდებოდა. მისი პიესები: „კონსტანტინე ბატონიშვილი". „აღმზრდელები". „დილა ქორწილის შემდეგ". პერიოდულად იდგმებოდა ქართულ სცენაზე, ხოლო მისივე დრამა „არსენა" განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფართო მასებში, იგი ყოველთვის აღელვებდა მაყურებელთა წრეებს. ეს დრამა თითქმის დამკვიდრდა ჩვენი პროვინციის თეატრის სცენაზე.

ამავე დროს ალექსანდრე ყაზბეგი პირადად იღებდა მონაწილეობას თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქართულ წარმოდგენაში. იგი, როგორც მუდმივი ქართული დასის წევრი — არტისტი, სცენაზე თამაშობდა, მიცემულ როლებს ასრულებდა. მაგრამ ამ წარმოდგენების შესწავლა ალ. ყაზბეგის ცხოვრება-მოღვაწეობას მაინცდამაინც ახალ შუქს არ ჰმატებს. დიდი მწერლის მიერ განვლილი სათეატრო მოღვაწეობის შემდგომი გზა თავდადებული მუშაკის უანგარო შრომის ბუნებრივი გაგრძელებაა.

ალექსანდრე ყაზბეგის სასცენო მოღვაწეობა რომ სისრულით წარმოვიდგინოთ, საჭიროა ერთი მომენტიც გავითვალისწინოთ. ალ. ყაზბეგი არ ყოფილა ბრწყინვალე არტისტი. პირიქით, ზოგიერთი თანამედროვე მას როგორც არტისტს — შემსრულებელს სუსტად აფასებს, მაგრამ სამაგიეროდ ალ. ყაზბეგს გააჩნდა ერთი შესაძლებლობა, რომელსაც ბევრი ძალიან კარგი არტისტიც ინატრებდა: ეს იყო მისი ცეკვა. ალ. ყაზბეგს მის მიერ შესრულებული ლეკურით და ჩეჩნურით მაყურებელი პირდაპირ აღტაცებაში მოჰყავდა. ამ დროს მოხვევ მართლად შეუდარებელი იყო. სხვა შემთხვევებში

ეულჩათხრობილი და მხედველობანაკლული ადამიანი, ის სცენაზე ერთბაშად ცოცხლდებოდა. ახალგაზრდული ენერგიით დაქროდა და თან ამბიალ ხულ ხანჯლებს ეთამაშებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ცეკვას მაყურებლებში რაღაც არაჩვეულებრივი სიცოცხლე და აღმაფრენა შეჰქონდა. სცენაზე მოხევის გრგვინვა ხალხს გადაეცემოდა და აღელვებდა. ხშირად მისი ხანჯლები მაყურებლის სიხარულს შიშის გრძნობასაც უმატებდნენ, ბუმბერაზი ადამიანის სიმკვირცხლე და ხელის სიმარჯვე ხალხს ჟრუანტელს ჰკვრიდა. ხოლო თვით ალ. ყაზბეგი ამ დროს განსაკუთრებით ბედნიერად გრძნობდა თავს. მეამბოხე სული დროებით წყნარდებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ერთერთი მეგობარი, პ. ცხვილოელი, საინტერესო ცნობებს იძლევა დიდი მწერლის გატაცების შესახებ, რასაც იგი ცეკვის შესრულებისას გრძნობდა. პ. ცხვილოელი წერს: „ალექსანდრე ყაზბეგს მეტად ეხერხებოდა ლეკურ-ჩეჩნური თამაშობა. მერე ხანჯლებით, როდესაც რომელსამე წარმოდგენის შემდეგ სცენაზედ უნდა ეთამაშნა, მეტად მხიარულად იყო ბოლამდე. ღიღინებდა და დასრიალებდა მესტებით გაპრიალებულ იატაკზედ. სცენაზედ ყველას უნახავს ალექსანდრეს მოხდენილი ჩეჩნური თამაშობა. ვკითხავდი: „სანდრო, ეგრე ბეცი რომ ხარ, როგორ ჰბედავ სცენაზედ ხანჯლებით თამაშობას. არ გეშინიან, რომ ან თვითა მოახვედრო სადმე, ან სხვას მოახვედრო-მეთქი?“ — სცენაზე თამაშობის დროს თითქოს თვალთ-ხედვა მომემატება და ვცოცხლდებიო, მოხევეებთან და ჩეჩნებთან მთაში განვლილი ღღეები მაგონდებიანო, — მეტყოდა ხოლმე“ [1].

მოყვანილი ამონაწერი პირადაპირ მიუთითებს ალექსანდრე ყაზბეგის პირად განცდებსა და ცეკვით გამოწვეულ კმაყოფილებაზე. ეს მომენტი დიდ მწერალს მოხევეებთან და ჩეჩნებთან გატარებულ ღღეებს აგონებდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ცეკვის შესახებ საინტერესო მოგონებას იძლევა დავით კლდიაშვილი. იგი წერს: „გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა. მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური, ლამაზი, რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით, — მაყურებელს თან ბიბლავდა მისი სიმარდე. თან შიშს ჰგვრიდა. — სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი ბაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს, — ფეხებს დაიჭრი ერთ

[1] „ბაკეთი ციცერიანი“, 1893 წ., № 269.

დღეს და ეს იქნება! — ვეებნებოდით ხოლმე. რაზედაც იგი ეხოლოდ სიამოვნებით იცინოდა“ [1].

დავით კლდიაშვილის ამ ცნობას სოფრომ მგალობლიშვილიც ადასტურებს. სოფრ. მგალობლიშვილი თავის ღირსშესანიშნავ მოგონებებში ამის შესახებ წერს: სანდრო ყაზბეგი „თეატრთან განუყრელი იყო, მინამ საშინელი სენი არ შეიპყრობდა. არტისტი სუსტი იყო, მაგრამ მაგიერში შესანიშნავი მოცეკვავე მოხევურად და ჩაჩნურად ხანჯლებზე. ის ბეცი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალებთან მიიბიზებდა და ისე გაფრინდებოდა სცენაზე. როგორც მერცხალი“ [2].

ასეთი იყო ალ. ყაზბეგის ცეკვა, რასაც მაყურებელი უსაზღვრო აღტაცებაში მოჰყავდა.

V

1886 წლის გაზაფხულზე ქართული თეატრის სეზონი ვადაზე ადრე დაიხურა. 2 მარტს სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა იყო. ქართულ დასს წესად ჰქონდა: სეზონის დასასრულ მთელი დასი მაყურებელთა წინაშე წარსდგებოდა და იმათი სახელით ერთს რომელიმეს (რა თქმა უნდა, ვინც ცნობილი იყო მაყურებლისათვის) სიტყვა უნდა ეთქვა, დამსწრეთათვის მადლობა უნდა გადაეხადა და სხვა.

1886 წლის სეზონის დახურვისას ასეთი სიტყვა წილად ხვდა ალექსანდრე ყაზბეგს. მან თქვა კიდეც. ამ მომენტის შესახებ ვალერიან გუნია წერდა: „ბოლოს მთელი დასი წარსდგა საზოგადოების წინაშე და ა. მოხევემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა: „მტერი არ გავახარეთო, ქართული თეატრი იღუპებოდა და ჩვენ ყველამ ერთად, ვასო აბაშიძის და მარიამ საფაროვ-აბაშიძის თაოსნობით, ზეზე წამოვაყენეთო, რაც კი ჩვენს შეძლებაში იყო, ბევრი ვიმეცადინეთო. თქვენც გმადლობთ, რომ ბევრი ჩვენი შეცდომები მოითმინეთო“ — შემდეგ ყველა არტისტები დუდუკით და ჩირაღდნებით გააცილეს და გამოეთხოვენ“

1887 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა ცნობილი მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი. ი. დავითაშვილის ვარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“. „ივერიის“ ფურცლებზე მუშა

---

[1] დავით კლდიაშვილი — „მემუარები“, 1925 წ., № 47.

[2] სოფრომ მგალობლიშვილი — „მოგონებანი“, 1938 წ., გვ. 118.

[3] გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 49.

პოეტის პოპულარიზაციას ახდენდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

იმავე წლის ოქტომბერში პოეტის მშობლიურ ქალაქში, თელავში, იოსებ დავითაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოს მოწყობა განუზრახავთ. გაზეთი „ივერია" ამ სამზადისის შესახებ იტყობინებოდა: „კვირას, 4 ოქტომბერს, თელავის მუშა-ხელოსნები ჰმართავენ სალიტერატურო საღამოს. შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ იმისა, რომ დაიბეჭდოს თხზულებანი განსვენებულ პოეტის დავითაშვილისა. წაიკითხავენ მთლად იმის ლექსებს და აგრეთვე წაკითხულ იქნება ზოგიერთი ნაწერები ჩვენის გამოჩენილ მწერლებისა" [1].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თელაველების ამ წამოწყების მეთაური ალექსანდრე ყაზბეგი ყოფილა. ცნობილია, რომ ამ დროს სახელოვანი მწერალი ხშირად პროვინციაში ცხოვრობდა. განსაკუთრებით ხშირად იყო იგი თელავში. მწერლობაზე თავმინებებული ალ. ყაზბეგი ახლა მხოლოდ სცენას შერჩენოდა, სცენაზე ჰპოვებდა იგი თავისი მშფოთარე სულის დამშვიდებას. იგი ჩვენს პროვინციებში ხშირად მეთაურობდა წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობას.

იოსებ დავითაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოს მეთაურიც ალ. ყაზბეგი იყო. მწერლის პირად არქივში დაცულია ერთი მასალა, რომელიც ზემოთქმულს უყოყმანოდ ადასტურებს. ეს მასალა არის ამ ლიტერატურული საღამოს აფიშის შავი ხელნაწერი [2].

აფიშა დაწვრილებით მოგვითხრობს საღამოს პროგრამის შესახებ. აქ უმთავრესად წარმოდგენილია, როგორც „ივერია" წერდა, თვით იოსებ დავითაშვილის ლექსები. არის სხვებიც. იგი საინტერესოა იმითაც, რომ იქ მითითებულია შემსრულებლებიც, იგულისხმება, რომ ისინი ალ. ყაზბეგს პირადად იცნობდნენ.

აი ეს აფიშა — განცხადება:

ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს 1887 წლისა
ქ. თ ე ლ ა ვ ი

თელავის კლუბის დარბაზში სცენის მოყვარეთაგან გამართული იქნება ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ს ა ღ ა მ ო სამს განყოფილებად.

---

[1] გაზეთი „ივერია", 1887 წ., № 205.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

I

1) სიტყვა დავითაშვილზე — წაიკითხავს ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი.
2) „სიმღერა მეჩუქურთმისა“ — ლექსი დავითაშვილისა — ვ. ჩოდორაშვილი.
3) „ბედის წყარო“ — დავითაშვილისა — ფ. გამყრელიძე.
4) „ახალი წელი“ — დავითაშვილისა — სოსიკო.
5) „გლეხის პასუხი“ — დავითაშვილისა — ბანი.
6) „მუშის წუნიას“ — დავითაშვილისა — სანდრო ჩოდორაშვილი.
7) „სუსტი და ძლიერი“ — დავითაშვილისა — ცუცქური.
8) „მუშა ვარ!“ — დავითაშვილისა — მოხეევ.

II

1) „ხელოსნების სიმღერა“ — დავითაშვილისა — სოსიკო.
2) „გუთნის დედა“ — ი. ჭავჭავაძისა — ვ. გამყრელიძე.
3) „ისმის ტირილი დარბაზში“ — დავითაშვილისა — ცუცქური.
4 „წუთისოფელშია ცხოვრება“ — დავითაშვილისა — ს. ჩოდორაშვილი.
5) „მესტვირული“ — დავითაშვილისა — ბანი.
6) „უშიშრად, ძმანო“ — ი. წიფოელაშვილისა — ვ. ჩოდორაშვილი.
7 „გაზაფხული“ — აკაკისა — სოსიკო.
8) „გავჩნდი და უნდა ვიცხოვრო“ — მოხეევისი — მოხეევ.

III

1) „ზოგიერთების ლოცვა“ — აკაკისა — სოსიკო.
2) „თაყვანს ვცემენ მდიდრად მორთულ“ — დავითაშვილისა — ცუცქური.
3) „თუნდ ვკვდებოდე შიმშილითა“ — დავითაშვილისა — ს. ჩოდორაშვილი.
4) „ბარიშნებს“ — დავითაშვილისა — ვ. გამყრელიძე.
5) „ეხლანდელი ქალი“ — აკაკისა — სოსიკო.
6) „ჩილიკობა“ — დავითაშვილისა — ნიკო.
7) „გოგოს ჭირიმე“ — რ. ერისთავისა — მოხეევ.
8) „მუშა ბოქულაძე“ — გრ. ორბელიანისა — ვ. ჩოდორაშვილი.
9) „მოველ, უფალო“ — რ. ერისთავისა — ვ. გამყრელიძე.
10) „სხვაგვარი სიყვარული“ — აკაკისა — სოსიკო.

დასაწყისი 8 საათზე

განხილული აფიშის ტექსტი პირდაპირ მიუთითებს იმ ლიტერატურული საღამოს შინაარსზე, რომელიც თელავში უნდა ჩატარებულიყო იოსებ დავითაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამო მეტად ფართო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მეთაური და წამყვანი მონაწილე ალექსანდრე ყაზბეგი იყო. მას, როგორც აფიშიდან ჩანს, სცენიდან უნდა ეთქვა როგორც საკუთარი, ისე იოსებ დავითაშვილისა და რაფიელ ერისთავის ლექსები.

სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ამ ლიტერატურული საღამოს შედეგების შესახებ არაფერი ვიცით. მთავარი ის არის, რომ ასეთი ლიტერატურული საღამო მზადდებოდა და მისი მეთაური ალექსანდრე ყაზბეგი იყო [1].

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობის დასაწყისი პიდარპირ ემთხვევა მუდმივი ქართული თეატრის აღდგენას მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. ამ ეპოქის სხვა მოღვაწეებთან ერთად, ალ. ყაზბეგი თავდადებით ემსახურებოდა ეროვნული თეატრისა და ხელოვნების აღდგენა-განმტკიცების საქმეს.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც რეალისტი მწერალი, თეატრის მიმართაც რეალისტური დამოკიდებულებისა .იყო. იგი ქართულ თეატრს უყურებდა როგორც ერთერთ ძირითად კერას ეროვნული თვითშეგნებისას, რომელიც ხალხში აღვივებდა ინტერესს მშობლიური ენისადმი. მშობლიური ლიტერატურისა და საზოგადოდ ქართული კულტურისადმი.

ალექსანდრე ყაზბეგს სათეატრო მოღვაწეობა მიაჩნდა, საზოგადო საქმედ, საქვეყნო სამსახურად და ამ საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა თავდადებით, უანგაროდ და უსაზღვრო გატაცებით. ალ. ყაზბეგის დამსახურება ქართული თეატრის წინაშე ორმაგი ხასიათისაა: ერთის მხრით, იგი იყო ავტორი-დრამატურგი, ხოლო მეორე მხრით — არტისტი-შემსრულებელი და ბრწყინვალე მოცეკვავე.

ალექსანდრე ყაზბეგის სათეატრო მოღვაწრობა მხოლოდ თბილისის სცენით არ განისაზღვრება. იგი ხშირად მონაწილეობდა ქუთაისს, ბათუმს, გორსა და თელავს მოწყობილ წარმოდგენებსა და ლიტერატურულ საღამოებში. გარდა პირადი მონაწილეობისა, ამავე

---

[1] მკითხველი, ალბათ, შენიშნავდა, რომ „ივერიის" ცნობით საღამო უნდა ჩატარებულიყო 1887 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის არქივში დაცული აფიშის მიხედვით კი ეს უნდა მომხდარიყო 1887 წლის 7 ოქტომბერს.

თეატრებს იგი დიდად ეხმარებოდა თავისი პიესებით. ალ. ყაზბეგის ცნობილი დრამა „არსენა“ და ვოდევილი „დილა ქორწილის შემდეგ“ ჩვენი პროვინციული თეატრების რეპერტუარის მუდმივი მშვენება იყო ათეული წლების განმავლობაში.

სათეატრო მოღვაწეობა ალექსანდრე ყაზბეგის საერთო ღვაწლის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ალ. ყაზბეგი თავისი უანგარო მოღვაწეობით ქართული თეატრის სხვა მოამაგეებთან ერთად (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვასო აბაშიძე, დავით ერისთავი, აქვსენტი ცაგარელი, კოტე ყიფიანი, კოტე მეხი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია) საპატიო ადგილს იკავებს მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდიანი წლების ქართული თეატრის ისტორიაში.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება

I

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე ქართველი მწერლები დიდის ინტერესით ეკიდებიან ხალხურ შემოქმედებას. ათეული წლების მოღვაწეთა ერთერთი უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ მათ ოფიციალურ ლიტერატურაში მძლავრად შემოაქვთ ხალხური ენა, ხალხის ყოველდღიური ჭირვარამის გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები. 70—80-იან წლებში ქართულ პერიოდულ გამოცემებში ფართო გასაქანი ეძლევა ხალხური შემოქმედებაა ნიმუშების ბეჭდვას.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ ქართული ფოლკლორის ჩაწერისა და გამოცემის საქმეს.

ვაჟა-ფშაველა თავის გენიალურ პოემებს ხშირად საფუძვლად უდებდა მარტივ ხალხურ ლეგენდა-თქმულებას.

ასეთივე სიყვარულით იყენებდა ხალხურ ენასა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ალექსანდრე ყაზბეგი. ალ. ყაზბეგის რომანებში ხშირად გვხვდება ხალხური სიმღერები, ლექსები და ხალხის ჩვეულებათა აღწერა-გადმოცემა. რომანები ფრიად საინტერესო მასალებს იძლევა მთიელ ხალხთა ყოფაცხოვრებითი ნიშნების გასათვალისწინებლად. მათში აღწერილი სახალხო დღესასწაულები და გართობა-თამაშობანი დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ მთიელთა ყოფაცხოვრების მთელი რიგი საინტერესო მხარეების გასაცნობად. მწერლის მიერ ამ ხერხის მომარჯვება ხელს უწყობს რომანებში გაშლილი მოქმედების კიდევ უფრო გამძაფრებას. იგი ხელს უწყობს ამბის ბუნებრივ განვითარებას და მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხური შემოქმედების გამოყენების უდიდესი ოსტატია. მისი უკვდავი რომანები ამ მხრივაც უდიდეს

ყურადღებას იქცევენ. დიდი მწერლის ეს ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი ცალკე საგანგებო კვლევასაც საჭიროებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როდესაც მწერლის პირად ცხოვრებას ვეცნობით, საჭიროა ზოგიერთი მომენტი მაინც გავითვალისწინოთ.

ალ. ყაზბეგი. ხალხური ცხოვრებით გატაცებული, შვიდი წლის განმავლობაში მწყემსობას ეწეოდა. ეს იყველელი ხალხური კოფიადში დიდ მწერალს სიყვდილამდის არ გამოლეობია. როგორც მეცხვარეობის დროს, ისე მის შემდეგ ალ. ყაზბეგი ხალხურ შემოქმედებას სწავლობდა. მის ნიმეშებს აგროვებდა. თავის უბის წიგნაკებში იწერდა და ბევრ მათგანს აქვეყნებდა მაწინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო რომელთა დაბეჭდვასაც ვერ ახერხებდა, მათ დიდის იყვარულით თავის პირად არქივში ინახავდა.

ალ. ყაზბეგის ნაწერები მკითხველს პირდაპირ აოცებს მწერლის სიტყვიერი მრავალფეროვნებით. ეგი ერის უზარმაზარი ოკეანე ბრწყინვალე პოეტური თქმების, შედარებებისა და სახეებისა. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ყაზბეგი მარტოლაც უბადლოა ამ მხრივ. მაგრამ მხატვრული სიტყვის ეს ჯადოქარი ოსტატი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ხალხურ მეტყველებას, მის ცალკეულ გამოთქმებს. ეგი ხალხური ლექსებიდან კრებდა ძარღვიან სიტყვებს და ცალკე იწერდა სიტყვათა მწკრივებს და სვეტებს ადგენდა.

ხალხური შაირებისა და ანდაზების ყვალობაზე საკუთარ „საანდაზოებს" ქმნიდა და. საჭიროებისამებრ, გარემოების შესაფერისად, თავის წარმტაც რომანებში იყენებდა. ზოგჯერ ამ „საანდაზოებით" დიდი მწერალი თავის პირად მოწინააღმდეგეებს ემასპინძლებოდა.

ასე მრავალმხრივია ალექსანდრე ყაზბეგის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან.

გავეცნოთ ზოგიერთ მომენტს.

რომანში „ელგუჯა" მაყრები ცნობილ ხალხურ სიმღერას „მაყრულს" მოიმღერიან:

„ვოვდივართ, მოგვიხარია.

მოგვყავს დედალი ხოხობი"

და სხვ.

იმავე რომანში განთქმულმა მეფანდურემ. მოხუცმა ლინჯამ, სვიმონ ჩოფიკაშვილის საწოლთან, ავადმყოფის გასართობად, სხვა სიმღერებს შორის, ასეთიც ჩაიმღერა:

„ღარიბობა და ობლობა
ორივე გამომიღლია,
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა ვეტატ ძნელია“.

ლინჯას სიტყვებმა ავადმყოფ სვიმონს თავისი საკუთარი შვილების დაობლება წარმოადგენინა, განაცდევინა. ამ დროს მეფანდურემ იგი ვაამბნევა და თანაც მოხერხებულად მიუმღერა:

„უფროსთა ხვეწნად მოსულთა
ხათრის შენაბვა თქმულაო,
ბალხის პირისა გამტეხი
დამწვარამც, დადაგულაო“.

ბოხუცი მეფანდურის სიტყვებმა სვიმონს ბევრი განაცდევინა. მგძნობიარე ავადმყოფმა გაიღიმა და, თუმცა გაჭირვებით, ლექსითვე უპასუხა:

„ლინჯაე, აბა, ჩემი თასი,
არა მყავს-რა შენი ფასი,
ვფიცავ, თხოვნა აგისრულო,
თუნდაც გქონდეს ასჯერ ასი!“

ვაჟკაცი თავის ნათქვამს არ გადავა. სიმონმა თხოვნის შესრულება აღუთქვა ლინჯას და ხალხს უკვე მზად ჰქონდა ეს სათხოვარიც: ხალხს სვიმონისა და ელგუჯას შერიგება ეწადა. ლინჯამ სწორედ ეს შესთხოვა ხევის მებატონეს. სვიმონი ხალხის მოთხოვნილებას დაჰყაბულდა და ელგუჯა შეირიგა. ეს არ იყო უბრალო ბოღლენა: ელგუჯა, რომელიც ჩოფიკაშვილების მოსისხლე მტრად ითვლებოდა და სვიმონს უნდა მისგან სისხლი აეღო, ახლა მასთან შემოიყვანეს. ამის შემდეგ ელგუჯა სვიმონის ოჯახის წევრად იქცა. „დღეს იქით შენა ხარ ჩემი შვილი და ნაწილი ჩემი გვარეულობისა“ — ეუბნება მას სვიმონ ჩოფიკაშვილი.

სვიმონისა და ელგუჯას შერიგების გაფორმება ნამდვილ ხალხურ წესზე ხდება. ალექსანდრე ყაზბეგი ამ წესებს იშვიათის ოსტატობით გადმოსცემს.

ასეთივე წარმტაცი სურათებია მოცემული ძმადშეფიცვის

დროს, რაც ალ. ყაზბეგის რომანების თანდაყოლილი მხარეა და ერთსადაიმაღე ნაწარმოებში რამდენჯერმე მეორდება.

ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ სამართლიანად ამბობენ, რომ ის არის ძმად შეფიცულთა მწერალი. მართლაც, ძმადშეფიცვა, სიყვარული და მეგობრისათვის თავგანწირვა ალ. ყაზბეგის რომანების ერთერთი ძირითადი მომენტია. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს ძმადშეფიცვა გარეგნულად თითქოს უბრალოდ, სრულიად მარტივად ხდება. ეს მომენტი თავისუფალია ყოველგვარი ზედმეტი სიტყვიანობისაგან. აი ერთი ასეთი ძმადგაფიცვის სურათიც „მამის მკვლელიდან". იაგო და თორლა ძმობილდებიან.

„— თორლაუ! შენ კობას ძმად-ნაფიცი ჰყოფილხარ, დღეის იქით ჩემიც ძმა იქნები.

— მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიმც გაუტყდეს შენს მოღალატეს, — უპასუხა თორლამ და ამოიღო მასრიდან ტყვია: — აჰა, ჩემი ტყვია.

იაგომაც თავის სასწრაფოდგან, რომელიც კობას მოეტანა იმისთვის, ამოიღო ტყვია.

— აჰა, ჩემიც.

ორთავე ერთ დროს გაიშვირეს ხელები და, სანამ გასცლოდნენ ტყვიებს, წარმოთქვეს:

— ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს, ჩემი თავალი — შენს თვალს. ჩემი მუხლი — შენს მუხლს; მოღალატეს რისხვადეს ლომისა!

— ამინ წყნარად წარმოსთქვეს სამთავემ...

იაგომ და თორლამ ტყვიები შეცვალეს, მოეხვიენენ ერთმანეთს და სამჯერ ჩაიკრეს გულში ერთმანეთი".

ძმადგაფიცვის ეს სურათი საერთოა სხვა შემთხვევებისთვისაც. ასე დაძმობილდებიან გმირი ვაჟკაცები. ეს სურათი გარეგნულად თითქოს უბრალოა, მაგრამ ამ უბრალოებაში არის განუზომელი სიდიადე. ადამიანის უმაღლესი გრძნობები — სიყვარული, მეგობრობა, კაცადკაცური თვისებები ვაჟკაცებს ერთმანეთისაკენ იზიდავენ. ის, რაც მთავარია, ხდება ადამიანების შინაგან არსებაში და ჩვენ მხოლოდ ამ დიდი გრძნობის გაფორმება შეგვიძლია ვნახოთ. ეს გაფორმება კი ხდება ისე, როგორც იაგოსა და თორლას დაძმობილება. ძმადშეფიცულთ არ უყვართ ზედმეტი ლაპარაკი, აქ ყოველი სიტყვა წინასწარ მოზომილია და თავის ადგილზეა.

ძმადშეფიცვის ეს წესი, რასაკვირველია, ხალხიდან მოდის. ისე, როგორც სტუმარ-მასპინძლობის უწმინდესი კანონი. ალ. ყაზბეგი

ამ კანონებს ზედმიწევნით იცნობდა და იყენებდა კიდეც გმირთა ხასიათების გაშლისას.

ხალხი, თვითეული მთიელი, იცის რა ძმადშეფიცულის უდიდესი მოვალეობა, უფთხილდება და წმინდად ინახავს მის ღირსებას. განა შეიძლება ყველას დაუძმობილდე და აიღო ეს დიდი მოვალეობა? რასაკვირველია, არა! ვაჟკაცი დაუძმობილდება ეზოლოდ იმას, ვისაც ნამდვილად ენდობა, ვისიც სჯერა, ვისკენაც გული მიუწევს.

ალექსანდრე ყაზბეგმა შესანიშნავი მაგალითი მოგვცა „მამის მკვლელში" აქ პირდაპირ გამოჩნდა დიდი მწერლის ფაქიზი დამოკიდებულება ხალხის ჩვეულებისადმი, მისი ყოფაცხოვრების ნიშნებისადმი, ძმადშეფიცვის მაღალი ღირსებისადმი.

იაგოს სასიკვდილოდ დასდევს გირგოლა. იგი არავითარ საშუალებას არ მოერიდება თავისი მიზნის განხორციელებისათვის. ჰას უნდა როგორმე იაგო მოკლას, ან მოაკვლევინოს და ამ მიზნით გირგოლა ვინ იცის სად არ დაეხეტება. ერთხელ მან სცადა მეცხვარეები მოესყიდა და მათი დახმარებით იაგო ხელთ ჩაეგდო. ამავე მიზნით გირგოლა შეეცადა მეცხვარე შიოლასთან დაძმობილებაც და ბევრ რასმე ჰპირდებოდა კიდეც. შიოლამ, იცნობდა რა გირგოლას როგორც მეფის რუსეთის მოხელეს, ფლიდსა და გაიძვერას, თავი შორს დაიჭირა. ისაული ათასის გზით მიუდგა მეცხვარეს, რა არ სცადა. მაგრამ შიოლამ ეს „ხელმწიფის ტოლი კაცი" უარით გაისტუმრა, ე. ი. არ დაიძმობილა და გადაიმტერა კიდეც სამუდამოდ.

II

ალექსანდრე ყაზბეგის რომანები საინტერესო ცნობებს იძლევა მთიელ ხალხთა მთელი რიგი წესებისა და ადათების შესახებ. რომანი „ელგუჯა" განსაკუთრებით საყურადღებო მასალებს იძლევა მიცვალებულთა დასაფლავების იმ წესის შესახებ, რომელიც ქართველი მთიელებისათვის არის დამახასიათებელი. ცნობილია, რომ დასაფლავების წესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი იყო.

„ელგუჯაში" დასაფლავების ორი შემთხვევაა განსაკუთრებით საყურადღებო. რომელიც წმინდა ხალხური ჩვეულების ნიადაგზე სრულდება: ერთია სვიმონ ჩოფიკაშვილის დასაფლავება, მეორე — ელგუჯას ძმადშეფიცულთა მიწას მიბარება მთიულების მიერ.

სვიმონ ჩოფიკაშვილის დასაფლავებასთან დაკავშირებით ალექ-

სანდრე ყაზბეგს აღწერილი აქვს მოხევეთა ის წესი, რომლითაც ისინი თემში სახელგანთქმულ ვაჟკაცს ასაფლავებდნენ. აქ ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს: ალ. ყაზბეგის რომანებში გმირები ჩვეულებრივად სამარცხვინო სიკვდილს გაურბიან. ხალხში სალექსოდ გავხდებიო, ამბობენ ისინი, ხოლო საჯაჟკაცო სიკვდილი მათთვის სასახელოც არის. დამახასიათებელია ერთი მომენტი რომანიდან „ბამის მკვლელი". იაგო მეფის რუსეთის მოხელეებმა დააპატიმრეს. უდანაშაულო ტყვე პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ მას გაათავისუფლებდნენ. მაგრამ დრო გადიოდა და იგი კვლავ იტანჯებოდა ბნელ საკანში. იაგო დარწმუნდა, რომ მას ადვილად არ ანახებდნენ ციხის სინათლეს. ციხის სულშეუხუთავმა პირობებმა, უფროსთა უადამიანო მოქცევამ იაგო მიიყვანა დასკვნამდის, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა შეებრძოლოს თავის მდგომარეობას. მას სიკვდილი კი არ აშინებს, იაგო სიკვდილის წინაშე წარბსაც არ შეიხრის, საქმე ის არის როგორ მოკვდეს: მას სწყურია ვაჟკაცურად სიკვდილი.

„— როგორ? — ჰფიქრობდა ის: — ნუთუ მთელი ჩემი სიცოცხლე აქ უნდა გავატარო? აქ ამოვხდეს. ასე ძალუმადურად, სულ? არა, არ შეიძლება. იაგო მთის კაცია. იაგო ვერ მოითმენს მაგასა, იმას სიკვდილი. სიკვდილი ურჩევნიან ამ ცხოვრებას! მაგრამ როგორ მოკვდეს, როგორ გაათავოს თავისი სიცოცხლე? ისე უსახელოდ სალდათის შუბს ხომ ვერ წაეგებოდა? იაგოს უნდოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი ვაჟკაცურად. სახელით, ისეთი სახელით, რომ მთის ყმაწვილი ქალების ზარით ტირილში სამაგალითოდ მოხსენებულიყო იმის სახელი და სივაჟკაცე".

ამგვარ სიკვდილს დაეძებენ გმირები და ამიტომაც არის, რომ ეს გმირები მტერს ყოველთვის პირდაპირ შეებმიან. ისინი მტრის მიერ ნასროლ ტყვიას ზურგს კი არ მიუშვერენ. მკერდით შეხვდებიან მას.

ასეთი გმირები განუზომელად უყვარს ყველას. მათთვის ხალხს ყოველთვის მზადა აქვს ლექსები და სიმღერები. ასეთი ვაჟკაცები ხალხური ლექსების მასალად გადაიქცევიან. მათი ქება-დიდება თაობიდან თაობაზე გადადის და მათი სახელები ინახება. სახელოვანი ვაჟკაცის გარდაცვალებისას, მისი დატირების მომენტში, წარსული გმირების სახელების დემონსტრაცია ხდება. შთამაშველობა ამით ამაყობს.

ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში" ეს მომენტიც მოხდენილად არის გადმოცემული. ასე ხდება სვიმონის დასაფლავების დროს.

„ხანდისხან, როდესაც მოსულნი მთლად შემოიკრიბებოდნენ და

დეპეშანში აღარავინ ელოდა. სახლში მყოფთ შორის რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა. მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დროგამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოჰყვებოდნენ შემაწუხებლის ხმით, ზარით ტირილსა. ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი საქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ახლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

„მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისათვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურებინათ. ყველას, ვინც-კი იქ იყო და მომთქმელთ სიტყვები სწვდებოდა, ამგვარი გამოსალმება უმაღლეს ჯილდოდ მიაჩნდა და მოძმეთაგან ამ პატივით მოხსენებას ნატრობდა. როდესაც მოტირალი ლექსს გაათავებდა, წყნარად მივიდოდა მიცვალებულთან, თოფს ისევ გულზე დაადებდა და მოწიწებით წარმოსთქვამდა: „შენ ცხონება და დამრჩენთ დღეგრძელობა". ხალხი მიყუჩდებოდა და სანამ ახალი მომთქმელი წარმოდგებოდა და ხელ-ახლად დაიძახებდა „ახა ვაითა ვაიმე" ყველანი ერთმანეთში კითხულობდნენ: ვინ იყო მოხსენებული, ან რა სამსახური გაეწია? ამ გვარად მთელი ხალხი ტყობილობდა თავიანთი გმირების სახელებს და მათი მოქმედების ამბავი საშვილიშვილოდ გადადიოდა".

დასაფლავების ცერემონიალის მოცემული აღწერა უდაოდ საყურადღებო მომენტია მოხევეთა ყოფაცხოვრებითი ნიშნების გათვალისწინებისათვის. ასეთი წესით ისტუმრებდნენ ისინი ხალხისათვის საყვარელ გმირ-ვაჟკაცებს.

დასაფლავების მეორე შემთხვევა ამავე რომანში არის გიორგისა და მარტიას დასაფლავება. რუსის სალდათებთან პირველი საბედისწერო შეჯახებისას ელგუჯას ორივე ძმადშეფიცული მოუკლეს. მთიულებმა მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს იმ იმედით, რომ შეიძლება გადაერჩინათ (როგოც ცნობილია, მდევრებს ელგუჯა მოკლული ეგონათ და ამ რწმენით დატოვეს).

გამარჯვებულმა მდევრებმა მოკლული მთიელები შარაგზაზე დაჰყარეს, რომ გამვლელ-გამოვლელს ენახა, „ჭკუა ესწავლა" და წინააღმდეგობაზე ხელი აეღო. მაგრამ მთიულებმა, რომელთაც ელგუჯა სოფელში წაიყვანეს, გადაწყვიტეს, რომ მოკლული მებრ-

ქოლებიც მიწისათვის მიებარებინათ. რათა ნადირის კერძად არ გამხდარიყვნენ.

გიორგისა და მარტიას დასაფლავება, რასაკვირველია, განსხვავდება სვიმონ ჩოფიკაშვილის დასაფლავების პირობებისაგან. სვიმონის დასაფლავება მოხდა ჩვეულებრივ ატმოსფეროში, მეფის ერთგულების მიერ დახოცილ ვაჟკაცებს კი ქურდულად ასაფლავებენ. მიუხედავად ამისა, მთიულები მაინც ასრულებენ საჭირო წესებს და გმირებს მიწას ისე აბარებენ.

მთიულებმა მიწა გათხარეს და ძმადშეფიცულები შიგ ჩაასვენეს. ვიდრე მიწას მიაყრიდნენ. მოხუცმა ბერდიამ ვაჟკაცურად დახოცილ გმირებს სიტყვით მიმართა. ალ. ყაზბეგი დაწვრილებით აგვიწერს ამ სურათს: „როდესაც დახოცილები სამარეს ჩაასვენეს, მოგვითხრობს მწერალი. — ბერდიამ. როგორც უფროსმა, საჭიროდ დაინახა გამოსასალმებელი სიტყვის წარმოთქმა: ის აქებდა მიცვალებულთა გულადობას და ვაჟკაცურად სიკვდილს: ჰპირდებოდა, რომ ამგვარად სიკვდილისათვის გახარებულნი დაუხვდებოდნენ საიქიოს იმათი წინაპარნი და სიამოვნებით მიიღებდნენ იმათ „უკუნითი უკუნისამდე“ დაუვიწყარს მოქმედებას. ბოლო სიტყვები შემდეგით გათავა: ლომისის მადლმა, თითონ თამარ — „პირიმზე“ მიგიძღვებათ მეუფესთან! თავად უამბობს თქვენს ვაჟკაცობას და თავის გვერდს შკამს დაგიდგამთ. ვაი ამითი, რომ ადრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ველარ გააცივებს მტრის გულს. გმარხავთ იმისათვის, რომ „ნადირს“ არ გაეფუფუებინა პირისახე. მაგრამ, ღვთის მადლმა. უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა, — თქვენისთანა ვაჟკაცებს ბა ყორნის მეტი რაი მიუდგებოდა? თქვენ ცხონება, „დამრჩომთ“ ღანახვა და გაგონება! სისხლს სისხლი ვასწმენდს, ვაჟკაცს—გულადობა. მტრისაგან უშიშრობა! სცხონდით, სცხონდით, სცხონდით! — მერმე შეიკმუხნა წარბები. აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა: — მიწა ხართ და მიწად იქეცით! — ყოველ მიწის ჰიყრაზედ წარმოსთქვამდა ის“.

ბერდიას მიერ შესრულებული წესი აშკარად ხალხურია. ეს ხალხური ტრადიცია პირდაპირ ეთანხმება ალექსანდრე ყაზბეგის იდეურ მრწამს. გმირი მებრძოლების ასეთი წესით დასაფლავება საბაგალითოა ახალგაზრდობისათვის. ხალხის ინტერესების გამომხატველ გმირთა ვაჟკაცური სიკვდილი ახალგაზრდებს აძლევს ბრძოლის სტიმულს. ისინი ამ ტრადიციაზე იზრდებიან. გიორგი და მარტია უსამართლობასთან ბრძოლაში დაღუპნენ. მთიულებმა ისინი, მართალია, ქურდულად დაასაფლავეს. მაგრამ ბერდიამ მაინც წარმოთქვა სიტყვა. ბერდიას სიტყვებმა იქ მყოფი ახალგაზრდები ბრძო-

ლის ჟინით აავსო და კიდევ უფრო დაუნდობელნი გახადა უსამართლობის წინააღმდეგ. ალ. ყაზბეგი ახალგაზრდების ამ განწყობილების შესახებ გვეუბნება: „შეკმუხვნილის სახით შეუდგნენ მთებს, რომ პირველსავე შემთხვევაში იგენიც ისე ვაჟკაცურად და სასახელოდ დახოცილიყვნენ“.

III

რომანში „მამის მკვლელი“ ცხოვრების უკუღმართობასთან ნაბრძოლი, ერთ დროს ძალოვანი ვაჟკაცი და ახლა კი ჯანგატეხილი, დაბეჩავებული გლახა ფანდურზე ხალხური „როსტომიანიდან“ ცნობილ ლექსს ამღერებს:

„როსტომ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა;
ვაჟკაცს რომ გაუჭირდების,
მაშინის უნდა ცდილობა.
როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა ოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა!“

იგივე გლახა, როდესაც მშობლიურ არემარეს ჰშორდება, რომ ვინმემ არ გასცეს და მტარვალების ხელთ არ ჩავარდეს. ნაღვლიანად ამბობს „დაებერდი. დავჩაჩანაკდი, წელი გამიხდა ჭაღარა, შინ ჯალაბთ მოვძულებივარ, გარედ უნდიეარ აღარა“.

მტერთან ნაბრძოლი იაგო და მისი ამხანაგები ისვენებენ. იაგო ოცნებაში გაერთობა. მტრისადმი სამაგიეროს გადახდის გრძნობა, ნუნუზე ფიქრები და მასთან შეერთების სურვილი ძილს აკარგვინებს. ამ დროს იგი მწარე ღიმილით, თითქოს თავის უნებლიედ, ზმამაღლა ამბობს:

„ვაი რა დიდი ბრალია:
შავარდენი ჰყავს ძერასა,
გაუფრინდება. წაუვა.
შორით-ღა უწყებს მზერასა“.

იმავე „მამის მკვლელში“ ცნობილი სახალხო გმირის შამილის მხლებლები გამარჯვების შემდეგ ჩვეულებრივად სოფლებში ხალ-

ხური „მზედრულით“ ბრუნდებიან. ერთერთ ასეთს შემთხვევაში ისინი მოიმღერიან „ლაი-ლაჰა-იალას“. რომანში მოყვანილი არ არის სასიმღერო ლექსი, ალ. ყაზბეგი უბრალოდ გვეუბნება, რომ ხალხს შემოესმა „ლაი-ლაჰა-იალას“ ხმა.

შეიძლება დაისვას კითხვა: ალექსანდრე ყაზბეგი იმიტომ ხომ არ მოერიდა იმ ხალხის სასიმღერო ლექსის შეტანას, რომ იგი მაჰმადიან მთიელებს არ სწყალობდა? რასაკვირველია, არა. პირიქით, დიდი მწერლის ერთერთ დადებით მხარედ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი თავის თხზულებებში ერთგვარად სპობს კიდეც ამ სარწმუნოებრივ სხვაობას და როგორც ქართველი, ქრისტიანი მთიელების, ისე მაჰმადიანი მთიელების ცხოვრებას, მათს ბრძოლას თვითმპყრობელური რუსეთის ველური ბატონობის წინააღმდეგ ერთნაირის გულწრფელობით აგვიწერს. კიდევ მეტი: მაჰმადიანი შამილი ალ. ყაზბეგის რომანებში დიდის გატაცებით არის დახატული, როგორც უდიდესი მებრძოლი მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ქრისტიანი რუსების მიერ წამებული იაგო და მისი ამხანაგები მაჰმადიანი შამილის მფარველობის ქვეშ ჰპოვებენ მოსვენებას. მის რაზმებში შედიან და გმირულადაც იბრძვიან. შამილიც უანგარო მშობლიური მზრუნველობით ეპყრობა გმირ ქართველებს.

შემდეგ, მეზობელი მშრომელი ჩეჩნების ცხოვრების აუტანელი პირობები რუსეთის ცარიზმის ბატონობის დროს ალ. ყაზბეგმა შესანიშნავად დაგვიხასიათა თავის რომანში „ელისო“. ამ პატარა, მაგრამ ძლიერი მხატვრული ალღოთი შესრულებულ ნაწარმოებში მწერალმა დაგვიხატა თავისუფლების მოყვარული ჩეჩნების ტრაგიკული ბედი დაპყრობილთა უღლის ქვეშ.

ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერებში დაცულია მთელი რიგი ლექსები, რომლებიც მიძღვნილია მაჰმადიანი მთიელებისადმი. მათ შორის არის ერთერთი ლექსი — ექსპრომტი სათაურით „სიმღერა ქრისტისა“. რომელშიაც შექებულია ქრისტების მამაცობა, ბრძოლისუნარიანობა და კაცთმოყვარეობა.

აი ეს ექსპრომტიც:

„გვიყვარს ომი ჩვენ მტერთანა,
ტყვიაზე ტყვიის გაგზავნა,
ლხინი და დროს გატარება
დოქებით ცეცხლის პირთანა.
დრო გავატაროთ, მოძმენო,
სანამ გველხინოს ჩუმადა;

ვინ იცის, ვის ხვალ რარიგი
მწუხარ დღე გაუთენდება.
არვის შევარჩენთ წყენასა,
მეტადრე უსამართლოსა;
ჩვენ ერთხელ ვირჩევთ სიკვდილსა
სულ მუდამ დაღონებასა [1].“

ასე უმღეროდა ალექსანდრე ყაზბეგი ქისტებს და საზოგადოდ კავკასიის მთიელ ხალხებს. თავისუფლებისა და სიყვარულის მგოსანი სალსთა მეგობრობის მომღერალიც იყო. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავის უკვდავ ნაწერებში ერთნაირის სიყვარულით გვიხატავს როგორც ქრისტიანს ისე მაჰმადიანს, როგორც მოხევეს, ისე ჩეჩენს.

IV

ხალხურ შემოქმედებასთან კავშირის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა აგრთვე ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მოძღვარი“. ეს უდიდესი ფსიქოლოგიური ნაწარმოები მკითხველში უაღრესად მძიმე განცდებს იწვევს. ზშირად ეს განცდები უმძაფრეს დაძაბულობამდის მიდის და მკითხველი მოუთმენლად მოელის ამბის დასასრულს.

რომანის ამ უდიდეს ზედმოქმედებას, სხვა ელემენტებთან ერთად, ხელს უწყობს აგრთვე ხალხური შემოქმედების გამოყენებაც. ხალხური თქმულების, ლეგენდის, ლექსის ან სიმღერის დროულად და მოხდენილად გამოყენებით ავტორი უდიდეს შედეგებს აღწევს. იგი ერთბაშად იპყრობს მკითხველს, საკუთარ მდგომარეობას ავიწყებს და ნაწარმოების მოქმედ პირთა არეში გადაჰყავს. მკითხველი უდიდესი დაძაბულობით მისდევს მოქმედების განვითარებას.

გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს.

ონისე მწყემსებთან ვახშამს შეექცევა. მწყემსები ჩვეულებისამებრ მხიარულობენ, ოხუნჯობენ, იცინიან. ამ დროს გაისმის ფანდურის ხმა და ყურადღებაც მისკენ გადაიხრება. ყველანი გაჩუმდებიან. ხოლო მეფანდურე თავის მგრძნობიარე იარაღს მოიმარჯვებს, ააკვნესებს და ზედ ლექსსაც დაამღერებს.

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ეს ლექსი, რომანში იგი ლექ-

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3985.

ნად არ არის მოცემული, მაგრამ ალ. ყაზბეგი მის შინაარსს კი გადმოგვცემს. მისი შინაარსი ასეთია:

„ერთი მონადირე მთაში ჯიხვებზე სანადიროდ წასულიყო, ერთს ფიწალოზედ გადმოვარდნილიყო და კლდეზედ ბანდულის საბანდით ჩამოჰკიდებოდა. მონადირე თავის ძაღლსა სთხოვს, რომ სოფელში წავიდეს და საკუთრივ. მარტოდ-მარტო იმის საყვარელს შეატყობინოს მონადირის გაჭირვება. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას მაინც ატყობინებს და იმ ქალის გარედ მონადირის დედასთანაც მიირბენს. საყვარელი ქალი თავის სატრფოზედ ამბობს: „თვალიმც დაუდგება, თუ მთაში სიარული არ იცოდა, რისთვი მიდიოდა? „დედა კი ხმაამოუღებლივ ლოგინს წამოიკიდებს და გაფითრებული. მფეთქავის გულით შვილისკენ გაქანდება.

„შეატყობს სოფელიც და მდევარი მიდის; მათ შორის გაჭირვებაში მყოფის „საყორელიც“ მოსჩანს. მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება. ქალი ხშირად გაჰხედავს ხოლმე და თვალს ჩაუკრენტს. ბოლოს ყველა მიაღწევს იმ ალაგს, სადაც კაცის გულის შემზარებელი სანახავი იყო. ფრიალო კლდეზედ კაცი თავქვე გადმოკიდებული იყო. გამოშვერილს ჭაჭზე საბანდი მოსდებოდა და ის-ღა იმაგრებდა; წუთით წუთს ყველა მოელოდა, რომ საბანდი გაწყდებოდა და კაცი სულით ხორცამდის დაიკარგებოდა. დედას მდუღარება გადმოსდის. მკვდარს დამსგავსებია, სული ამოსვლას ლამობს. რბილად უშლის საგებელს და იმედობს, რომ თავის ერთადერთს ნუგეშს ამით მაინც გადაარჩენს. მოვარდება ყმაწვილი ქალი. რომელიც გაჭირვებაში მყოფს უყვარს. გაუშლის მერდინს და შესძახებს: „დიაცო, არა გრცხვენის შიშისა?! გაინძერ. საბანდი გაწყდება და მერდინით დაგიჭერ“. მონადირეს საყვარელი რწმუნებას აძლევს. იგი ენდობა ქალის სიტყვასა, შეინძრევა და. გადმოვარდნილი. ტვინგანთხეული. მიწას გაეცხობა. გამოსალმებასთან ერთად დედას სული ამოხდება და ყმაწვილს ქალს კი ქედზედ კოხტა ბიჭთან ხელი ხელს გადახვეულს დაინახავენ“.

მეფანდურის მიერ თქმულმა ამ ლექსმა უდიდესი გავლენა მოახდინა ონისეზე. მას უანგაროდ. თავდავიწყებით უყვარს მაყვალა და ამ მომენტში თქმულმა სიმღერამ გული დაუსერა. თითქოს დაეკვდა კიდეც. მეფანდურის სიტყვები გონებიდან არ შორდება. ხშირად თავში გაურბენს საშინელი ეკვი და წარმოათქმევინებს: „იქნებ ქმარსაცა ღალატობს და მეცა?“. ასეთი ეკვი ღრღნის ონისეს

სულსა და გულს იმ დროს, როდესაც მაყვალას საამისო არავითარი საბაბი არ მიუცია.

აქ გარკვევით იგრძნობა ხალხური ლექსის გავლენა ადამიანზე. ეს მით უმეტეს ითქმის ფანდურის შესახებ, ეს ხალხური დასაკრავი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე და ასევე მოუვიდა შეყვარებულ ონისესაც. ხალხური დასაკრავის გავლენას მსმენელზე ალ. ყაზბეგის სხვა რომანებშიაც ვხვდებით. „ელგუჯაში" სვიმონ ჩოფიკაშვილს ელგუჯას შერიგების თხოვნისას ღინჯამ ისარგებლა ამ მომენტით. ფანდურმა გარკვეული მოვალეობა შეასრულა თანხმობის მიღების საქმეში. მით უფრო, რომ სვიმონი იმ დროს მწოლარე ავადმყოფი იყო, ავადმყოფზე კი ხალხური დასაკრავი საზოგადოდ. და ფანდური განსაკუთრებით, უდიდეს ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. ალექსანდრე ყაზბეგმა, რომელმაც თავისი პირადი მდგომარეობით უშუალოდ განიცადა ხალხის ჭირვარამი და სიხარული, ხალხური დასაკრავის ეს ზემოქმედებითი ძალაც ბრწყინვალედ იცოდა.

„მამის მკვლელში" ალ. ყაზბეგი წერს:

„ამგვარად, ფანდურის ხმა, რომელიც თითქოს აღელვებს ავადმყოფს, ამასთანავე ერთად ამშვიდებს თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატკივარს, ჭრილობას, და მკურნალი ძილი უხუკავს დასუსტებულს თვალებს, რომელიც ისე მკურნალად მოქმედებს. მხოლოდ იმას შეუძლიან ამ დაძახილის ტირსეულად დაფასება, ვინც ავადა ყოფილა და გაუგონია ეს ხმა, უგრძვნია თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნექტარი, რომელსაც ეს ხმა თითქოს წვეთ-წვეთად უსხამს ავადმყოფს სხეულს და აგებულობაში".

ალექსანდრე ყაზბეგის ეს სიტყვები ავადმყოფის მდგომარეობას, მასზე ხალხური დასაკრავის გავლენას შეეხება. მაგრამ შეიძლება იგივე ითქვას აგრეთვე შეყვარებულთა მდგომარეობაზედაც. შეყვარებულთა მგრძნობელობა, განცდები და ტკივილები დიდად არ განსხვავდება ავადმყოფი ადამიანის მგრძნობელობისა და ტკივილისაგან. ეს მით უმეტეს ითქმის იმ უანგარო სიყვარულზე, რომელიც ალ. ყაზბეგის რომანების გმირებისათვის არის დამახასიათებელი. მათი სიყვარული ავადმყოფური კი არ არის, არამედ, პირიქით, მეტად ჯანსაღი და ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ზოგჯერ ამ ბუნებრივ გრძნობას წინ აღუდგება საზოგადოებრივი მორალი, და ეს უანგარო სიყვარული „უკანონო" აღმოჩნდება. ამ დროს შეყვარებულს არ ჰყავს რეალური მოწინააღმდეგე, რო-

მელთანაც მას ბრძოლა შეეძლოს. ეს მოწინააღმდეგე მას თავისივე თავში უზის მორალის სახით, ასე რომ მის არსებაში ერთსა და იმავე დროს არსებობს ორი ერთიმეორის საპირისპირო ძალა: ერთის მხრით — უზადო სიყვარული, მეორის მხრით—მორალი, საზოგადოებრივი ვალდებულება. ფსიქოლოგიის ენით რომ ითქვას. ამ დროს ადამიანის არსებაში ერთმანეთს ებრძვის ემოცია და ნებელობა.

რომან „ელგუჯაში" ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობის. ბრძოლის შესანიშნავი მაგალითია მოცემული. მათია ელგუჯას ძმათშეფიცულია, იგი თავს სწირავს ელგუჯასათვის. მაგრამ ამავე დროს მათიას თავისი ძმადშეფიცულის საცოლე მზაღო შეუყვარდება. მათიასათვის წმიდათაწმიდაა ძმადშეფიცვის კანონი. იგი ელგუჯასათვის საკუთარ თავს გასწირავს. ძმადშეფიცულისათვის მოკვდება და ამავე დროს კი მზაღოც უყვარს. მათია ორ ცეცხლშუა იწვის: ერთია მოვალეობა ძმადშეფიცულის წინაშე, ხოლო მეორე — სიყვარული. მათია ელგუჯას ვერ უღალატებს იმის გამო. რომ მას ძმობა შეჰფიცა, მაგრამ მზაღოც ვერ დაუთმია. ისიტომ რომ იგი უყვარს. მათიას მთლიანი ვაჟკაცური ბუნება თითქოს გაბზარულია. სინამდვილეში კი აქ იბრძვის მათიას სიყვარული (ემოცია) და მისივე ნებელობა.

მათიას ეს შინაგანი წვა. ბრძოლა მძიმე განცდებითა და ტკივილებით მიმდინარეობს. ამ დროს ადამიანის მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავეა, ვიდრე ჩვეულებრივი ავადმყოფობის ტკივილები.

ასეთივეა ონისეს მდგომარეობაც. მას გულწრფელად უყვარს მაყვალა და ამ მომენტში მეფანდურის დამღერებამ მას წარმოუდგინა მოღალატე ქალი. ქალი, რომელიც ღალატობს ქმარს, და თუ კანონიერ ქმარს უღალატებენ. რატომ არ შეიძლება შეყვარებულსაც უღალატონ, სხვაზე გაცვალონ? უნდა ითქვას, რომ ონისეს ჰქონდა კიდეც ერთგვარი საფუძველი ამ ეჭვისათვის, მაყვალა ჰღალატობდა გელას, მართალია. არა საყვარელ ქმარს, მაგრამ მაინც ქმარს, რომლის წინაშე იგი გარკვეულ ვალდებულებას გრძნობდა. სრული სიმართლეა ისიც. რომ მაყვალას ონისესადმი ღალატი ერთი წუთითაც გულს არ გაუვლია. მაგრამ ონისეს მაინც შეეძლო ჰქონოდა ერთგვარი შიშის გრძნობა და როდესაც მისი გულის საძირკველს ჩასწვდა მეფანდურის სიტყვები, ეს გრძნობა წინ წამოიწია და ისე ძლიერად, რომ ონისეს ათქმევინა: იქნება ქმარსაცა ღალატობს და მეცაო. ალ. ყაზბეგი დაკვირვებული ფსიქოლოგის

ლალათ მისდევს ადამიანის შინაგან განცდებს, მის სულიერ მოძრაობას. ასეთია ხალხური დასაკრავის გავლენა.

იმავე „მოძღვარში“ მაყვალას ნახვის სურვილით შეპყრობილი ონისე თავისთავს ებრძვის. მაყვალას ნახვა წყურია, მაგრამ ამის უფლება არა აქვს. მაყვალა გელას კანონიერი ცოლია და მისი კი „უკანონოდ“ შეყვარებული. ონისე გარკვეული სიძნელის წინაშე დგას. მიზნის მისაღწევად საჭიროა თავგანწირვა, და ონისეს სასწრაფოდ გაუელვებს თავში ცნობილი ხალხური ლექსი:

„როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა[1].

თქვა ონისემ და ჩქარის ნაბიჯით მაყვალასაკენ გამოსწია.

ოავის მხრივ, წისქვილში მყოფი მაყვალაც ონისეზე ოცნებობს, ნატრობს ონისეს. მაგრამ იქ კი არ მიელის. შრომისაგან დაღლილი მაყვალა ტომარას მიესვენა, ხელები თავქვეშ ამოიდო და კვლავ ოცნებაში წავიდა. გაიარა რამდენიმე წუთმა, და ონისეს, რომელიც წისქვილთან მოსულიყო და ქალს გარედან უთვალთვალებდა, შეშოესმა მაყვალას სიმღერა. იგი ხალხურ ლექსს მღეროდა:

„მოფრინდი ჩემო მერცხალო,
დამიჭიკჭიკე ბანზედა,
თითქოს ჰფიცავდი: „მიყვარხარ!“
მაშ რაღად დახვალ განზედა?“.

მაყვალას ჯერ კიდევ კარგად არ გაეთავებინა ეს სიმღერა, რომ ამ დროს კარებში ბრახუნი მოესმა. ეს იყო ონისე. მაყვალას მიერ სიმღერით თქმულმა ხალხურმა ლექსმა ვაჟკაცს მოთმინების უნარი დაუკარგა და კარებზე ნაადრევად დააბრახუნებინა, რომ მომღერალი მიჯნური ენახა.

ამავე რომანში მეცხვარეები, რომელთაც ფარა მთის ფერდობზე გაეშლიათ, დროგამოშვებით ზარსავით უზადო წკრიალა ხმით შეიძღერებენ:

---

[1] ეკითხველი შეამჩნევდა, რომ ეს ლექსი ალ. ყაზბეგს ხშირად აქეს გამოყენებული. იგი გვხვდება „მამის მკვლელში“, „მოძღვარში“. ლექსშიაც კი („ციმბერა ქისტისა“) მოსჩანს მისი კვალი. გვხვდება სხვა ნაწარმოებშიაც.

„მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე,
ჰაისის წვიმავ. წამოდი.
გული სევდისგან გაბანე.
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკრევინე,
სწორის არ-გამტანს, უფალო.
ცხვირი სადმ წააკვრევინე!“ [1].

ხალხურ შემოქმედებასთან კავშირის თვალსაზრისით საკურადღებოა აგრთვე ალ. ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები „შიოლა ღუდუშაური“ და „ნინო“. ეს ნაწარმოებები წარმოადგენენ ერთგვარ გაგრძელებას ცნობილი მოთხრობისა „ხევის ბერი გოჩა“. როგორც ცნობილია, „ხევის ბერი გოჩა“ გაშლილია ნუგზარ ერისთავის მიერ მოხევეთა დაპყრობისათვის ბრძოლის ფონზე. უკანასკნელი ორი მოთხრობა, რომლებიც ალ. ყაზბეგს დაუმთავრებელი დარჩა, მკითხველს წარმოუდგენს იმ ეპოქას, როდესაც არაგვის ერისთავებმა თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაიჩინეს მომხრეები და მათზე დაყრდნობით ცდილობდნენ მოხევეებზე გაბატონებას.

თავისუფლების მოყვარე მთიელები, რომლებიც ისტორიულად ჩვეულნი არ იყვნენ ბატონყმურ ურთიერთობას, ზიზღით უყურებდნენ ერისთავების ერთგულ გააზნაურებულ მოხევეებს. ხალხური შემოქმედება განსაკუთრებულია წყევა-კრულვით იხსენებს ერთ-ერთ ასეთ მოხევეს, შიოლა ღუდუშაურს, რომელიც, ხალხური გადმოცემის თანახმად, ერისთავიანთ მიერ ნაბოძებ სკამში იჯდა. ალ. ყაზბეგიც გვეუბნება, რომ, ხალხის თქმულებით, შიოლა ღუდუშაურისათვის წყალობის ნიშნად ერისთავიანთ სკამი ებოძებინათ.

შიოლა ღუდუშაურის უადამიანო მოქმედებამ ბევრი პატიოსანი მშრომელი მოხევე იმსხვერპლა, ბევრიც თავის მიწა-წყალს მოაშორა და ხევიდან გახიზნა, რომ უსამართლობისათვის ქედი არ მოეხარა.

შიოლა ღუდუშაური ხალხისათვის საშიშ პიროვნებად, საზიზღარ არსებად გადაიქცა. მოხევეებმა თავისი ზიზღი ღუდუშაურისადმი იმითაც გამოხატეს, რომ მას შ ა ვ-შ ი ო ლ ა უწოდეს. ამ სახელით ხალხი აღნიშნავდა შიოლა ღუდუშაურის ბნელ საქმეებს, ხალ-

[1] იგივე ლექსი, როგორც ხალხური, ალ. ყაზბეგმა დაბეჭდა გაზეთ „თეატრში“, 1886 წ., № 28.

ხის საერთო სიძულვილს შავბნელი საქციელის ადამიანისადმი. შიოლა ღუდუშაურის შესახებ ხალხმა ლექსებიც კი შექმნა. ამ ლექსებში იგი წყევლა-კრულვით იხსენიებს თავის მოსისხლე მტერს შიოლას.

ალექსანდრე ყაზბეგს განუზრახავს დაეწერა დიდი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც გადმოცემული იქნებოდა შიოლა ღუდუშაურის ბნელი საქმეები მოხევეთა მიმართ და ხალხის ბრძოლა ერისთავების აგენტის შიოლა ღუდუშაურის წინააღმდეგ. მაგრამ ალ. ყაზბეგს ეს ნაწარმოები არ დაუწერია და დაგვიტოვა მხოლოდ საწყისები ორი სხვადასხვა სათაურით — „შიოლა ღუდუშაური“ და „ნინო“.

როგორც ირკვევა, ალექსანდრე ყაზბეგი თავისი ნაწარმოებისათვის წინასწარ ხალხში აგროვებდა ლექსებსა და თქმულებებს. ამის საუკეთესო ნიმუშია თვით ამ პატარა საწყისებში გამოყენებული ხალხური ლექსები შიოლა ღუდუშაურის შესახებ.

პირველ მოთხრობას („შიოლა ღუდუშაური“) ალექსანდრე ყაზბეგმა ეპიგრაფად წარუმძღვარა ცნობილი მოხეური ლექსი შავშიოლას შესახებ:

„შიოლავ ღუდუშაურო,
სკამს ზიხარ ერისთვისასა;
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს,
არცა ბალღს ერთის თვისასა;
პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი,
კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა“...

ასე ახასიათებს ხალხური თქმულება შიოლა ღუდუშაურს. ალექსანდრე ყაზბეგმა ეს ლექსი ერთერთ მოთხრობას შესავალად წარუმძღვარა. ხოლო მეორე შემთხვევაში („ნინო“) ისევ ხალხური ლექსით დიდმა მწერალმა მკითხველს კიდევ უფრო სრულად და გარკვევით წარმოუდგინა შიოლას მახინჯი სახე:

„აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს,
აღარც ბალღს ერთის თვისასა,
გულიც სულ გაგქვავებია,
გიგავს ნაგლეჯსა კლდისასა...
ძმაც კი აღარ გაგიშვია,
ძმა მიმავალი დისასა;
ცხენი სთხოვე და მოგართვა,
შვილდს რაღას სთხოვდი რქისასა...

შვილდი არ გაეღებოდა
მთრახელსა ნაპირისასა“ [1].

V

ჩვენ მოკლედ გავეცანით ალექსანდრე ყაზბეგის მიერ ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების მაგალითებს მის მხატვრულ ნაწარმოებებში. მწერლის მიერ ამ ხერხის მომარჯვება ხელს უწყობს მოქმედების ძალდაუტანებლივ განვითარებას, შთაბეჭდილებათა გაძლიერებას და საერთოდ ნაწარმოების მაღალ მხატვრულობას.

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხური შემოქმედებით სარგებლობის ბრწყინვალე მაგალითს იძლევა, ამას კი დიდი მწერალი იმით აღწევდა. რომ ბეჯითად სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას. მწერალი უზადო სიყვარულით კრებდა და თავის უბის წიგნაკებში იწერდა ხალხური სიბრძნის ნიმუშებს — ლექსებს, სიმღერებს, თქმულებებს, ანდაზა-გამოცანებს. ბევრ მათგანს ალ. ყაზბეგი თავის სიცოცხლეში აქვეყნებდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ბევრიც ხელნაწერის სახით დღემდის მწერლის პირად არქივში ინახება.

ალექსანდრე ყაზბეგი მოხევეთა ხალხური ლექსების ნიმუშებს ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სათაურით „მოხევის სიმღერები“ [2]. მის მიერ გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი ლექსებიდან გავეცნოთ მხოლოდ ერთ წყებას, რომელიც 1886 წელს გაზეთ „თეატრში“ დაიბეჭდა.

მოხევის სიმღერები

„რაზაცა მხედავთ, ესა ვარ,
ყოველთვის ერთი ფერია,
და ერთადერთი სიმღერა
ვიცი და იმას ვმღერია.

---

[1] მთრახი — სოფელია, მომიჯნავე ქისტებთან; ამისათვის არის ნათქვამი „ნაპირისასა“. სხვა თემის მეზობელს იარაღი არ გამოერთმევაო. შენიშვნა ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი.

[2] გაზეთი „თეატრი“, 1886 წ., №№ 24, 25, 28 და სხვ.

„ვერ მოშლის ცისა ღრუბელი
ჰაერში მოძრაობასა.
შიგ მზისა შუქი გიუმაჟად
ჩარევას, ბანაობასა.

„ვერც მოშლის ტკბილი ნიავი
წყნარად და ნაზად ქროლასა,
წყალნი მთით გადმომქუხავნი
მედგრად ზვირთების სროლასა.

„ვერ მოშლის ჯიხვი, ხარ-ლაღი,
ქორებრივ მთიდგან ცქერასა,
გადგომას საგრილობელად,
შუბლის ქარისკენ შვერასა.

„ვერ მოშლის შავარდენიცა
ნადირობ მსხვერპლის ზვერასა,
და შურთხი, ნაზი ფრინველი,
თავისებურად მღერასა.

„მათ შორის ნაწრთობ, ნაგალი
მთიელი კაცის ბუნება,
ვერ მოშლის თავისს ცხოვრებას,
ვერ შეეცვლება გუნება.

„ვერც მოშლის თოფის ჩახმახსა,
ვერც მის შვილდს მოედუნება,
თუნდ თითონ ზეცამ დასჭექოს,
ოდნავ არ მოიღუნება!“ [1].

ასეთ ლექსებს იწერდა ალ. ყაზბეგი მოხევეებისაგან და შემდეგ მათ ბეჭდავდა და ფართო მკითხველს აწოდებდა.

ალ. ყაზბეგის არქივში უხვად არის შემონახული ისეთი ლექსებიც, რომლებიც იმ დროს არ დაბეჭდილა. ასეთი ლექსები მრავალია, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გავეცნოთ.

ალექსანდრე ყაზბეგის ერთერთ უბის წიგნაკში ასეთი ხალხური ლექსებია ჩაწერილი:

---

[1] გაზეთი „თეატრი“, 1886 წ., № 25.

„გამაჯავრა, გონჯი იყო,
გამოვექეც ვ-ისაო.
წავედი და დავეძებდი,
შევეყარე უისაო“.

„ენა ქალისა, კაცისა
ხანჯალზე უფრო მჭრელია;
გველი გარედგან, კაცი-კი
შიგნიდან თურმე ჭრელია“.

„ქალს სილამაზე რას მისცემს,
თუ გული ფუყე ჰქონია;
კაცსა ტვინ გალაყებულსა
თავი დევ-გმირი ჰგონია.
მარტო მშრომლისთვის ძუძუნი
დედისა შესარგონია;
ზოგი დიაცად გაჩნდება,
კაცად არ გამიგონია“.

„სტუმარი მასპინძლის მგმობი
ოდესმე აიბარგება,
მუდამ სხვის შემყურებელი
სხვაზედვე გადაეგება“.

ალექსანდრე ყაზბეგი სწავლობდა მეზობელი მთიელი ხალხეშის ყოფა-ცხოვრებას, მათს ზნეჩვეულებას, ენასა და ხალხურ შემოქმედებას. დიდი მწერლის არქივში დაცულია მის მიერ თარგმნილი ჭისტური ლექსი. აი ეს ლექსიც:

„იალა ლაი ვაილაი ლა იალალაი,
იალა ლაი ვაილაი ლა იალალაი.
ოჰ, ღმერთო!
ჩემთვის არ არის
არც სახლი, არცა ადგილი,
არც კიდევ ტაძარ წმინდაი,
რომ ვიყო შენ წინ მლოცველი,
არცა სახნავი მიწაი,
არცა მდინარე წმინდაი,

ერთიღა დამრჩა თოფი მე
მტრისა პასუხის მცემელი" [1].

ასეთია ალ. ყაზბეგის მიერ თარგმნილი ერთი ქისტური ლექსი. მის ხელნაწერებში არის მთელი რიგი ქისტური სიტყვები, რომელთაც შიწერილი აქვს შესაბამისი ქართული სიტყვები, ე. ი. მწერალი ერთგვარ ლექსიკონსაც ადგენდა.

ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერებში უხვად არის დაცული მის მიერ სალხში გაგონილი და ჩაწერილი საანდაზო ლექსები და გამოცანები. დიდი მწერალი თითონაც ბევრს მუშაობდა ანალოგიური საანდაზოების შექმნაზე. ალ. ყაზბეგის ერთერთ უბის წიგნაკში დაცულია მისი რამდენიმე საანდაზო, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენი სიფრთხილით მუშაობდა იგი მეტყველების კულტურაზე და რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა მხატვრული სიტყვის ძალას.

გავიცნოთ ალ. ყაზბეგის რამდენიმე საანდაზო [2];

1

— რა გიხარიან, ლადო, რო იცინი? — ჰკითხეს ერთ კოპწია გამოპრანჭულს ყმაწვილს.

— ცოლს ვირთამო! — უპასუხა მან.

— რა მოგსვლია, ლადო, რო თავპირი ჩამოგტირისო? — ჰკითხეს მას ექვსი თვის შემდეგ.

— ცოლი შევირთეო! — დაღრეჯით უპასუხა ყმაწვილმა კაცმა.

2

— ქალო, რასა სტირიო? — ჰკითხეს ერთს კეკლუც გასათხოვარსა.

— მათხოებენო, — მიუგო თვალცრემლიანმა.

— ქალო, რა გაცინებსო? — ჰკითხეს მეორე დღესა.

— ქმარი შევირთეო, — უპასუხა ქალმა.

3

— სად მიათრევ? — ჰკითხეს ერთ მოხუცს, რომელსაც ძალლისთვის თოკი მოება და ძალად სადღაც მიჰყავდა.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი. წ.-კ. ფონდი. № 3985.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3984.

— უნდა დავახრჩოო, — უპასუხა მოხუცმა.
— დახრჩობას გაათხოვოო? — მიუგეს მას.

4

— სად მიგყავს მოზვერიო? — ჰკითხეს ერთს მოხუცს.
— ულელი უნდა დავადგა და მოვაჭკვიანოო, — მიუგო მან.
— ულლის დადგმას ცოლი შერთოო? — უპასუხეს მას.

5

— სად მიხვალ? — ჰკითხეს ერთს გაჯავრებულს მოხუცს.
— შვილმა გამაჯავრა და უნდა უჩივლოო, — უპასუხა მან.
— ჩივილის მაგივრად სიდედრთან გაგზავნოვო?

6

— ძაღლები რად გინდაო? — ჰკითხეს ერთს ყმაწვილს კაცს.
— ცოლი კაპაობს და უნდა მიუსიოვო, — უპასუხა ბიჭმა.
— ძაღლების მაგივრად მულები მიუსიოვო? — უპასუხა ვილაც ქალმა.

7

— თოკი რად გინდაო? — ჰკითხეს ერთს კაცსა.
— ცოლის გასაჯავრებლად თავი უნდა დავიხრჩოო, — უპასუხა მან.
— თავის დახრჩობას არშიყობა ვისმე დაუწყოო? — მიუგეს მას.

8

— სად მიგყავს ქალებიო? — ჰკითხეს ერთს მამას.
— გემნაზიაში სასწავლებლად უნდა მივცეო, — უპასუხა მშობელმა.
— გიმნაზიის მაგივრად ბაბალეს მიაბაროვო? — ჰკითხეს მას.

9

— სად მიხვალო? — ჰკითხეს ყმაწვილ კაცს.
— სალიტერატუროდაო. — მიუგო მან.
— მაგდენს ვაივაგლახს ლაფი ებლავე ჩამოისხაო? — ჰკითხეს მას.

10

— რას ელი?

— ნ. ქანანელის პასუხს.

— მეორედ მოსვლას მოელოდინოო?

11

— მწერლობა მინდა დავიწყოო, — თქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

— პირმოთნეობა, ლანძღვა და წელის ხრა იციო? — ჰკითხეს მას.

12

— აქტიორობა მინდაო, — თქვა ყმაწვილმა კაცმა.

— ლამაზი ცოლი გყავსო? — ჰკითხეს მას.

13

— ცოლი მინდა შევირთოო, — თქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

— რამდენს ქალთანა გყავს შვილებიო? — ჰკითხეს მას.

— არც ერთთანაო, — წარმოსთქვა მან.

— მაშ წადი, ჯერ ნიჭი გამოიჩინეო, — უპასუხეს მას.

ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის რამდენიმე „საანდაზო". არის თუ არა იგი წმინდა ხალხური თხზულება? რასაკვირველია, არა. ეს არ არის ხალხური ანდაზების კრებული. აქ მთელი რიგი „საანდაზო" პირდაპირ ამჟღავნებს ალ. ყაზბეგის პირადი ცხოვრების დეტალებს. „ანდაზების" ის წყება, რომელიც შეეხება ლიტერატურასა და თეატრს, მკითხველს უნებლიედ მოაგონებს თვითონ ალექსანდრე ყაზბეგის სალიტერატურო და სათეატრო მოღვაწეობის დასაწყისს. იგი ხომ მართლაც ბრძოლით, ათასგვარი წინააღმდეგობის გადალახვის გზით შემოვიდა ჩვენს ლიტერატურაში. მის უანგარო მოღვაწეობას ქართულ თეატრში ჩვენი უმადური რეცენზენტები ხშირად წყალში გადაყრიდნენ და ამ უდიდეს ადამიანს ზოგჯერ ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ. ალექსანდრე ყაზბეგის უსაზღვრო პოეტური სტიქია მთელი რიგი წლების განმავლობაში ნავლწაყრილი ღვიოდა და დიდმა ნიჭმა მხოლოდ გვიან ჰპოვა შესაფერისი ადგილი, ასე რომ ალ. ყაზბეგს თავისი პირადი მწარე გამოცდილებით შეეძლო ეთქვა ამ სახის მოღვაწეობის დამწყების მწარე ბედზე.

ხვა საანდაზოებიც შეიძლება ყველა არ იყოს წმინდა ხალხური. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ალ. ყაზბეგი ამ შემთხვევაში

მოხდენილად სარგებლობს ხალხური ანდაზების ჟანრით და ამ ჟანრის საშუალებით მოხდენილად იტყვის თავის სათქმელს. ასეთი ოპერაცია მხოლოდ იმას შეუძლია აწარმოოს, ვინც ზედმიწევნით განიცადა ხალხური შემოქმედების სითბო, მისი ძალა და ეშხი.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა ალ. ყაზბეგის არქივში დაცული ერთერთი ხელნაწერი სათაურით „შესანიშნავი ალმოთქმანი და ქკუის მახვილობანი". საბუნებოდ ეს ხელნაწერი მთლიანად არ შენახულა და მისგან მხოლოდ ერთი ფურცელია გადარჩენილი [1].

ალექსანდრე ყაზბეგის ეს „შესანიშნავი ალმოთქმანი" არ არის წმინდა ხალხური, იგი კიდევ უფრო შორდება მას. ვიდრე ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „საანდაზოები". აქ მწერალი იღებს ცნობილი მწერლების აფორიზმებს და შემდეგ გადააკეთებს მათ იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით, ვის გასაწკეპლავად იყენებს თვითეულს მათგანს.

თავისი „ალმოთქმანი", ანუ იგივე საანდაზოები, თუ შეიძლება იმათ ასე ეწოდოს, — ალ. ყაზბეგს გამოყენებული აქვს თავისი პირადი მოწინააღმდეგეების მიმართ (ილია ჭავჭავაძე, ილია ხონელი, და სხვ.), რომლებიც ალ. ყაზბეგს. როგორც უკვე ვიცით, არაგულწრფელად ეკიდებოდნენ. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ალექსანდრე ყაზბეგი შესანიშნავად იყენებს ხალხური ანდაზების ჟანრს. მის კილოს და მკითხველს ნამდვილი ხალხური ანდაზების სითბოს აგრძნობინებს.

აი ეს „შესანიშნავი ალმოთქმანიც:"

„მხოლოდ სულმდაბლის საქმეა დიდს ბენებიანს კაცს უკადრისად მოექცეს (შენიე)".

„უბედურობაში ვაჟკაცობა და მხნეობა უფრო შველის კაცსა, ვიდრე ქკუა და გონებაო., — ამბობს ეოვენარტი. ხოლო ხონელი [2] ამტკიცებს: მდიდართა წინაშე ქედისა დრეკა და მათ მოსასყიდად მართალთა ლანძღვა უფრო მეტ ქანს ლუკმას აქმევს, ვიდრე ქეშმარიტების მსარჩველობა და გლახაკთათვის მზრუნველობა".

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო. თაყვანისცემა ლირსებას! ამბობს გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ლელო [3] განარკვევს ასე: „რაა, მიეცით გზა ფართო მლანძღველთა, ნიჭისა საგონებელად. პირმორყვნილთც დეე იშოვნონ ლუკმანი საცხოვრებელად".

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3938.

[2] ილია ხონელი. (ბახტაძე).

[3] ლონა მეუნარგია.

„თავის ხრა, ხროვა კერპისა ცუდი რამ თამასუქია“, ამბობს რუსთაველი. ხოლო შემდეგის სიტყვით ახსნის გრ. ყ-ძე [1] „მხოლოდ კერპის წინ თავის ხრით მშიერმა ამოესუნთქია და მისვე ძალით მრავალი ენათობი დამიშუქია, ძლიერ მოთავეს ამისთვის ჩემი სახელი უქია“.

„გულის განზრახვა გულმავე
იცის და ემოწმებაო:
ენა და ბავე შორს ახლავს,
არც იცის, ვერცა ხვდებაო“.

ამბობს ვახტანგ VI, ხოლო ხონელი განარკვევს ასე:

„გულის განზრახვას ახლავან
პირი და ყურთა სმენაო.
განზრახვის დასამალველად
მზადა აქვთ სველი ენაო“.

ასე მწარედ გაეენწლა ალ. ყაზბეგმა თავისი მოწინააღმდეგეები. მართალია, ეს „ჭკუის მახვილობანი“ იმ დროს არ იბეჭდებოდა, მაგრამ დიდი მწერალი მას ხელნაწერად ინახავდა და ვალში კი არავის რჩებოდა.

ალსანიშნავია, რომ სწორედ ეს გადარჩენილი ფურცელი მთავრდება სიტყვებით: „მთამომავლობა პირუთენელი გამკითხავია“.

ჭეშმარიტად!

ალექსანდრე ყაზბეგი დიდის გულისხმიერებით ეპყრობოდა ხალხურ სიტყვებსა და გამოთქმებს. მის ხელნაწერებსა და უბის წიგნაკებში უხვად არის შემონახული მთელი რიგი სიტყვები და გამოთქმები, რაც იმას ადასტურებს, რომ მწერალი მათ გულმოდგინებით კრებდა და იწერდა. სხვათა შორის, იქ სიტყვათა ასეთი, მწკრივებიც გვხვდება: [2]

1

აბაზანა
აბეწული
აბი
აბლაბუდა
აბრა
აბუტარაკი

---

[1] გრიგოლ ყიფშიძე.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3988.

2

მედგარი
ლანგარი
მაგარი
ანდგარი
ჯიგარი
სიგარი

3

ბანდილი
წადილი
ქალიდი
ხადილი

ალექსანდრე ყაზბეგი. მხატვრული სიტყვის ეს უდიდესი ოსტატი, სიტყვების ასეთ მარაგსაც აგროვებდა. საჭირო არ არის მტკიცება. რომ ეს სიტყვები არ არიან მაღალი, არისტოკრატული წრეების სალონების, ლექსიკონებიდან. ისინი ჩვეულებრივი ხალხური სალაპარაკო ენის მარაგიდან მოდიან.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ხალხურ შემოქმედებას. იგი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს სწავლობდა, კრებდა და იწერდა. ალ. ყაზბეგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა არა მარტო ხალხურ ლექსებს, სიმღერებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანდაზა-გამოცანებს, არამედ იგი სწავლობდა და იწერდა აგრეთვე ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ხალხური ნიმუშების კვალობაზე ალ. ყაზბეგი თავის საკუთარს, ანალოგიურსაც ადგენდა.

ალექსანდრე ყაზბეგის მიერ ხალხურ შემოქმედების ნიმუშების გამოყენება მის მხატვრულ ნაწარმოებებში ხელს უწყობს მოქმედების ბუნებრივ განვითარებას, შთაპეჭდილებათა გაძლიერებას და, საერთოდ, ნაწარმოების მაღალ მხატვრულობას.

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერილი ხალხური წესები და ჩვეულებები, სახალხო დღესასწაულები და მასობრივი ხასიათის გართობა-თამაშობანი ძვირფას მასალას იძლევა მთიელ ხალხთა ყოფაცხოვრებითი ნიშნების გათვალისწინებისათვის.

თავი მერვე

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალება და დასაფლავება

I

1885 წელს დაიწერა და იმავე წლის მეორე ნახევარში ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა ალ. ყაზბეგის შესანიშნავი რომანი „ მოძღვარი“. ეს რომანი იყო უკანასკნელი სიტყვა ქართულ მწერლობაში ალ. ყაზბეგის მიერ თქმული. ამის შემდეგ ღირსშესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები მას აღარ შეუქმნია.

1886 წლიდან დაწყებული ალ. ყაზბეგის ცხოვრება ხასიათდება ძირითადად პრაქტიკული საქმიანობით. კერძოდ სასცენო მოღვაწეობით. მომდევნო წლებს იგი უმთავრესად პროვინციის ქალაქებში ატარებს. ამ დროს ალ. ყაზბეგი ხშირად მოჩანს ბათუმში, ქუთაისში, თელავსა და სხვა ადგილებში. ამ ქალაქებში იგი მონაწილეობს დრამატიულ წრეებში, ხელმძღვანელობს ლიტერატურული საღამოების მოწყობას და სხვ.

ამავე ხანებში ალ. ყაზბეგში ფეხს იკიდებს საშინელი სენი. იგი სულით ავადმყოფი ხდება. დიდი ხნის ტანჯვისა და წვალების შემდეგ. 1890 წელს მას სულით ავადმყოფთა სახლში ათავსებენ. აქ გაატარა სახელოვანმა მწერალმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ეს იყო უდიდესი ტრაგედია დიდი მწერლისა. ალ. ყაზბეგი სულით ავადმყოფთა სახლში იტანჯებოდა მაშინ, როდესაც მისი უკვდავი რომანები, უკვე ტომებად გამოცემული, ქვეყანას ეფინებოდა და მკითხველები მათ ავტორს ადიდებდნენ.

ვალერიან გუნიას გადმოცემული აქვს ერთი მომენტი, როდესაც ალ. ყაზბეგს საავადმყოფოში მიუტანეს თავისი თხზულებების ტომეულები. ვ. გუნია 1893 წელს დიდი მწერლის ცხედარს მიმართავდა: „ახლაც ცხადად მახსოვს, როდესაც ამ სამი წლის წინათ მოგიტანე საავადმყოფოში შენი თხზულებანი... რანაირის ბავშვურის სიხარულით და აღტაცებით ჩაჰყურებდი შენის სისხლით და ნაღვე-

ლით ნაწერ წიგნებს... ცხადად ვხედავ, რა ბედნიერების ცრემლი წაგსკდა თვალთაგან შენი საკუთარის სურათის დანახვაზე“ [1].

ალ. ყაზბეგის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ დავით კლდიაშვილიც მოგვითხრობს თავის მოგონებებში. ალ. ყაზბეგის ნიჭის პატივისმცემელი ბელეტრისტი ნაღვლიანად იგონებს ამ მომენტს. დ. კლდიაშვილი წერს: „დაბოლოს დასნეულებული ავ. მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. ამ დროს კიდეც გამოიცა მისი მოთხრობები სამ ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს, მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერმე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხიმოხია და გადაყარა იქით. მოკვდა სანდრო ისე, რომ გრძნობაში არ მოსულა. გამოსული მისი წიგნები კი საოცარი სისწრაფით ერცელდებოდა და აყვარებდა ხალხს მის დამწერს“.

ეს რამდენიმე სიტყვით დახატული სურათიც უდიდეს განცდას იწვევს მკითხველში.

ასე იტანჯებოდა ალ. ყაზბეგი წლების განმავლობაში. ხოლო 1893 წ. მხატვრული სიტყვის გოლიათი სასიკვდილო სარეცელზე დაეცა.

1893 წლის 10 დეკემბერს ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა.

II

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. ხალხმა წამსვე იგრძნო გენიალური მწერლის დაკარგვით გამოწვეული უდიდესი დანაკლისი. ალ. ყაზბეგის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ მთელი ქვეყნის გასაგონად იუწყებოდა: „გარდაიცვალა! სიცოცხლე მისი მოკლე იყო. მაგრამ სრული; ცოტა იცოცხლა, მაგრამ ბევრი შეჰქმნა. სასახლეებში კი არა ჰყოლია მისი ქნარი ამა ქვეყნის ძლიერთ სმენის დასატკბობად. მისის სიმის ხმა მხოლოდ დარიალის მიდამოებში გაისმოდა, იქ, სადაც პოეტისა არ იყოს, „დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“. სადაც ბეჩავი მოხვევ ეხლაც საკინძ-ჩამოწყვეტილი დასტირის თამარის დროშას; სადაც ბენებაა მხოლოდ თავისუფალი და სხვა ყოველივეს-კი ახალმა სიომ მოჰბერა, ახალმა დრომ თავისი ნიშანი დაასო.

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 278.

[2] დავით კლდიაშვილი — „მემუარები“, 1925 წ., გვ. 48.

„გარდაიცვალა! მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტ-
ყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორ-
ჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხე-
	ულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი-კი
მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი
ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე,
რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში
ირწეოდა. ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიან-
კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ [1].

ასე წერდა გაზეთი „ივერია“ ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო. ანალოგიური სტრიქონები უძღვნეს დიდი მწერლის გარდაცვალებას სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც.

ალ. ყაზბეგის გარდაცვალებამ ბევრი გამოაფხიზლა, თვალზე ჩამოფარებული ბინდი გადაუწმინდა და თავისი მოამაგე მწერალი აცნობინა. სხვანაირად არ შეიძლება ახსნილ იქნას ჟურნალ „კვალის“ ის სტრიქონები, რომლებიც ალ. ყაზბეგის გარდაცვალების დღეებში დაიბეჭდა. „კვალი“ წერდა: „ყაზბეგი ჯერ კიდევ მზნე, ძალით საესე ვაჟკაცი გადაგვეღო. მაგრამ რაც მან დაგვიტოვა გონების საუნჯედ, ისიც საკმაოა, რომ მსოფლიოდ თავი მოგვქონდეს და მედიდურად გვკრდით ამოუდგეთ დასავლეთის განათლებულთა ერთა. ევროპის ლიტერატურაში ბევრი არ არის ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, როგორც „ხევის ბერი“, „მამის მკვლელი“ და „ელგუჯა“. ასეთი ნიჭი დაგვებადა. ასეთი კაცი დადიოდა ჩვენს შორის და ჩვენ იგი ვერ ვიცანით. ხშირად მას ლუკმა პურიც არ ჰქონია საჭმელად. სანამ ცოცხალი და გონებით სრული იყო, მას არც ჩვენ მიერ თანაგრძნობა ჰქონია და არც განკითხვა“ [2]. ასე ესაყვედურებდა „კვალი“ ზოგიერთებს, მაგრამ ეს საყვედური ერთეულებს შეეხებოდა. ხალხი კი, მისი უდიდესი უმრავლესობა, საყვარელ მწერალს ადრიდანვე აფასებდა.

მართალია, ალ. ყაზბეგის გარდაცვალება მოულოდნელი არ ყოფილა, პირიქით, დიდი ხნიდან ელოდნენ კიდეც, ის რამდენიმე წლის წინათ მოკვდა როგორც მწერალი, მაგრამ მადლიერი ხალხი მაინც ვერ იმეტებდა მოამაგე ადამიანს. მისმა გარდაცვალებამ საყოველთაო გლოვა და მწუხარება გამოიწვია. იგივე „ივერია“ თავის ახალ ამბებში წერდა: „ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებამ თბილისის ქართველობა დიდით პატარამდე ფეხზე დააყენა. ნათესა-

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 269.

[2] ჟურნალი „კვალი“, 1893 .წ., № 51.

ვები. მეგობრები, მისი ნიჭის პატივისმცემელნი ყველანი სცდილობ-დნენ შესაფერისად იგლოვონ და გააპატიოსნონ ძვირფასი მიცვალებული".

სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ქვეყანამ დაკარგა ალ. ყაზბეგი და სალხი მას გლოვობდა. როგორც მისი ბერეარამის მაატვარს. ადამიანის სულის მოძრაობის მეცნიერებელს. ჟურნალი „მოამბე" სამართლიანად წერდა: „ცოტა იქნება ისეთი წიგნის მცოდნე ქართველი, რომ მისი „ელგუჯა", „მოძღვარი", „მამის მკვლელი", „ხევის ბერი გოჩა", „ელისო" და სხვა ორჯერ ან სამჯერ არა ჰქონდეს წაკითხული. მის მოთხრობებს არა ერთი გულმაგარი კაცი აუვსია ცრემლებით და არა ერთი ლაჩარი და დაძაბუნებული კაცი გაუმხნევებია" [1].

ასეთი იყო ალ. ყაზბეგი. და ამიტომაც იყო, რომ მას ყველა დასტიროდა. 1893 წლის 10 დეკემბრიდან დაწყებული ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ველარ იტევდნენ სამგლოვიარო დეპეშებს. დეპეშები მოდიოდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ყველა გლოვობდა. იმ დღეებში, ვარდა სამგლოვიარო განცხადებებისა და ალ. ყაზბეგთან დაკავშირებულ მოგონებებისა. დიდი მწერლისადმი მიძღვნილი ლექსებიც დაიბეჭდა. ალ. ყაზბეგს თავიანთი ლექსებით დასტიროდნენ: აკაკი წერეთელი, ნინო ორბელიანი, თედო რაზიკაშვილი, შიო მღვიმელი და სხვები. მაგრამ ამ ლექსებში განსაკუთრებით ვამოირჩევა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი „ალექსანდრე ყაზბეგს".

აი ეს ლექსიც:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,
სული დაბლიე ტანჯვითა...
მიუხვალ მამა-პაპათა,
ამოლებულის ხანჯლითა.
ცრემლად დამდნარის გულითა,
დაღლილი ბეტრისა ჯავრითა
ჯავრი ტანს ნაბდაღ გეხვევა.
ცრემლი მიგვყვება საგძლადა
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელ-უყრელა აბჯრადა.
თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფეხთ წინ დაუგდე გმირებსა,
მამულისათვის გამწყდართა

---

[1] ჟურნალი „მოამბე", 1894 წ., № 1.

იმ საქართველოს შვილებსა.
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!
პირობა ქართველებისა,
ვგონებ, ოოგყვება უბეში!
უჩვენე შენი კალამი,
ნაწები სისხლის გუბეში!"

ვაჟა-ფშაველას ამ ლექსში მთლიანად იგრძნობა ალექსანდრე ყაზბეგის დიადი პოეტური პროფილი; ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი ადამიანი და მხატვრული სიტყვის გოლიათი — სისხლის გუბეში ნაწები კალმით ხელში.

1893 წლის 19 დეკემბერს, გარდაცვალებიდან ცხრა დღის შემდეგ, ალექსანდრე ყაზბეგი თბილისიდან ხევს წაასვენეს. იმ დღეს ფილა-ადრიანად მიხელის საბელობის საავადმყოფოსთან დიდძალი ხალხი შეგროვდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მახლობელი ქუჩები მოზღვავებულ ხალხს ვერ იტევდა.

ალ. ყაზბეგი საავადმყოფოდან გამოიტანეს და ვერის ჯვართან დაასვენეს. აქ სამგლოვიარო სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს: აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, გრიგოლ აბაშიძემ, ვალერიან გუნიამ, კ. თავართქილაძემ, ელ. ჭიჭინაძემ (ქუთაისის ქალთა სახელით), ნ. ერისთავმა და სხვებმა.

ამ პროცესის შესახებ ჟურნალი „კვალი" წერდა:

„თუმცა ცუდი დღე იყო და ქუჩებში დიდი ტალახი იდგა, მაგრამ ხალხი მაინც თითქმის არ ეტეოდა განიერ გოლოვინის პროსპექტზე და სიგრძით ერთის ვერსის სიშორეზე მოდიოდა. ვერაზე რომ გავიდნენ, ცხედარი ჯვართან დაასვენეს და აქ წარმოსთქვეს სიტყვა აკაკი წერეთელმა, გ. წერეთელმა, გრ. აბაშიძემ, ელ. ჭიჭინაძის ასულმა, კ. თავართქილაძემ და ვ. გუნიამ; ხოლო ნ. ერისთავმა და ივანიშვილმა შეამკეს მიცვალებული მგრძნობიერად დაწერილი ლექსებითა. ოთხი საათი იქნებოდა ნაშუადღევისა, რომ კუბოს ძვირფასი მიცვალებულიანად წაიღეს მცხეთის გზით თავის მამულდედულში" [1].

ალ. ყაზბეგის ცხედრის გასვენების მომენტიდან საჭიროა აღინიშნოს ერთი მომენტიც: აქ სიტყვით გამოვიდა აკაკი წერეთელი. ცნობილია, რომ აკაკის, როგორც მ თ ქ მ ე ლ ს, ბადალი არა ჰყოლია, ხოლო მისი სიტყვა ალ. ყაზბეგის გასვენებასთან დაკავშირე-

[1] ჟურნალი „კვალი", 1893 წ., № 52.

ბით განსაკუთრებული მგრძნობელობით უნდა ყოფილიყო შესრულებული. აკაკიმ თავისი სიტყვა ლექსით დაამთავრა. ალ. ყაზბეგის გულწრფელობა ასე შეაფასა:

„ძმათ სიყვარული და სათნოება,
შრომის კაეშირით შეერთებული...
გული სიწმინდით და სული მარად
წრფელი ზრახვებით გაახლებული“.

დიდი მწერლის ცხედარი მისმა პატივისცემლებმა თბილისიდან გააცილეს. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ბევრი მათგანი დილომამდის მიჰყვა.

სამიოდე დღის შემდეგ, 1893 წლის 22 დეკემბერს, სოფელ სტეფანწმინდაში, თავის ეზოში, მამა-პაპათა გვერდით, ალექსანდრე ყაზბეგი სამუდამოდ მიაბარეს მშობლიურ მიწას.

ლიტერატურული წყაროების მაჩვენებელი

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, № 3977, 3978, 3980, 3981, 3982, 3983, 3984, 3985, 3987, 3988, 3989.
2. გაზეთი „დროება" 1880 წ. № 14, 100, 103, 104.
3. გაზეთი „დროება" 1881 წ. № 199.
4. გაზეთი „დროება" 1882 წ. № 1, 2, 3, 4.
5. გაზეთი „დროება" 1883 წ. № 85.
6. გაზეთი „იბერია" 1886 წ. № 49, 91.
7. გაზეთი „იბერია" 1887 წ. № 205.
8. გაზეთი „იბერია" 1893 წ. № 268, 269, 278.
9. გაზეთი „იბერია" 1898 წ. № 52.
10. გაზეთი „თეატრი" 1886 წ. № 24, 25, 28.
11. გაზეთი „ქართული სიტყვა" 1923 წ. № 4.
12. გაზეთი „ქართული სიტყვა" 1924 წ. № 9.
13. ჟურნალი „იბერია" 1882 წ. № 1.
14. ჟურნალი „იმედი" 1882 წ. № 1.
15. ჟურნალი „კვალი" 1893 წ. № 51, 52.
16. ჟურნალი „მოამბე" 1894 წ. № 1.
17. ჟურნალი „მწათობი" 1924 წ. № 7—8.
18. ჟურნალი „მწათობი" 1925 წ. № 4.
19. ჟურნალი „მწათობი" 1927 წ. № 8—9.
20. დავით კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია".
21. აკაკი წერეთელი — „ჩემი თაგდასავალი".
22. Г. М. Туманов — „Характеристики и воспоминания", წიგნი I, 1913 წ., გვ. 119, 120, 121.
23. დავით კლდიაშვილი — „მემუარები", 1925 წ., გვ. 45, 46, 47, 48.
24. იაკობ მანსვეტაშვილი — „მოგონებანი", 1936 წ., გვ. 210.
25. სოფრომ მგალობლიშვილი — „მოგონებანი", 1938 წ., გვ. 115, 118.
26. დავით ვესხი — „მოგონებანი", 1940 წ., გვ. 76, 78.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 5

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახი, ბავშვობა და ყრმობა 7

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ალექსანდრე ყაზბეგი უმაღლეს სასწავლებელში. 23

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხთან 41

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში 55

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ოთხმოციანი წლების ქართული პრესა 73

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრი 86

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ალექსანდრე ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება 110

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალება და დასაფლავება 135

ლიტერატურული წყაროების მაჩვენებელი 142